საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№295 (12666) 16 დეკემბერი სამშაბათი 2008 ფასი 50 თეთრი



# განსაკუთრებული სამშაბათობა





## კუპერმა ცხრა ლეგიონერს გამოუძახა

ინტერვიუები სამშაბათობის თემაზე » 2-3

## ალბათ კუპერმა არ იცის, თორემ არც გამომიძახებდა

მუჯირი სამშაბათობაზე მივა, მაგრამ ვერ ივარჯიშებს

ინტერვიუ » 3



## ბექერი იაშვილს ცალკე ელაპარაკა

ინტერვიუ » 3

## ჰემილტონი-ჰოის საუკუნის დაპირისპირება ჩაიშალა



ფორმულა 1-ის ახალი ჩემპიონი ლუის ჰემილტონი მაკლარენ-მერსედესით უნდა გაჯიბრებოდა პეკინის თამაშების სამგზის ჩემპიონს, ბრიტანელ ველომრბოლ კრის ჰოის...

» 14

ეროვნული ნაკრები

სამშაბათობის ლეგიონი

ინტერვიუ დავით გამეზარდაშვილთან

# ლატვიაშიც შეიძლება სანაკრებო დონეზე მოემზადო

## რატომ აფასებს გამეზარდაშვილი კუპერს



დავით გამეზარდაშვილი

**ნაკრების თავკაცმა ექტორ კუპერმა სამშაბათის მორიგ ვარჯიშზე რიგის „სკონტოს" მცველი დავით გამეზარდაშვილიც გამოიძახა. გამეზარდაშვილს გუშინ იმ დროს დავუკავშირდით, როცა მშობლიური ქუთაისიდან თბილისისკენ გამოემგზავრა. ბუნებრივია, მას კუპერის ვარჯიშზე, ეროვნულ ნაკრებსა და საკლუბო თემებზე გავესაუბრეთ.**

- ძალიან გამიხარდა. მართალი გითხრათ, არც კი ვიცოდი თუ ნაკრების თავკაცი ასეთ ვარჯიშებს ატარებდა.

**- რას ნიშნავს შენთვის სამშაბათის ვარჯიშზე გამოძახება?**

- როგორც ჩანს, კუპერმა აქამდე ვერ მოახერხა იმ ლეგიონერების მატჩების ნახვა, რომლებიც ამჯერად გამოიძახა. ეს ჩვენთვის შანსია ნაკრებში გამოძახებისთვის. ძალიან გახარებული ვარ და ხვალ ვარჯიშზე მაქსიმალურად მონდომებული ვიქნები. ისე კი კარგი იქნებოდა, რომ კუპერს ის ლეგიონერები, რომლებიც ახლა ვართ გამოძახებული, ერთ ამხანაგურ თამაშში მაინც ვენახეთ. იმედი მაქვს, ასეც იქნება. თუმცა კუპერის მადლიერი ვარ ამ ყურადღებისთვისაც. აშკარად ჩანს, რომ ეს მწვრთნელი მონდომებულია. ბევრ ქვეყანაში სეზონი ან დასრულდა, ანაც ზამთრის პაუზაა, მაგრამ ნაკრების არგენტინელი მწვრთნელი მაინც განაგრძობს მუშაობას. ეს ნამდვილად დასაფასებელია. კარგი იქნებოდა ე. წ. სამშაბათობა, ან მსგავსი ნაკრების წინა მწვრთნელებსაც ჰქონოდათ.

**- კუპერის ფორმაციის ნაკრების თამაში თუ გინახავს?**

- ირლანდიასა და რუმინეთთან მატჩები ვნახე. ჩვენმა გუნდმა ირლანდიასთან უკეთ ითამაშა. ნაკრებში ჩემი მეგობრებიც თამაშობენ და მათგან ვიცი, რომ კუპერის გუნდი თამაშს უმატებს.

**- ამას ბევრი აღნიშნავს, მაგრამ შედეგი ჯერ არ ჩანს. ამას რით ახსნი?**

- რამდენადაც ვიცი, კუპერის ფორმაციის ნაკრებს ზედიზედ ორი-სამ მატჩში ერთი და იმავე შემადგენლობით არ უთამაშია. ასეთ ვითარებაში კი ძნელია მწვრთნელს შედეგი მოსთხოვო. კუპერს ეტყობა, რომ ჯერაც ძიების პროცესშია. მას სურს, ყველა გამორჩეული ფეხბურთელი, ლეგიონერი იქნება თუ საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე, საქმეში ნახოს და ოპტიმალური შემადგენლობა შეადგინოს. ნაკრებში კონკურენცია გაზარდოს, რათა ტრავმების დროს უკვე იცოდეს, ვინ უნდა ათამაშოს. როცა საქართველოს პირველობაზე ვთამაშობდი, მაშინ ჩვენს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებს ნაკრების თავკაცი ყურადღებას თითქმის არ აქცევდა. ახლა კი სხვაგვარადაა საქმე, კუპერი ჩვენი პირველობის მატჩებს ესწრება და ფეხბურთელებს არჩევს. ეს კი საქართველოს ჩემპიონატის დონესაც დაეტყობა.

**- ე. ი. კუპერის კურსი მოგწონს...**

- კი, არგენტინელი მწვრთნელის ამ კურსს მივესალმები. ასეა ლატვიაშიც. ლატვიის ნაკრების სასტარტოში ადგილობრივ პირველობაზე მოთამაშე რვა-ცხრა ფეხბურთელი მუდმივადაა. ლატვიამ ჩვენი ნაკრები რომ დაამარცხა, იმ შემადგენლობიდან 5 ჩემი თანაკლუბელი იყო... თუმცა ეს რამ გამახსენა, აღარ მინდა ამის გახსენება...

**- რატომ, რამე გითხრეს?**

- ამ თამაშის წინ თანაკლუბელებს ვეუბნებოდი, თქვენ არ იცით, რა გუნდთან გიწევთ თამაში, თბილისში მინიმუმ 3-4 ბურთით წაგება გარანტირებული გაქვთ-მეთქი... ლატვიამ კი ჩვენი ნაკრები 3:1 დაამარცხა და თანაკლუბელებმა ამის გამო დამცინეს კიდეც... გული ჩამწყვა... თუმცა ლატვიელებზე არ გავბრაზებულვარ. აგვისტოში რუსეთმა ომი რომ დაუწყო საქართველოს, ლატვიელები გვერდში გვედგნენ. ისეთი რამეები გააკეთეს, არასდროს დამავიწყდება...

**- მაინც რა გააკეთეს ასეთი?**

- რიგაში რუსეთის საელჩოს წინ საპროტესტო დემონსტრაციებს მართავდნენ. ჩვენს საელჩოსთან იკრიბებოდნენ და საქართველოს ჰიმნს მღეროდნენ. ჩვენი გუნდის თავკაცმა, პოლ ეშოურტმა მითხრა, მთელი ინგლისი საქართველოს გვერდითაა და ეს მხარდაჭერა სამთავრობო დონეზეც გამოჩნდა.

**- კარგი, ამას შევეშვათ. როგორ ფორმაში ხარ?**

- ლატვიაში ჩემპიონატი თითქმის ერთი თვის წინ დასრულდა. მას მერე ვარჯიშები გვქონდა. ახლაც კარგ ფორმაში ვარ. მინდა, კუპერს თავი მოვაწონო...

**- მზად ხარ ირლანდიასთან გასვლით შეხვედრაში რომ გამოგიძახოს?**

- გამომიძახოს და ნამდვილად არ წააგებს. ირლანდიელები სტუმრად რომ დავამარცხოთ, რამხელა სენსაცია იქნება...

**- შეგვიძლია ირლანდიის სტუმრად დამარცხება?**

- რატომაც არა. მთავარია გჯეროდეს, რომ შეგიძლია და მოედანზე მაქსიმალურად დაიხარჯო.

**- ახლა ლატვიის ჩემპიონატზე ვისაუბროთ. „სკონტომ" სეზონი მესამე ადგილზე ჩაამთავრა... მთლად კმაყოფილი არ უნდა იყო...**

- ჩემპიონობა გვინდოდა, მაგრამ არ გამოვიდა. ჩვენ და „მეტალურგსმა" თანაბარი ქულები დავაგროვეთ, მაგრამ სხვა მაჩვენებლებით ლიეპაიელებმა გვაჯობეს და მეორეზე გავიდნენ. გული დამწყდა, რომ ბალტიის ლიგაშიც წავაგეთ, „კაუნასმა" 2:1 მოგვიგო. ის ერთი ბურთი ლადო დვალიშვილმა გაიტანა. ჩვენს არენაზე 12 ათასი კაცი ეტევა და ტრიბუნები სავსე იყო.

**- შენს შედეგიანობაზე რას გვეტყოდი?**

- სტაბილურად ვთამაშობდი. „სკონტოში" ცენტრალური მცველი ვარ, მაგრამ გუნდს დასჭირდა და ორ შეხვედრაში მარჯვენა ფრთაზეც გამამწესეს. ხუთი ბურთი გავიტანე და ორი საგოლე პასიც გავაკეთე. გარდა ამისა, ლატვიის ჩემპიონატის საუკეთესოებში მე და ლადო დვალიშვილი მოვხვდით.

**- დვალიშვილი გუნდის ერთ-ერთი ლიდერია...**

- კი, ჩვენს გუნდს ჩინებულად მოერგო, გოლიც არაერთი გაიტანა. გუნდში საკვანძო ფიგურაა.

**- "დინაბურგის" მწვრთნელ თამაზ პერტიაზე რას გვეტყოდი?**

- კარგი მწვრთნელია, ბევრი რამ ისწავლა. ამ სეზონში ბევრად უკეთესი გუნდი ჰყავდა, ვიდრე წინა ჩემპიონატში. პერტიამ „სკონტოს" ორი თამაში მოგვიგო და იმ დაკარგული ქულების გამო ვერ გავხდით ჩემპიონები.

**- კარგა ხანია, ლატვიაში თამაშობ, ჩემპიონატის დონემ რამდენად აიწია?**

- პირველობის დონის მატება აშკარად საგრძნობია. ლატვიის ჩემპიონატი საქართველოს პირველობას ბევრით სჯობს. ლატვიის ჩემპიონატში ასპარეზობს მენთეშაშვილიც, მაგრამ ნაკრებში საკვანძო ფიგურაა. ასე რომ, ლატვიაშიც შეიძლება სანაკრებო დონეზე მოემზადო.

**- რჩები „სკონტოში" თუ მისამართს შეიცვლი?**

- კიდევ ერთი წელი მაქვს კონტრაქტი. თუ კარგი ვარიანტი მექნება, დავფიქრდები, ავწონ-დავწონი და გადავწყვეტ.

**- ვარიანტები გქონდა კიდეც...**

- „სკონტოს" ინგლისელმა მწვრთნელმა პოლ ეშოურტმა ზაფხულში მითხრა, ინგლისის პირველი დივიზიონის ორი კლუბია შენით დაინტერესებულიო. ჩემი ტრანსფერი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ მოგეხსენებათ, თუ ევროკავშირის მოქალაქე არ ხარ, ინგლისში სათამაშოდ საჭიროა ნაკრებში ბოლო მატჩების 75 პროცენტი გქონდეს ჩატარებული. ჩემი ტრანსფერი ამის გამო ჩაიშალა. რუსულ კლუბებზეც იყო საუბარი, მაგრამ ამ საქმეს გაგრძელება აღარ მოჰყოლია

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ დიმიტრი ტატანაშვილთან

# კიდევ ამოვქაჩავ



დიმიტრი ტატანაშვილი

**დღეს 15 საათზე საგურამოში, თბილისის „ლოკომოტივის" ბაზაზე საქართველოს ეროვნული ნაკრების არგენტინელი დამრიგებელი ექტორ რაულ კუპერი მორიგ „სამშაბათობას" გამართავს. ეს განსაკუთრებული "სამშაბათობა" იქნება – თუ კუპერი მანამდე მხოლოდ საქართველოს ჩემპიონატში მობურთალთ იწვევდა სამშაბათის ტაქტიკურ ვარჯიშზე, ამჯერად ქართული გუნდების ფეხბურთელების გარდა ცხრა ლეგიონერს უხმო. კუპერმა ის ლეგიონერები შეარჩია, რომლებსაც ახლა შვებულება აქვთ და სამშობლოში არიან ჩამოსული. ერთ-ერთი მათგანი დიმიტრი ტატანაშვილი გახლავთ. ტექნიკურ თავდამსხმელს, ვისაც კარგი საგოლე ალღოც აქვს, არაერთი ლამაზი გოლი გაუტანია თბილისის "ამერში", საიდანაც ზაფხულში ჩეხურ "პლზენში" გადავიდა - ჩეხებს ეს ტრანსფერი სამას ათას ევრომდე დაუჯდათ.**

**ტატანაშვილს თვალი ჯერ კიდევ კლაუს ტოპმიოლერმა დაადგა და შარშან ბაქოში, აზერბაიჯანთან ამხანაგურ მატჩში წაგებას ტატანაშვილის გოლით გადაურჩა (1:1). ჩეხეთში კი ჩვენებურს მთლად კარგად არ წაუვიდა საქმე, თუმც ნაკრებისთვის კვლავაც საინტერესო ფეხბურთელია და კუპერმაც ამად უხმო დღევანდელ "სამშაბათობაზე".**

**- პლზენის "ვიქტორიის" სასტარტოში ბოლო დროს აღარ ჩანდი – რა იყო ამის მთავარი მიზეზი?**

- მიზეზი მწვრთნელის შეცვლაა – იაროსლავ შილვაი პაველ ვრბამ რომ შეცვალა, მას შემდეგ მხოლოდ ერთხელ ვითამაშე სასტარტოში – იმ შეხვედრაში მთლიანად გუნდს არ წაუვიდა თამაში და მეც ვერ გამოვიჩინე თავი.

**- "პლზენის" მეორე გუნდში როგორ წაგივიდა საქმე?**

- მეორე გუნდი ჩეხეთის მესამე ლიგაში ასპარეზობს და ვისაც სათამაშო პრაქტიკა აკლია, ამას იქ ინაზღაურებს. მეც ამ მიზნით ვთამაშობდი იქ. "პლზენის" მეორე გუნდში სამი მატჩი ვითამაშე და ოთხი გოლი გავიტანე. როცა სანაკრებო მატჩებით გამოწვეული პაუზა იყო, ამხანაგურ შეხვედრებშიც ვითამაშე და გოლებიც გავიტანე. მაგალითად, "ტეპლიცესთან" შეცვლაზე რომ შევედი, 1:1 იყო, ორი გოლი შევაგდე და 3:1 მოვიგეთ.

**- პაველ ვრბას ნდობა ამითაც ვერ დაიმსახურე...**

- მასეა, მაინც არ მათამაშებდა ძირითადში. მასთან ნორმალური ურთიერთობა მაქვს, ცუდი ადამიანი ნამდვილად არ ჩანს, მაგრამ...

**- მაგრამ "პლზენის" სხვა ფორვარდებს შენზე უკეთ წაუვიდათ თამაში?**

- ასე არ ვიტყოდი, "პლზენის" თავდამსხმელებიდან ერთი სხვას დიდად ვერ ჯობნის. უბრალოდ, შილვაის ჩემი სტილი უფრო მოსწონდა, ვრბა კი უფრო ძალისმიერ თავდამსხმელებს ანიჭებს უპირატესობას.

**- ჯერ კიდევ მაშინ, როცა "ამერის" ფეხბურთელი იყავი, სწორედ ჯანის ნაკლებობას გიწუნებდნენ. რაც "პლზენში " გადახვედი, გვითხარი, აქ ყველანაირი პირობებია, რომ ათლეტიზმში მოვუმატოო. გამოდის, ნაკლი ჯერაც ვერ გამოასწორე?**

- იმასთან შედარებით, როცა საქართველოში ვიყავი, უფრო ჯანზე ვარ, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. საშუასეზონო შეკრება რომ გვექნება, ათლეტიზმში ჩამორჩენას კიდევ ამოვქაჩავ, რაც მთავარია, ჯანმრთელად ვარ.

**- საშუასეზონო შეკრება როდის გეწყებათ?**

- 5 იანვრიდან ჩეხეთში მოვემზადებით, ერთი კვირის შემდეგ კი კვიპროსზე წავალთ – იმედია, მნიშვნელოვანი წინსვლა მექნება.

**- მხოლოდ ათლეტიზმშიც არ უნდა იყოს საქმე. საქართველოს ჩემპიონატში შენი საუკეთესო თვისებებით მცველებს და მეკარეებს კარგ დღეში არ აგდებდი - ჩეხეთში ადაპტაცია არ გაგიჭირდა?**

- პირველი ექვსი თვე მართლა გამიჭირდა იქაურობასთან შეგუება. ჩეხეთში სხვა ფეხბურთია, გაცილებით სწრაფად თამაშობენ, ვიდრე საქართველოს ჩემპიონატში, თანაც ლეგიონერი რომ ხარ, შენგან სხვაზე მეტს ითხოვენ, ამას დავუმატოთ უცხო გარემო... მაგრამ ვნახოთ, დრო კიდევ არის, "პლზენთან" სამწლიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი, თუმც უკვე ამ სეზონის მეორე ეტაპიდან საკუთარი თავისგან გაცილებით მეტს ველი.

**- ვრბას არ აქვს წყალი შეყენებული?**

- გამბრინუს ლიგაში მეშვიდე ადგილზე კი ვართ, მაგრამ ვრბას შილვაიზე უკეთესი შედეგი აქვს და მის გაშვებაზე არც კი ლაპარაკობენ. ამ მწვრთნელმა "პლზენის" დაცვა კარგად დაალაგა, რაც დიდად წაადგა გუნდს. მიზანი უეფას თასის საგზურის მოპოვებაა და საამისო შანსი კიდევ გვაქვს.

**- "პლზენის" თავდასხმაში კი ვრბას მოსვლით რა შეიცვალა?**

- თავდამსხმელთაგან ორ გოლზე მეტი ვერავინ გაიტანა, უფრო შედეგიანი ნახევარდაცვა აღმოჩნდა – შუახაზელებმა ოთხ-ოთხი გოლიც კი გაიტანეს.

**- ნაკრებზეც ვთქვათ. რაც კუპერი მოვიდა, ეროვნულ გუნდში არ გამოუძახებიხართ. თუ უყურე საქართველოს ნაკრების მატჩებს და რა შთაბეჭდილება დაგრჩა?**

- პლზენში ქართული ტელეარხები ჯერ არ მაქვს და ჩვენი ნაკრების თამაშებს ინტერნეტით ვუყურე. ბულგარეთთან მართლაც მომეწონა ჩვენი გუნდი, ფეხბურთელებმა დიდი მონდომებით ითამაშეს.

**- კუპერი ერთი გამოკვეთილი თავდამსხმელით ათამაშებს ჩვენს ნაკრებს – ასეთი განლაგება რამდენად კომფორტულია შენთვის?**

- "პლზენის" პირველი გუნდიც ერთი გამოკვეთილი ფორვარდით თამაშობს, ასე რომ, ამას შეჩვეული ვარ. ამ პოზიციაზე "პლზენის" სასტარტოში შვიდი მატჩი ვითამაშე და ერთი გოლი გავიტანე.

**- ახლა ხარ ისეთ ფორმაში, რომ კუპერს ვარჯიშზე მოაწონო თავი?**

- ჩეხეთის ჩემპიონატის პირველი ეტაპი რომ ჩამთავრდა, ათი დღე არ მივარჯიშია, სულ ორი დღეა, რაც ინდივიდუალური პროგრამით დავიწყე ვარჯიში და რა თქმა უნდა, ახლა საუკეთესო ფირმაში ვერ ვიქნები. როგორც უნდა იყოს, მთავარია, ჯერ კლუბში გამოვიჩინო თავი. რაც შეეხება კუპერის ვარჯიშს, მოხარული ვარ, რომ ნაკრებში ისევ გავახსენდი, ამ ვარჯიშზე გასვლა ჩემთვის დიდი სტიმულია.

**დავით თავართქილაძე**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო
გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის ქვეყნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემით და ელექტრონულ საშუალებებში გამოყენება აკრძალულია

ეროვნული ნაკრები — სამშაბათობა


დავით მუჯირი

ინტერვიუ დავით მუჯირთან

# ალბათ კუპერმა არ იცის, თორემ არც გამომიძახებდა

## მუჯირი სამშაბათობაზე მივა, მაგრამ ვერ ივარჯიშებს

**მოსკოვის „ლოკომოტივის" შუახაზელ დავით მუჯირს, კარგა ხანია ეროვნულ გუნდში არ უთამაშია. სექტემბრის მატჩებისთვის, ექტორ კუპერმა ის ნაკრებში კი გამოიძახა, მაგრამ ირლანდიასთან და იტალიასთან განაცხადში არ ყოფილა. ამჯერად კუპერმა მუჯირს სამშაბათის ვარჯიშზე უხმო. დათო უკვე რამდენიმე კვირაა, თბილისშია და დღეს სამშაბათის შეკრებაზეც გამოცხადდება, მაგრამ, როგორც ჩანს, ვერ ივარჯიშებს...**

- ალბათ ვარჯიშს ვერ შევძლებ და მართალი გითხრათ, არც შეიძლება...

**- ეგ როგორ გავიგოთ?**

- ოთხი კვირაა, არც კი გავქცეულვარ. შვებულებაში ვარ და მოსკოვიდან გამომგზავრების წინ ყველას ინდივიდუალური მომზადების გეგმა მოგვცეს. თანაც სპეციალური მოწყობილობა დაგვირიგეს, რომელიც თვითონ ზომავს, შვებულების პერიოდში თუ როგორ მოვემზადებით ინდივიდუალური გეგმით. ამ გრაფიკის მიხედვით 18 დეკემბერს ძუნძული უნდა დავიწყო. ორგანიზმი ნელ-ნელა უნდა შეეჩვიოს დატვირთვებს. პროფესიონალი ვარ და ყოველთვის ასე ვაკეთებ... ორი დღე არაფერს წყვეტს, 18-ის ნაცვლად 16-ში დავიწყებ ვარჯიშს, მაგრამ ვიცი, სამშაბათის ვარჯიშზე ძუნძული საკმარისი არ იქნება.

**- ანუ ვარჯიშს ვერ შეძლებ?**

- სურვილი მაქვს და ძალიანაც მინდა სამშაბათის ვარჯიშზე მაქსიმალურად დავიხარჯო, მაგრამ... როგორც გითხარით, ბურთისთვის ფეხი არ დამირტყამს, არ გავქცეულვარ და მართალი გითხრათ, მეშინია კიდეც. ასეთ ვითარებაში ტრავმის ალბათობა დიდია. ალბათ ეს არ იცის კუპერმა, თორემ არც გამომიძახებდა. მინდა, ყველამ კარგად გაიგოს ჩემი მდგომარეობა. ეროვნულ გუნდში ყოველთვის გულიანად ვთამაშობ, მოედანზე ბოლომდე ვიხარჯები. ხვალაც გამოვცხადდები ვარჯიშზე, კუპერს ყველაფერს ავუხსნი, ის პროფესიონალია და მჯერა ჩემს მდგომარეობას გაიგებს.

**- სექტემბრის მატჩების შემდეგ ნაკრებში გამოძახებული არ ყოფილხარ...**

- მიმაჩნია, რომ ოქტომბერ-ნოემბერში ნაკრებში ჩემი გამოყენება შეიძლებოდა. მით უმეტეს კლუბში უკვე სტაბილურად ვთამაშობდი და კარგ ფორმაში ვიყავი.

**- კუპერის ფორმაციის ნაკრებზე რა წარმოდგენა გაქვს?**

- სამწუხაროდ, შედეგით ჯერ ვერ დავიკვეხნით. 4 მატჩში ორი ქულა გვაქვს. გულშემატკივრის დარად მომავალს მეც იმედიანად ვუყურებ.

**- ახლა საკლუბო თემაზე ვისაუბროთ. „ლოკომოტივისთვის" მეშვიდე ადგილი მიღწევად ნამდვილად ვერ ჩაითვლება. გუნდის თავკაცი რაშიდ რახიმოვი კი კვლავაც პოსტზეა...**

- ასეთი შედეგი წარუმატებლობაა. თუმცა ამაში ჩემი წვლილი ნაკლებადაა. გარკვეული პერიოდის განმავლობაში თამაში არ მიწევდა. ბოლოს ხუთ მატჩში სასტარტოში ვიყავი და ოთხი მოვიგეთ. დასანანია, რომ უკეთესი შედეგი ვერ ვაჩვენეთ. ასეთ დროს მწვრთნელი პოსტს ტოვებს ხოლმე, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ჯოხი ფეხბურთელებზე გადატყდა. 8-10 ფეხბურთელი ტრანსფერზე დააყენეს, ერთი სიტყვით, „ლოკომოტივში" დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი, მაგრამ ეს მთავარ მწვრთნელს არ ეხება.

**- ზაფხულში კლუბის შეცვლაზეც ფიქრობდი. ჩანაფიქრს ამჯერად ხომ არ განახორციელებ?**

- სხვა გუნდში გადასვლაზე მართლაც რეალურად ვფიქრობდი და სხვა რუსულ კლუბში კარიერის გაგრძელების ვარიანტიც მქონდა. მაშინ კლუბის ხელმძღვანელობასაც შევხვდი, მინიმუმ განათხოვრებაზე ვესაუბრე, მაგრამ დამამშვიდეს, შემოდგომაზე თამაში მოგიწევს, შენი იმედი გვაქვსო და ასეც მოხდა. კლუბის შეცვლას ამჯერადაც არ ვაპირებ.

**- მართლა მოსკოვის „დინამოს" სურდა შენი გადაბირება?**

- ეს მეც პრესიდან გავიგე. ამ საკითხზე ჩემთან არავის ულაპარაკია. ჩემით მართლაც იყვნენ დაინტერესებულნი რუსული კლუბები, მაგრამ როცა „ლოკომოტივის" თავკაცებმა მითხრეს, გვჭირდები და არ წახვიდეო, ჩემი მსურველი კლუბების ვინაობით აღარ დავინტერესებულვარ.

**- თბილისში გამოგზავრებამდე კლუბის ხელმძღვანელობასთან გქონია საუბარი...**

- კი, ყველა ფეხბურთელს დაგველაპარაკნენ. პირდაპირ ვუთხარი, თუ თამაში არ მომიწევს, კლუბს მოვძებნი, არ გამიჭირდება-თქო. გვჭირდები და სხვა გუნდზე არ იფიქროო, მითხრეს.

**- რკინიგზელთა კლუბთან კიდევ რა ხანგრძლივობის კონტრაქტი გაკავშირებს?**

- კიდევ ორი სეზონით „ლოკოს" ვეკუთვნი. ახალი სეზონისთვის გუნდი მნიშვნელოვნად გაძლიერდება და მჯერა, გაისად ბევრად უფრო შედეგიანად ვიასპარეზებთ.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონი — ინტერვიუ ალექსანდრე იაშვილთან

# იაშვილი შვილს ელის

## ბეკერი ჩვენებურს პირადად ესაუბრა

**თვრამეტგუნდიანი ბუნდესლიგის პირველი წრე ალექსანდრე იაშვილის „კარლსრუემ" მე-15 ადგილზე ჩაამთავრა. ერთი სიტყვით, ბადენვიურტემბერგელები გასავარდნ ზონასთან ძალიან ახლოს არიან. არადა, სეზონის წინ „კარლსრუემ" არგავარდნაზე უკეთესი მიზანი დაისახა...**

**ახლა საფეხბურთო გერმანიაში შვებულებაა, თუმც იაშვილი თბილისში ჩამოსვლას არ აპირებს და ამიტომაც იქაური ამბები ტელეფონით მოვაყოლეთ. „კარლსრუეს" ჩვენებურ შემტევს გერმანიაში შევეხმიანეთ...**

**- წინა ინტერვიუში გვითხარი, „კარლსრუეს" ჩავარდნის მთავარი მიზეზი უიღბლობა არისო. მე-15 ადგილსაც უიღბლობას დააბრალებ?**

- არა, ამდენ თამაშს რომ წააგებ, ეს უკვე აღარ არის უიღბლობის ბრალი. „ბაიერნი", „აინტრახტი" და „გლადბახი" - ამ გუნდებთან მართლაც კარგად ვითამაშეთ და წაგება უიღბლობის ბრალი იყო, ბოლო შეხვედრებში კი „კარლსრუეს" თამაშის ხარისხი ძალიან ცუდი იყო და უიღბლობა არაფერ შუაშია. რა თქმა უნდა, ასეთი შედეგით ყველა უკმაყოფილო ვართ.

**- ბოლო მატჩებში არ გითამაშია. ტრავმა, არასათანადო ფორმა... რაში იყო საქმე?**

- უბრალოდ, ასე გადაწყვიტა მწვრთნელმა. ვერ გეტყვით, ეს რატომ მოხდა. ჩემთვის გაუგებარი და მოულოდნელი იყო ყოველივე ეს.

**- „კარლსრუეს" მთავარ მწვრთნელ ედმუნდ ბეკერს არ უპირებენ გადაყენებას?**

- არა, საქმე აქამდე არ მისულა.

**- მაშინ, ვის ან რას ბრალდება „კარლსრუეს" წარუმატებლობა?**

- ყველაფერი მწვრთნელისა და ფეხბურთელების ბრალია. ვფიქრობ, ასეთი შედეგი მნიშვნელოვნად განაპირობა ერთმა ფაქტორმა - „კარლსრუეში" ეგონათ, რომ გუნდიდან წასულ წამყვან ფეხბურთელებს, ჰაინალსა და ეგიმანს იოლად შეცვლიდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. „შტუტგარტიდან" გადმოსულმა ანტონიო და სილვამაც ვერ ითამაშა ისე კარგად, როგორც ელოდნენ. ბოლო შვიდ შეხვედრაში არ გვყავდა გუნდის კაპიტანი, „კარლსრუეს" დაცვის ლიდერი მაიკ ფრანცი. ყველაფერი ეს ცოტა არ არის და შედეგებზეც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია.

**- ალბათ საკუთარი თავითაც არ ხარ კმაყოფილი...**

- კმაყოფილი როგორ ვიქნები?! მეც და მთლიანად გუნდსაც გაცილებით მეტი შეგვიძლია.

**- მოკლედ, პირველ წრეში „კარლსრუეში" პოზიტიური არაფერი მომხდარა...**

- მასეა, თუმც შემოდგომაზე ერთი მაინც იყო კარგი – გერმანიის თასის მერვედფინალში გავედით, სადაც ჩვენი მეტოქე მეორე ბუნდესლიგის „ვისბადენია", რომელსაც შინ ვეთამაშებით. მეოთხედფინალში გასვლის საკმაოდ კარგი შანსი გვაქვს.

**- „კარლსრუეს" მიზანი ახლა უკვე არგავარდნისთვის ბრძოლა იქნება?**

- სეზონის წინ ასეთი მიზანი დავისახეთ - ცხრილის შუაში ყოფნა და მიზანი უცვლელია. მეორე წრისთვის გაძლიერებას ვაპირებთ, ალბათ 2-3 ფეხბურთელს დავიმატებთ - ცენტრალურ მცველს, საყრდენ ნახევარმცველსა და ცენტრფორვარდს. იანვარში შეკრებას თურქეთში გავივლით და ახალი ფეხბურთელებიც შემოგვიერთდებიან.

**- ბოლო მატჩებში ბეკერმა ტაქტიკა შეცვალა – ერთ გამოკვეთილ ფორვარდსა და ორ გარემარბს, ორი თავდამსხმელით თამაში ამჯობინა. ასეთი ცვლილება შენთვის უმნიშვნელო ვერ იქნებოდა, ბეკერი ხომ მარცხენა გარემარბად გათამაშებდა...**

- ამ ცვლილებამ არ გაამართლა და ბეკერი სავარაუდოდ ისევ უწინდელ განლაგებას დაეყრდნობა. ალბათ ამიტომაც იყო, გუშინ საგანგებოდ რომ დამელაპარაკა.

**- კონკრეტულად რაზე ისაუბრეთ?**

- პირველად მოხდა, რომ ზედიზედ ორ მატჩში არ მომიწია თამაშმა და ძალიან უკმაყოფილო ვიყავი. მწვრთნელმაც ყურადღება გამოიჩინა, მიხვდა, რომ მისმა ასეთმა გადაწყვეტილებამ ჩემზე ძალიან იმოქმედა და საჭიროდ ჩათვალა, დამლაპარაკებოდა. რაც მოხდა, ჩავლილი ამბავიაო, გერმანიაში ასე ამბობენ. მეორე წრიდან ყველაფერი თავიდან იწყება და ჩვენც იმედი გვაქვს, რომ „კარლსრუეს" საქმე უკეთესობისკენ წავა.

**- შვებულებისას თბილისში რატომ არ მოდიხარ?**

- თებერვალში მესამე შვილს ველოდები ( 5 წლის თამარ და 2 წლის თომა იაშვილებიც, ცხადია, გერმანიაში იზრდებიან – დ.თ.) და ასეთ დროს ოჯახით აქეთ-იქეთ მგზავრობა მიზანშეწონილი არ არის.

**დავით თავართქილაძე**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# მალხაზ ასათიანზე მოლაპარაკებები დაიწყო

## ფასი ნაღდი უნდა იყოს

მოგეხსენებათ, მოსკოვის „ლოკომოტივმა" ზაფხულში **მალხაზ ასათიანი** ზამთრის პაუზამდე კიევის „დინამოში" გაანათხოვრა. ამ საიჯარო ხელშეკრულების ვადა ამოიწურა და ასათიანიც ისევ მოსკოვური კლუბის განკარგულებაშია. ქართველ მცველს რკინიგზელთა კლუბის პრეზიდენტ **ნიკოლაი ნაუმოვთან** შეხვედრა რომ ჰქონდა, ეს უკვე გაცნობეთ. მხარეები მორიგდნენ, რომ 12 იანვრამდე, შვებულების დასრულებამდე ასათიანის საკითხი გადაწყდებოდა. ნაუმოვმა რუსულ პრესასთან საუბარში ისიც აღნიშნა, რომ ასათიანის თაობაზე „ლოკოსთვის" არცერთ კლუბს არ მიუმართავს. კიეველთა კლუბის პრეზიდენტმა **გრიგორი სურკისმა კი** პრესას უთხრა, თუ გუნდის თავკაც **იური სიომინს** სურს ასათიანი, მაშინ მოსკოველებთან მოლაპარაკებებსაც დავიწყებთო.

გუშინ კი უკრაინულმა პრესამ სიომინის ინტერვიუ გამოაქვეყნა. მასში ორი კითხვა სწორედ ასათიანს ეხება. ინტერვიუდან ირკვევა, რომ კიეველებმა ქართველ მცველზე რუს რკინიგზელებთან მოლაპარაკებები უკვე დაიწყეს.

*„ჩვენი კლუბის გენერალურმა დირექტორმა რეზო ჭოხონელიძემ ასათიანის თაობაზე მოსკოვის „ლოკომოტივთან" უკვე დაიწყო მოლაპარაკებები. მინდა ასათიანი ჩვენს გუნდში იყოს, მაგრამ აქ სხვა გარემოებებიცაა. ფეხბურთელის ფასი ობიექტური უნდა იყოს. ასე რომ, ვნახოთ რა შედეგით დასრულდება მოლაპარაკებები"*, - განაცხადა იური სიომინმა.

**დავით ცაბაძე**



მალხაზ ასათიანი


ვაჟა თარხნიშვილი

# თარხნიშვილი ისევ საუკეთესოა

მოლდოვის ჩემპიონის, „შერიფის" კაპიტანი **ვაჟა თარხნიშვილი** 37 წლისაა, თუმცა ის დღესაც ერთ-ერთი საუკეთესოა გუნდში. ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა გამოკითხვამ, რომელიც „შერიფის" ოფიციალურმა საიტმა ჩაატარა.

„შერიფის" წლის საუკეთესო ფეხბურთელი 12 ბალით გოლკიპერი **სტანისლავ ნამაშკო** გახდა. ვაჟა თარხნიშვილი 8 ბალით მესამე ადგილზე გავიდა და სულ ერთი ბალით ჩამორჩა მეორე ადგილზე გასულ **ფლორან როამბას**. სამაგიეროდ, გამოჩნდა, რომ ვაჟას კლუბის ფანები უფრო მეტად აფასებენ. კლუბის საიტის მიერ ჩატარებულ მეორე გამოკითხვაში („შერიფის" 2008 წლის საუკეთესო ფეხბურთელი) 2 ათასამდე გულშემატკივარმა მიიღო მონაწილეობა. ვაჟამ ხმების 38,2 პროცენტით გაიმარჯვა. მან 6 პროცენტით გაუსწრო **კონსტანტინ არბენაშს.**

ვაჟამ მოლდოვის მასშტაბითაც მიაღწია აღიარებას. კიშინოვის ოპერის შენობაში ფეხბურთის ფედერაციამ წლის ნომინანტები დააჯილდოვა. ჩემპიონატის საუკეთესო მცველებს შორის მეორე ადგილზე „შერიფის" ქართველი კაპიტანი გავიდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# საქართველოს XX ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

XV ტურის მიმოხილვა

**XV ტური**

**13 დეკემბერი, შაბათი**

| | |
|---|---|
| გაგრა-ბორჯომი | 2:0 |
| სპარტაკი-მგლები | 4:0 |
| ოლიმპი-დინამო | 1:0 |

**14 დეკემბერი, კვირა**

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯია | 0:1 |
| მესხეთი-სიონი | 0:2 |

*ზესტაფონი ისვენებს*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 14 | 10 | 3 | 1 | 26-8 | 33 |
| 2. დინამო | 14 | 9 | 1 | 4 | 28-12 | 28 |
| 3. ზესტაფონი | 13 | 7 | 3 | 3 | 14-7 | 24 |
| 4. ოლიმპი | 13 | 5 | 6 | 2 | 13-7 | 21 |
| 5. სიონი | 14 | 5 | 6 | 3 | 15-10 | 21 |
| 6. ლოკომოტივი | 13 | 6 | 0 | 7 | 16-15 | 18 |
| 7. მგლები | 14 | 5 | 2 | 7 | 15-20 | 17 |
| 8. მესხეთი | 14 | 4 | 4 | 6 | 12-19 | 16 |
| 9. გაგრა | 14 | 4 | 2 | 8 | 12-23 | 14 |
| 10. ბორჯომი | 14 | 2 | 5 | 7 | 14-29 | 11 |
| 11. სპარტაკი | 13 | 2 | 0 | 11 | 10-25 | 6 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ვაწაძე (დინამო) | 8 |
| კიკნაძე (ბორჯომი) | 7 |
| ალექსიძე (ლოკომოტივი) | 6 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 6 |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 6 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 6 |
| გ. თოდუა (მგლები) | 6 |
| გაბედავა (გაგრა) | 6 |
| ოდიკაძე (დინამო) | 5 |
| მერებაშვილი (დინამო) | 5 |
| სამადაშვილი (მესხეთი) | 5 |
| კოშკაძე (სიონი) | 5 |

**მომდევნო ტური**

**20 დეკემბერი, შაბათი**

ბორჯომი-სპარტაკი
სიონი-გაგრა
დინამო-ზესტაფონი

**21 დეკემბერი, კვირა**

მგლები-ლოკომოტივი
ვიტ ჯორჯია-ოლიმპი

*მესხეთი ისვენებს*

# სერიები მთავრდება და გრძელდება

ჩვენი ვარაუდი გამართლდა - ხუთივე შეხვედრა საინტერესო გამოდგა და სატურნირო ცხრილშიც გარკვეული გადაადგილებები ვიხილეთ. რაც მთავარია, პირველად მოხდა, რომ ერთპიროვნულმა ლიდერმა უახლოესი მდევარი ხუთი ქულით ჩამოიტოვა; ამ ჩემპიონატში პირველად ალზევდა მეოთხე ადგილამდე რუსთავის „ოლიმპი"; ასევე პირველად ჩამოქვეითდა მეექვსე ადგილამდე თბილისის „ლოკომოტივი"...

თუმცა ტურის კი არა, ალბათ, ჩემპიონატის უმთავრესი მოვლენა „დინამოს" ნაგება იყო. რა თქმა უნდა, ყველა შეხვედრას ვერ მოიგებ და მოქმედი ჩემპიონის თერთმეტმატჩიანი სერიაც დასრულდა. მაგრამ, ამ შემთხვევაში, მართლაც, სხვა მოვლენასთან გვქონდა საქმე - საქართველოს ჩემპიონატის 19-წლიან ისტორიაში თბილისის „დინამო" პირველად დამარცხდა... რუსთავში! ჰო, ადრე თუ გვიან, ეს უნდა მომხდარიყო და ვინც „ოლიმპი" - „დინამოს" ამ შეხვედრას ადევნებდა თვალს, ყველა დაგვეთანხმება, რომ მასპინძელთა გამარჯვება აბსოლუტურად ლოგიკური და დამსახურებული იყო. გუშინაც ვწერდით, ასეთი სუსტი „დინამო" კარგა ხანია არ გვინახავს-თქო; რა თქმა უნდა, **მათე ვაწაძე** და **გიორგი მერებაშვილი** (**გიორგი ნერგაძე** და **ნიკოლოზ ფირცხალავაც**) რომ არ ეყოლება გუნდს, საბოლოო წარმატებაზე ფიქრი ცოტა ძნელიც არის. თუმცა **რაინერ ცობელის** გუნდს ეს ვერაფრით გაამართლებს: 90 წუთის განმავლობაში მეტოქის კართან ერთ სახიფათო მომენტსაც რომ ვერ შექმნი, მხოლოდ გადაღლილობის ბრალი არ უნდა იყოს. ამას გარდა, ცოტა არ იყოს, მოულოდნელად გვეჩვენა დინამოელთა ერთფეროვანი თამაშიც - სტუმრები ძირითადად თავდაცვით იყვნენ დაკავებულნი და, ალბათ, იმის იმედი ჰქონდათ, რომ მასპინძლები საბედისწერო შეცდომას დაუშვებდნენ. სამაგიეროდ, მასპინძელთა შეტევები გამოირჩეოდა მრავალფეროვნებით: მარჯვნიდან **თემურ ლონლაძე** და **გიორგი სეთურიძე** აქტიურობდნენ, მარცხნიდან - **თენგიზ ჩიკვილაძე**. „დინამოს" კი ფლანგებს რომ „წაართმევ", უკვე პატარა ამბავი აღარ არის; მით უმეტეს, რომ მასპინძლებს მოედნის ცენტრშიც საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ და ეს, უპირველეს ყოვლისა, **დენის დობროვოლსკისა** და **შოთა ბაბუნაშვილის** დამსახურება იყო. ალარაფერს ვამბობთ ამ შეხვედრის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშეზე - „ოლიმპის" უნივერსალ მცველს **ერნესტ აკუასაგას** მთელი მატჩის განმავლობაში არც ერთი ორთაბრძოლა არ წააგო! რახან, გამორჩეულ ფეხბურთელებზე ვსაუბრობთ, სხვა ორი ლეგიონერიც უნდა ვახსენოთ: **დიდიე ოვონომ** და **მილოშ კრშკომ** საკუთარი მაღალი კლასი კიდევ ერთხელ დაადასტურეს. ეგ კი არა, „დინამოს" ორი ლეგიონერი აშკარად იმსახურებს ბევრად უკეთეს ლიგაში თამაშს; თანაც, ეს მხოლოდ ჩვენი აზრი არ არის...

... ტურის ცენტრალურ შეხვედრაში გარდამტეხი მომენტი მაშინ დადგა, როცა მასპინძელთა თავკაცმა ზედიზედ სამი ცვლილება გამოიყენა. ჰოდა, შეცვლაზე შემოსულმა **გიორგი მეგრელაძემაც** მწვრთნელის ნდობა გატანილი გოლით გაამართლა. ისე, მეგრელაძეც და საგოლე პასის ავტორი ბაბუნაშვილიც ყოფილი დინამოელები არიან...

...ზემოთ სტუმართა საკადრო პრობლემები ვახსენეთ და მასპინძლებზე არაფერი გვითქვამს. სხვათა შორის, „ოლიმპს" ერთობ მოკლე სათადარიგოთა სკამი აქვს და ყოველივე ეს „დინამოსთან" მატჩშიც გამოჩნდა: სათადარიგო მეკარედ განაცხადში მასპინძელთა გუნდის... მეკარეების მწვრთნელი **გიორგი ბაბუაძე** იყო შეყვანილი; ხოლო ასევე თადარიგში მყოფ **მირზა მერლანს** გამოუვალი მდგომარეობის დროს... მინდვრის მოთამაშის ფუნქცია უნდა შეესრულებინა!

ჰო, **ექტორ რაულ კუპერი** არ გვიხსენებია - საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ასეთ შეხვედრას როგორ გამოტოვებდა? როგორც ყოველთვის, კუპერმა სამთავრობო ლოჟას კვლავაც ტრიბუნაზე ჯდომა ამჯობინა და თანაშემწე **ხოსე ფანტაგუცისთან** ერთად კვლავაც გემრიელად იხალისა... **ოთარ მამასახლისის** „საფეხბურთო შოუზე"...

ეს შეხვედრა შაბათს ჩატარდა და მეორე დღეს „ვიტ ჯორჯიას" ჩინებული შანსი მიეცა, რომ „დინამოსთან" სხვაობა უკვე ხუთ ქულამდე გაეზარდა. სხვა გუნდებზე ვსაუბრობთ და ხანდახან „გვავიწყდება" კიდეც „ვეტერინართა" წაუგებელი სერიის აღნიშვნაც; არადა, **რამაზ მუმლაძის** საჩემპიონოდ მომართულმა გუნდმა უკვე მეთორმეტე წაუგებელი შეხვედრა ჩაატარა! თანაც, „ვიტ ჯორჯიამ" ჩემპიონატში ზედიზედ მეხუთე გამარჯვებით უახლოესი მდევარიც გვარიანი სხვაობით ჩამოიტოვა და „ლოკომოტივთან" პირველ წრეში ნაგების გამო რევანშიც აიღო. სამწუხაროდ, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე მოედნის საფარის მდგომარეობა კრიტიკას ვერ უძლებს. ალბათ, ამის გამოც იყო, რომ მთელი შეხვედრის განმავლობაში გადაცემებსა თუ ბურთის ფლობაში უამრავი წუნი შეინიშნებოდა. ერთი შეხედვით, „ვეტერინარებს" იოლად არ მოუპოვებიათ სამი ქულა, მაგრამ 90 წუთის განმავლობაში მათი უპირატესობა ეჭვქვეშ არ დამდგარა. თანაც, სწრაფმა გოლმაც სასიკეთოდ იმოქმედა - სტუმრები უფრო თავისუფლად ათამაშდნენ და შეხვედრის ბოლომდეც გონივრულად აკონტროლებდნენ თამაშის რიტმს. აი, „ლოკომოტივზე" უკვე გვიმძიმს საუბარი: **გიორგი კიკნაძისა** და **ზაზა ზამთარაძის** გუნდმა ჩემპიონატში ზედიზედ მეექვსე (!) შეხვედრა წააგო! ჰო, სექტემბერსა და ოქტომბერში ცხრილის ერთპიროვნული ლიდერი გუნდი ამჟამად მეექვსე ადგილამდე ჩამოქვეითდა და ალბათ, იმის თქმაც შეგვიძლია, რომ „ლოკომოტივი" საჩემპიონო რბოლას ჩამოშორდა! რა თქმა უნდა, **ლევან ცქიტიშვილის**, **ვიტალი დარასელიას** და **ირაკლი სამხარაძის** არყოფნა სერიოზული დანაკლისია, მაგრამ მათ გარდაც ხომ არიან „ლოკომოტივში" ისეთი ფეხბურთელები, თამაშის შედეგზე გარკვეული გავლენის მოხდენა რომ შეუძლიათ...

სერიოზული პრობლემები აქვს კიდევ ერთ გუნდს, თუმცა ახალციხის "მესხეთს" საკადროსთან ერთად ფინანსური გაჭირვებაც დაემატა. არადა, **კობა თედიაშვილის** გუნდი აშკარად საკუთარი ხელწერით გამოირჩეოდა, ახლა კი ფინანსური გაჭირვების გამო გუნდს, ფაქტობრივად ჩაშლილი აქვს საწვრთნელი პროცესი და ფეხბურთელებიც, უკეთეს შემთხვევაში, მატჩის წინადღეს თუ შეიკრიბებიან ხოლმე. აქედან გამომდინარე, ნუ გაგვიკვირდება „მესხეთის" მარცხი, თანაც, „ვილაცასთან" ხომ არ წააგო? ბოლოს და ბოლოს, „სიონი" შემადგენლობითა და ამბიციით მართლაც პირველი ხუთეულის გუნდია. ერთადერთი, ალბათ, საკუთარი მოედნის ფაქტორის მაქსიმალურად გამოყენება მართებს **ოთარ კორლალიძის** გუნდს - ბოლნისელები შინაც რომ ისე თამაშობდნენ, როგორც სტუმრად, აი, მაშინ კი ჩემპიონობაზეც უნდა ჰქონოდათ პრეტენზია.

დაბოლოს, ორ მატჩზეც, სადაც ერთმანეთს სატურნირო ცხრილის ქვედა ნახევრის გუნდები ხვდებოდნენ. „ამერის" სტადიონზე ოსტატისა და შეგირდის დაპირისპირება ვიხილეთ: **ვლადიმერ ხაჩიძე** წლების განმავლობაში „ბორჯომის" თავკაცი იყო, ხოლო **გიორგი სუხიაშვილი** ჯერ ამ გუნდის მოთამაშე გახლდათ, მერე კი მეორე მწვრთნელი. ახლა ხაჩიძე ახალგაზრდულ და ერთობ საინტერესო „გაგრას" უძღვება, სუხიაშვილი კი „მესხეთის" მსგავს პრობლემებს შესჭიდებია და „ბორჯომის" წამოწევას ცდილობს. მოკლედ, ყველა ასპექტში მნიშვნელოვანი მატჩი იყო და მასპინძლებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს. თანაც, მორიგი შთამბეჭდავი შეხვედრა ჩაატარა ახალგაზრდა **გიორგი გაბედავამ**...

აი, სატურნირო ცხრილის აუტსაიდერმა კი ორთვიანი პაუზის მერე პირველად გაიმარჯვა. ეგ კი არა, **სერგო გაბელაიას** გუნდისთვის სულაც პირველი საშინაო ქულები იყო - მანამდე „სპარტაკს" ექვსივე მატჩი წაგებული ჰქონდა. არადა, პირველი ტაიმის მერე ძნელად თუ იფიქრებდა ვინმე, რომ „სპარტაკი" დიდი ანგარიშით კი არა, საერთოდ გამარჯვებას შეძლებდა - მანამდე ხომ უპირატესობას „მგლები" ფლობდა. გადამწყვეტი აღმოჩნდა მოედანზე **მამუკა ლონლაძის** გამოჩენა - წინა სეზონში „სპარტაკის" საუკეთესო ბომბარდირმა ორი გოლი გაიტანა და ერთი საგოლე პასიც მიითვალა!

**გია ტუხაშვილი**

XV ტურის სიმბოლური ნაკრები






ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯია 0:1

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურის მწვრთნელი

ვარლამ კილასონია

# გუნდში მშვენიერი ატმოსფეროა

**ვარლამ კილასონიამ მეშვიდე ტურში ჩაიბარა რუსთავის „ოლიმპი“. ამ პერიოდში გუნდმა ერთი ტური გამოტოვა, ექვსი მატჩი ჩაატარა და სამჯერ კილასონია ტურის საუკეთესო მწვრთნელად ვაღიარეთ. რუსთავის „ოლიმპის“ ფერისცვალებამ ასეთი არჩევანისკენ გვიბიძგა - ბოლო ტურში რუსთაველებმა თბილისის „დინამო“ 1:0 დაამარცხეს და ლიდერთა ჯგუფს მიუახლოვდნენ.**

**როგორც ჩანს, საუბრები გუნდში არსებულ არაჯანსაღ ვითარებაზე დასრულდა. ვარლამ კილასონიაც ამის შესახებ ლაპარაკობს:**

- შემიძლია თამამად გითხრათ - „ოლიმპში“ არის იდეალური ატმოსფერო საიმისოდ, რომ წარმატებით ვითამაშოთ. ბიჭებმა მიაღწიეს ერთსულოვნებას და უკვე ხალისით თამაშობენ. ეს შედეგებსაც დაეტყო.

**- სხვათა შორის, საქართველოს ჩემპიონატების ოცწლიან ისტორიაში, რუსთავის გუნდმა შინ თბილისის „დინამო“ პირველად დაამარცხა.**

- ესეც კარგად ვიცოდი და ამიტომაც ვარ ძალიან ბედნიერი. ჩვენი გულშემატკივარი გახარებული დავტოვეთ. დარწმუნებული ვარ, ვინც ეს მატჩი ვერ იხილა, ბევრი წააგო. ერთია მოგება, მეორე კი კარგი თამაშით მეტოქის დამარცხება. ვთვლი, რომ ჩვენ სწორედ ეს შევძელით.

**- შეძლებისდაგვარად გულახდილად ვისაუბროთ: „ოლიმპის“ გამარჯვება „დინამოს“ სუსტი თამაშის ბრალი ხომ არ იყო?**

- მაინც ვთვლი, რომ მეტოქე კარგად შევისწავლეთ. „დინამოს“ ვაწაძისა და მერებაშვილის არყოფნით, დიდი ძალა დააკლდა. თუმცა არ შემიძლია ჩვენი ბიჭების კარგი თამაში არ აღვნიშნო. მათ მონდომებით, აგრესიულად, თანამედროვე სტილში ითამაშეს. მეტოქემ კი ისე ითამაშა, რამდენის უფლებაც ჩვენ მივეცით.

**- პრესკონფერენციაზე ბრძანეთ, რომ ვაწაძისა და მერებაშვილის არყოფნაში, გუნდის თამაში სხვაგვარადააწყვეთ. ეს კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა?**

- არ მითქვამს, რომ ამით „დინამო“ დაიშალა. იმავე სპასოევიჩის შეჩერება საკმაოდ რთულია და არიან „დინამოში“ კიდევ საინტერესო მოთამაშეები.

რაც შეეხება ტაქტიკას, უბრალოდ, ძალიან სწორი ფეხბურთის დემონსტრირება მოვახერხეთ. ასეთი მოტივირებული ბიჭები არ მახსენდება. ეს ის შემთხვევა იყო, როდესაც მოედანზე ყველაფერი გამოგვდიოდა, რაც ფეხბურთში იშვიათად ხდება. რა თქმა უნდა, იყო პატარ-პატარა შეცდომებიც, მაგრამ ვთვლი, რომ „დინამოსთან“ სეზონში საუკეთესო თამაში ჩავატარეთ.

**- თამაშში გარდატეხა მოხდა მას შემდეგ, მოედანზე ონიანი შეიყვანეთ. უცნაური იყო, 0:0-ზე ნახევარმცველი დეკანოსიძე მცველი ონიანით რომ შეცვალეთ.**

- ონიანმა დაცვაში თავისი ადგილი დაიკავა, ჩიკვილაძემ კი საყრდენის პოზიცია. „დინამო“ მოკლე გადაცემების ნაცვლად, საჯარიმოში ბურთის ჩაკიდებით ცდილობდა ფონს გასვლას. გიორგი ონიანი კი თავით მშვენივრად თამაშობს და დავალებას თავი კარგად გაართვა. ჩიკვილაძის საყრდენად გადაყვანაც გუნდს წაადგა. ამ დროს, ჩვენმა თავდამსხმელებმა ბევრი იმუშავეს, ბევრი იმოძრავეს და შეტევის გამწვავება აღარ შეეძლოთ, ისე დაიღალნენ. თადარიგში მეგრელაძე და მიკუჩაძე გვყავდა, თავდამსხმელები, რომლებიც სწორედ გამწვავებით გამოირჩევიან. მეგრელაძეს ტრავმა ახალი მორჩენილი ჰქონდა და ამიტომ ვათამაშე მხოლოდ მეორე ტაიმში. ვფიქრობ, გია საქართველოში საუკეთესო თავდამსხმელია.

**- „ვიტ ჯორჯიასთან“ შემდეგი ტურის მატჩი „ოლიმპის“ სამომავლო პოზიციებზე აისახება.**

- უმძიმესი შეხვედრა გველის. „ვიტ ჯორჯია“ ძალიან კარგ სეზონს ატარებს, „დინამოსთან“



ვარლამ კილასონია

ხუთქულიანი უპირატესობა გააჩნია. რაც მთავარია, ამ გუნდის ფეხბურთელები ძალიან მობილიზებულად, სწრაფად თამაშობენ და ბრძოლისუნარიანობითაც გამოირჩევიან. ამის მიუხედავად, ჩვენ არაფრის დათმობას არ ვაპირებთ.

**- რამდენად რეალურად აღიქვამთ იმ ფაქტს, რომ შესაძლოა „ოლიმპი“ საჩემპიონო ბრძოლაში ჩაერთოს?**

- „ოლიმპი“ ახლა მხოლოდ საკუთარ თავზე არაა დამოკიდებული. მეტოქეებმაც უნდა დაკარგონ ქულები. სხვაგვარად ყველა შეხვედრაც რომ მოვიგოთ, კონკურენტებს ვერ დავეწევით. ვფიქრობ, ჩემპიონატი საინტერესოდ განვითარდება, „ოლიმპი“ ბრძოლას ბოლომდე აპირებს.

**- ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ „ოლიმპს“ ძალიან მოკლე სათადარიგოთა სკამი აქვს. ხშირად 18-კაციან განაცხადსაც ვერ ავსებთ - რას აპირებთ?**

- სამწუხაროდ, ჩვენ არ გვყავს ფარმკლუბი, ფეხბურთელები რომ დავიმატოთ, ისედაც, შეზღუდული კონტინგენტით ვთამაშობთ და ერთი ფეხბურთელის ტრავმა ან დისკვალიფიკაციაც ჩვენთვის კატასტროფაა. ზამთრის შესვენების დროს გუნდის ხელმძღვანელობა თავის შესაძლებლობებს გადახედავს, ვილაცებს დავიმატებთ, ალბათ, განათხოვრებულ მოთამაშეებსაც დავიბრუნებთ და ამ პრობლემას მოვაგვარებთ.

**- რომელ განათხოვრებულ მოთამაშეებს გულისხმობთ?**

- ზუგდიდის „მგლებში“ მიქაბერიძე და რეხვიაშვილი თამაშობენ, „სიონში“ კი ხუბუა. ალბათ, ეს ფეხბურთელები და პლუს რამდენიმე ახალი მოთამაშე გაგვაძლიერებს.

**- დაბოლოს: მეტალურგიულ ქარხანაში შექმნილი პრობლემები „ოლიმპს“ არ დაეტყო?**

- არანაირად არ დასტყობია - ხელფას-პრემიებს დროულად ვიღებდით და ვიღებთ.

ლეგიონერი

ირაკლი გეფერიძე

# ...რუსეთის ნაკრებზე ამიტომ ვთქვი უარი

## რა გამოიწვია რუსეთის იუნიორთა ნაკრების ქართველი ექსთავდამსხმელის ინტერვიუმ?

ირაკლი გეფერიძის სახელი პირველად წლების წინათ „სპორტ-ექსპრესის“ სანაკრებო სტატისტიკაში ამოვიკითხეთ, თურმე, რუსეთის 16-წლამდელთა გუნდის ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელი ქართველი ყოფილა. მას შემდეგ ამ ბიჭს ყურადღებით ვადევნებდით თვალს. ერთი პერიოდი მწვრთნელი, გელა გომელაური ცდილობდა ნიჭიერი ბავშვის საქართველოში ჩამოყვანას, თუმცა ეს მცდელობა უშედეგოდ დასრულდა.

*„გეფერიძეს რუსული ფეხბურთის იმედს ეძახიან, მასზე დიდ იმედებს ამყარებენ და გული მწყდება, რომ ჩვენს19-წლამდელთა ნაკრებს ვერ დაეხმარება“* - თქვა მაშინ გომელაურმა.

თუმცა, 18 წლის ასაკიდან ირაკლის პროგრესი შეჩერდა, რუსეთის პრემიერლიგის გუნდებში მოგზაურობდა და ახლა თავი ისრაელში ამოყო. რას ფიქრობს რუსეთში ცხოვრებაზე, რატომ არ ითამაშა საქართველოს ნაკრებში, ამის შესახებ თავად ირაკლი გეფერიძე გვესაუბრება, რომელიც ამჟამად ისრაელში, პირველი ლიგის ლიდერ ჰაიფას „მაკაბის“ ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა.

**- ირაკლი, რუსული ფეხბურთიდან გაგიცანით და შენი ისრაელში წასვლა მოულოდნელი აღმოჩნდა.**

- „მაკაბიში“ უკვე მეხუთე თვეა ვთამაშობ - ერთწლიანი კონტრაქტი გავაფორმე და მიხარია, რუსეთიდან რომ წამოვედი.

**- რუსეთში ბევრი კლუბი შეიცვალე, ერთ ადგილას რატომ ვერ ჩერდებოდი?**

- კარგ ვითარებას არავინ გაურბის. მეც ასე ვარ. ბოლოს მოსკოვის „ტორპედოში“ ვთამაშობდი, მაგრამ იქ პრობლემები შემექმნა და წამოსვლა მომიხდა.

**- ასეთი რა პრობლემა გქონდა და ვისთან?**

- ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა დამეძაბა, რადგან ქართველები არ უყვარდათ. ჩვენებზე რამდენჯერმე ცუდად თქვეს, რაც არ მესიამოვნა და პირშიც ვუთხარი, ქართველები ამას არ ვიმსახურებთ-მეთქი. ამის შემდეგ გუნდიც დავტოვე. აღარც მინდა მაშინდელი ამბების გახსენება.

**- როგორც გავიგე, ისრაელის ერთ-ერთ გაზეთთან რუსებზე ისეთი რამ**



უტევს ირაკლი გეფერიძე

**გილაპარაკია, იქ ჩასვლას ველარც ახერხებ.**

- ეს ინტერვიუ რუსეთის აგრესიის დროს ჩაწერეს. გულახდილად ვთქვი, რასაც ამ ომზე ვფიქრობდი. მე ხომ ვიცი, იმ დროს რაც ხდებოდა საქართველოში - ჩემი ოჯახის წევრები თბილისში იყვნენ. იმას რა დამავიწყებს, როგორი მძიმე დღეები გადაიტანეს. მეც რისი თქმაც შეიძლებოდა, ყველაფერი პირდაპირ ვთქვი.

**- რუსეთში ჩასვლის პრობლემა მართლა შეგექმნა?**

- ეს არ ვიცი, დიდი ხანია მოსკოვში არ ჩავსულვარ.

**- რა დასამალია და შენგან გაცილებით მეტს ველოდით, რუსეთის პრემიერლიგის რომელიმე გრანდში წარმატებულ თამაშს და არა ისრაელის პირველ ლიგაში გადასვლას. კარიერა რატომ აგერია?**

- ყველაფერი გრანატკინის სახელობის ტურნირიდან დაიწყო. რუსეთის ნაკრებში საკმაოდ წარმატებით ვითამაშე და ჩემით უცხოელები დაინტერესდნენ, როგორც გავიგე, იტალიური, გერმანული, ესპანური და ინგლისური კლუბები. ჩემთან მოვიდა ევროპელი მენეჯერი და ჩემი ტრანსფერის გამოსყიდვა სურდა. თუმცა ამ ლაპარაკის შემდეგ, „სატურნში“ მითხრეს, რომ გუნდის ძირითად შემადგენლობაში უნდა მეთამაშა და დარჩიო. ევროპელ აგენტს კი უთხრეს, რომ გეფერიძის ტრანსფერის გაყიდვას არ აპირებდნენ. მართლაც ამიყვანეს „სატურნში“, გუნდს შეკრებაზე გავყევი და მაშინ შეიცვალა გუნდის პრეზიდენტი, შემდეგ მთავარი მწვრთნელიც და დუბლებში ამიყვანეს. ამ ყველაფერს დუბლების მწვრთნელის შეცვლაც დაემატა და ის საერთოდ აღარ მათამაშებდა. მერე ის ევროპელი მენეჯერი ჩემით კვლავ დაინტერესებულა და „სატურნის“ ადმინისტრაციაში უთხრეს - ცუდად იქცეოდა და დუბლებში ამიტომ ჩამოვაქვეითეთო.

**- ასე რატომ მოგექცნენ?**

- ნაღდად არ მიზარმაცია. „სატურნის“ ადმინისტრატორი სულ მეუბნებოდა, რომ დასანახად ვერ მიტანდა, ერთი სული მაქვს, როდის წავალო. როდესაც გუნდის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ასე ფიქრობს, ძნელია იქ გათამაშონ და თავი გამოიჩინო. მერე მოსკოვის „ტორპედოშიც“ იგივე მოხდა და აღარ შემეძლო იქ ცხოვრება. ვგრძნობდი, ქართველობის გამო, წინსვლის საშუალებას არ მაძლევდნენ. ერთ შეხვედრას კარგად ჩავატარებდი და რომ მეგონა, შემდეგში პრობლემა არ შემექმნებოდა, სკამზე მსვამდნენ. ასეთ მდგომარეობასთან შეგუება მიჭირდა. ახლა 21 წლის ვარ და ახალგაზრდა ბიჭი უთამაშებლობას თუ შეეგუე, დიდ ფეხბურთს ვერასდროს ითამაშებ.

**- როგორც მახსოვს, 19-წლამდელთა ნაკრებში მუშაობის დროს, საქართველოს გუნდში შენი მოწვევა გელა გომელაურს სურდა, მაგრამ რუსეთის მოქალაქეობის და რუსეთის ნაკრებში თამაშის გამო, ეს გამორიცხა.**

- ასე იყო, მაგრამ მაშინ ჩემი ჩამოსვლა ვერ მოხერხდა. გომელაურმა კი მოინდომა, მაგრამ რუსეთის ნაკრებში უკვე ნათამაშევი მქონდა - 17-წლამდელებში მიმიწვიეს, ვითამაშე და პრობლემაც ამიტომ შეიქმნა.

სხვათაშორის, მე თბილისში რამდენიმე წელიწადი გელა გომელაურთან, „ნორჩ დინამოელში“ ვვარჯიშობდი. მოსკოვში 1998 წელს გადავსახლდი, რადგან ოჯახი იქ გადავიდა. ჩვენ სოხუმელები ვართ და იმ დროს რუსეთში ცხოვრების უკეთესი პირობები იყო.

**- მოსკოვში რომელ სკოლაში ვარჯიშობდი?**

- „ტორპედოს“ სკოლაში ჩავირიცხე, ჩემი ასაკის ტურნირებში ბევრი გამქონდა, სეზონში 30-35 გოლი და რუსეთის 16-წლამდელთა ნაკრებიც დაინტერესდა. ეს მამაჩემს „ტორპედოს“ პრეზიდენტმა უთხრა, თან ჩემი პასპორტის მიტანა გვთხოვა, ნაკრებს უცხოეთში რომ გავყოლოდი. ამ დროს, მე მხოლოდ საქართველოს ნაკრებში თამაში მსურდა, მამაჩემიც იმავე აზრზე იყო და თბილისში, ფეხბურთის ფედერაციაში დარეკა, არ გვინდა, ირაკლიმ რუსეთის მაისურა ჩაიცვას და იქნებ, ყურადღება მიაქციოთო. მერე რა მოხდა, არ ვიცი. ეტყობა, ჩათვალეს, რომ რუსეთის ნაკრებში მიწვევას ვიგონებდით და არც დაინტერესებულან. მამაჩემმა „ტორპედოს“ პრეზიდენტს მაინც უარი უთხრა - სოხუმელები ვართ და რუსეთის ნაკრებში ჩემი შვილი არ ითამაშებსო. თუ არ ითამაშებს, მაშინ გუნდიდანაც წადიო - მოკლედ, ასე ჩავირიცხე რუსეთის ნაკრებში. სამწუხაროდ, გომელაური 19-წლამდელებში მოგვიანებით დანიშნეს, იმ დროს უკვე ნათამაშევი მქონდა რუსეთის ნაკრებში. არადა, ჩემი ოცნება იყო და არის საქართველოს ნაკრებში თამაში.

სხვათა შორის, სწორედ ამის გამო არ წავედი რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებში. იქ რომ მეთამაშა, საქართველოს სახელით გამოსვლის უფლებას საბოლოოდ დავკარგავდი. ასაკობრივ ნაკრებებში გამოსვლის შემდეგ, კი, გარკვეული დროა საჭირო ამ პრობლემის მოსაგვარებლად. იურიდიულად შეიძლება ამ საკითხის მოგვარება.

**- ეს ჩვენთვის სიურპრიზია, რომ რუსეთზე უარის თქმა გინდოდა.**

- შეიძლება, საქართველოს პასპორტი ზაფხულში ავიღო. ბავშვობიდან ჩემი ოცნება საქართველოს ნაკრებში მოხვედრა იყო და არა რუსეთში თამაში. საქართველოში დასახლებაზეც ბევრი მიფიქრია. ერთი სული მაქვს, იქნებ, სოხუმშიც დავბრუნდეთ...

**- ჰაიფას „მაკაბში“ თამაში გაკმაყოფილებს?**

- გუნდი პირველი ლიგის ლიდერია, უმაღლესში გადასვლის იმედი გვაქვს და დღეისათვის ჩემთვის მისაღები ვარიანტია. 13 თამაში ჩავატარე, ფორმა აღვიდგინე და უკეთესობას აშკარად ვგრძნობ.

**- უკეთეს გუნდში გადასვლის პერსპექტივა არ გაგაჩნია?**

- „მაკაბიში“ კონტრაქტის გახანგრძლივება შემომთავაზეს. არის სხვა ებრაული გუნდების წინადადებები. რუსეთში კი ნაღდად არ მინდა თამაში.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანგული ფეხბურთი

# ევრო 2016 საფრანგეთში?

## ლილიან ტურამი მიშელ პლატინის ადგილას



ლილიან ტურამი ფეხბურთის ფედერაციის ჩინოვნიკი გახდა

რამდენიმე დღის წინ საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ჟან პიერ ესკალეტმა** მთელ ქვეყანას აუწყა, რომ მისი ქვეყანა 2016 წელს ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობას გეგმავს. *„15 დეკემბერს უეფა მის წევრ ყველა ქვეყანას ერთი და იმავე შინაარსის წერილს გაუგზავნის - სურს თუ არა 2016 წელს ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა. ჩვენი გეგმა აქამდეც არავისთვის დაგვიმალავს. რვა წელიწადში გრანდიოზული ტურნირის მასპინძლობა მთელი სულითა და გულით გვსურს. განაცხადი უკვე მზად გვაქვს და მალე ოფიციალური პრეტენდენტები გავხდებით,“* - კმაყოფილებას ვერ მალავდა მოსიე ესკალეტი.

ის ახლა პრეზიდენტ **ნიკოლა სარკოზისთან** აუდიენციას ელის, რათა მისგან მხარდაჭერა მიიღოს. ბუნებრივია, საფეხბურთო ინფრასტრუქტურას განსაკუთრებული რეკონსტრუქცია არ დასჭირდება, რადგან 10 წლის წინ ქვეყანამ ღირსეულად უმასპინძლა მსოფლიოს ჩემპიონატს. თუმცა სტადიონებს ხელის შევლება არ აწყენდა. იმისთვის, რომ სახელმწიფომ ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა შეძლოს, ცხრა უმაღლესი კლასის სტადიონი უნდა გააჩნდეს, რომელთაგან თითოეულმა მინიმუმ 30 ათასი მაყურებელი უნდა დაიტიოს. საფრანგეთს აღნიშნული პრობლემები არ აწუხებს.

ამასობაში, უეფას პრეზიდენტმა **მიშელ პლატინიმ** საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის ვიცეპრეზიდენტობაზე უარი განაცხადა. მას საქმე შვეიცარიაშიც თავზე საყრელად აქვს. პლატინის ადგილზე ფედერაციის ალმასკომმა **ლილიან ტურამი** დაამტკიცა. ამრიგად, „იუვენტუსის“ 37 წლის ექსვარსკვლავი 1998-2000 წლების საფრანგეთის დიდი გუნდის პირველი წევრი გახდა, რომელმაც საფეხბურთო ჩინოვნიკის პორტფელი ჩაიბარა: *„მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ფედერაციის პრეზიდენტს, რომელმაც აღნიშნული პოსტი მოულოდნელად შემომთავაზა. ყველაფერს ვილონებ, რათა ჩემს ქვეყანაში ფეხბურთი კიდევ უფრო განვითარდეს. ეს ის საქმეა, რომელსაც აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგ ყველაზე მეტად ვინატრებდი...“*

ნიუკასლი

# ოუენი: კონტრაქტი არავის შემოუთავაზებია

## ჯორდების ბოსი მოლაპარაკებას დღესვე დაიწყებს



მაიკლ ოუენი ნიუკასლისაგან ახალ კონტრაქტს ელოდება

„ნიუკასლის“ თავდამსხმელი **მაიკლ ოუენი** ამბობს, რომ მიუხედავად **ჯო კინეირის** მიერ დადასტურებული ინტერესისა, მისთ_ის ახალი კონტრაქტი არავის შეუთავაზებია. არადა, მისი ხელშეკრულება სეზონის ბოლოს იწურება. *„გუნდში უამრავი ისეთი ფეხბურთელია, ვის კონტრაქტსაც მომავალი წლის ივნისში გასდის ვადა, მაგრამ როგორც ვიცი, თანამშრომლობის გაგრძელება ჯერ არავისთვის შეუთავაზებიათ. მათ შორის ვარ მეც. ასე რომ, პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომ ახალ კონტრაქტზე უარი ვთქვი, ტყუილია. ველოდები კლუბის ხელმძღვანელებთან შეხვედრას. კლუბთან თანამშრომლობის გასაგრძელებლად მზად ვარ,“* - განუცხადა „სქაი სპორტსს“ ფეხბურთელმა.

მაიკლის ამ განცხადებას უმალ გამოეხმაურა „კაჭკაჭების“ თავკაცი **ჯო კინეირი**. მისი თქმით, კლუბი არ აპირებს ოუენზე უარის თქმას. *„მაიკლ ოუენმა იცის, რომ მასთან გამოთხოვებას არ ვაპირებთ. ფეხბურთელით დაინტერესებული ყველა კლუბი უარით გავისტუმრეთ. არ მგონია, მისი გაყიდვით იმხელა დივიდენდი მივიღოთ, რამდენსაც მისი დარჩენა მოგვცემს. ის ჩვენი ლიდერია. მაიკლს თავისუფლად შეუძლია სეზონში 15-20 გოლის გატანა და გუნდისთვის დიდი წარმატების მოტანა,“* - განუცხადა BBC-ის კორესპონდენტს კინეირმა.

გუნდის თავკაცის ასეთი სიტყვების შემდეგ კომენტარი გააკეთა ჯორდების ბოსმა **მაიკ ეშლიმ**. მისი თქმით, თუ ფეხბურთელს [illegible] ძლიერ სურს მოლაპარაკებების დაწყება, ის მზადაა, სურ[illegible]ილი ხვალვე შეუსრულოს. ამისთვის სულაც არ არის აუცილებელი იანვრის ლოდინი.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# დიარა: რეალი თუ სიტი?

## ჰიუზის სია ძალზე დიდია, მაგრამ..



ლასანა დიარას სარფიანი ნინადადებები არ აკლია

მადრიდის „რეალი“ მზადაა, „პორტსმუთს“ 20 მილიონი ევრო შესთავაზოს ფრანგი ნახევარმცველის **ლასანა დიარას** სანაცვლოდ. მოგეხსენებათ, სამეფო კლუბში სერიოზული საკადრო გადაადგილებებია მოსალოდნელი. მადრიდელებს მოთამაშის შეძენა იანვარში სურთ, მაგრამ მოლაპარაკების დაწყებისგან თავს იკავებენ. მიზეზი პროზაულია - დიარა ტრავმას იშუშებს და მისი დაბრუნების ვადა უცნობია.

რაც შეეხება თავად კლუბის პოზიციას: რა მოხდება სეზონის ბოლოს, სხვა საქმეა, მაგრამ **ტონი ადამსი** ლიდერის იანვარში გასხვისებაზე არც კი ფიქრობს. საეჭვოა, სეზონის ბოლოს „რეალს“ დიარას დახმარება კიდევ დასჭირდეს. იქამდე ტრავმირებული **რუბენ დე ლა რედი** და **მამადუ დიარა** გამოჯანმრთელდებიან.

ლასანა დიარა „მანჩესტერ სიტისა“ და „ტოტენჰემსაც“ სურთ. სწორედ ამ დღეებში წერდა „ობზერვერი“, რომ „ქალაქელებმა“ ფრანგის შეძენა მტკიცედ გადაწყვიტეს და მადრიდელების მს[illegible]ავსად, 18 მილიონ გირვანქას (დაახლოებით 20 მილიონი ევრო) ჩამ[illegible]დიან.

აქვე გაგაცნობთ **მარკ ჰიუზის** კომენტარს: *„ჩვენ მიზნად დავისახეთ, შევიძინოთ არა მქუხარე სახელის ფეხბურთელები, არამედ ისეთი კალიბრის მოთამაშეები, რომლებიც რეალურად შეძლებენ თამაშის ხარისხის ჩვენ[illegible]. ასეთი ფეხბურთელი კი [illegible] უამრავია. შესაბამისად, სავარაუდო სამიზნეების რიცხვი თანდათან ზრდება და პირობას გაძლევთ, რომ სატრანსფერო ფანჯრის გახსნამდე სია კიდევ გაფართოვდება, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ყველას ვიყიდით...“*

ტოტენჰემი

# რედნაპმა ჯო კოულს დაადგა თვალი

## მამლებს ტრავმების ეპიდემიამ დარია ხელი

**ხუანდე რამოსის** „ტოტენჰემს“ 5 მაღალი კლასის თავდამსხმელი ჰყავდა. შემდეგ საქმე იქამდე მივიდა, რომ ლამის ყველა გაყიდეს და ორის იმედადღა დარჩნენ. ვერ გეტყვით, „მამლებს“ მართლა სურთ თუ არა ოდინდელი სტატუს კვოს აღდგენა, მაგრამ მხოლოდ **ბენტის**, **პავლუჩენკოსა** და **ფრეიზერ კემპბელის** (ეს უკანასკნელი მანჩესტერ იუნაიტედის საკუთრებაა და ლონდონში იჯარით თამაშობს) იმედად დარჩენას რომ არ აპირებენ, ცხადია. სწორედ ამიტომ ლამის ყოველდღე ვრცელდება ხმები, რომ ლონდონელებს ამა თუ იმ თავდამსხმელის შეძენა სურთ.

ბოლო დროს ლაპარაკი იყო **მაიკლ ოუენისა** და **ფერნანდო კავენაგის** ტრანსფერებზე. ლონდონელები მხოლოდ ერთ-ერთის შეძენას აპირებენ. ოუენის ზამთარში ყიდვა წარმოუდგენელია, რადგან თავად ფეხბურთელი „ნიუკასლისგან“ ჯიუტად ითხოვს ახალ კონტრაქტს. თუ ოუენმა „კაჭკაჭებთან“ კონტრაქტი არ გაახანგრძლივა, სეზონის ბოლოს „მამლებს“ მისი გადაბირება უფასოდ შეეძლებათ. კავენაგი „ბორდოს“ საკუთრებაა. ფრანგები არგენტინელის გაყიდვას ჯერ არ აპირებენ, მიუხედავად იმისა, რომ ლონდონელები 15 მილიონ გირვანქას ჩამოდიან.

„ტოტენჰემის“ თავკაც **ჰარი რედნაპს** ჩელსელი **ჯო კოულის** შეძენაც სურს. ეს ბიჭი ამ მწვრთნელის გაზრდილია. ისინი „ვესტ ჰემში“ ერთად მოღვაწეობდნენ. ინგლისის ნაკრების გარემარბი 20 მილიონი გირვანქა ღირს. მიმომხილველები მის ტრანსფერს ეჭვით უყურებენ, რადგან ცნობილია, რომ ზამთარში „მამლები“ მაქსიმუმ 30 მილიონი გირვანქის დახარჯვას აპირებენ.

„მანჩესტერ იუნაიტედთან“ ნამატჩევს „ტოტენჰემის“ ლაზარეთი ორი ფეხბურთელით შეივსო. **კარლოს ტევესთან** შეჯახებისას სერიოზულად დაშავდა **ჯონათან ვუდგეიტი**. მან ხერხემლის ძველი ტრავმა გაიმიზეზა და გაურკვეველი დროით ჩამოშორდა მინდორს.

*„ჯონათანის ტრავმა, თანაც იმ დროს, როცა ლედლი კინგიც დაშავებულია, ნამდვილი კატასტროფაა“*, - განაცხადა რედნაპმა. რაც შეეხება **ჯერმენ ჯენასს**, მისი ტრავმა შედარებით მსუბუქია. ჯენასს ბარძაყის კუნთი აქვს გაწყვეტილი და ორიოდ კვირა გაუცდება. *„სხვა გზა არ მაქვს. უეფას თასზე „სპარტაკთან“ მატჩისათვის ახალგაზრდული შემადგენლობიდან რამდენიმე ფეხბურთელი უნდა გამოვიძახო,“* - დაასკვნა რედნაპმა.

ამბები

### უეფამ ჯარიმები გამოწერა

უეფას სადისციპლინო კომიტეტმა, ევროტურნირებზე მომხდარი დარღვევების გამო, რამდენიმე სახელოვანი კლუბი დააჯარიმა. 27 ნოემბერს, „რიასორზე“ „დეპორტივო“ „ფეიენოორდს“ დაუპირისპირდა და 3:0 გაანადგურა. გაღიზიანებულმა ჰოლანდიელმა გულშემატკივრებმა ჯავრი სტადიონზე იყარეს და პროვოკაციის მოწყობა სცადეს. ისინი მოედანზე სხვადასხვა ზომის საგანს ისროდნენ. მათ მასპინძელი ფანებიც აჰყვნენ. საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. უეფამ „ფეიენოორდს“ 25 ათასი ევროს გადახდა დააკისრა, ხოლო „დეპორტივოს“ სულ რაღაც 5 ათასის. გარდა ამისა, „ფეიენოორდის“ ხელმძღვანელობა გალისიელ კოლეგებს უნდა დაუკავშირდეს და სტადიონისთვის მიყენებული ზარალი უნდა აანაზღაუროს.

„რომა“ 20 ათას ევროს გადაიხდის იმის გამო, რომ ტიფოზები „ჩელსისთან“ საშინაო თამაშისას სტადიონის შესასვლელებს ბლოკავდნენ და სერიოზულ პრობლემებს ქმნიდნენ. დაჯარიმდა „მარსელიც“, რომლის ფანებმა „ლივერპულთან“ 26 ნოემბრის მატჩისას მინდორზე უამრავი უცხო საგანი ისროლეს. ფრანგები 10 ათასი ევროთი გალარიბდებიან.

### სკოლარი: უკმაყოფილების საფუძველი არსებობს

„ჩელსისა“ და „ვესტ ჰემის“ საკვირაო დერბის შემდეგ **ლუიშ ფელიპე სკოლარიმ** განაცხადა, რომ მას მშვენივრად ესმის გულშემატკივართა უკმაყოფილების მიზეზი. *„რითი უნდა იყვნენ კმაყოფილნი გულშემატკივრები? განა მათ საამისო მიზეზი აქვთ? ჩვენს წარუმატებელ მატჩებზე ბევრს ვფიქრობ. აშკარაა, რომ ჩემი ფეხბურთელები წარმატებისთვის ყველაფერს აკეთებენ, მაგრამ ქულების დაგროვებაში ხელს გვიშლის ხან ჩვენივე ელემენტარული შეცდომები, ხან მსაჯები... ფრენკ ლემპარდი მეკარის მოედანზე წაიქცა. გამეორებაზე აშკარად ჩანს, რომ სტუმართა მცველი შეეხო, წაიქცია და მხოლოდ ამის შემდეგ გაწი[illegible] ფეხი. მაიკ რაილი შეცდა, როცა თერთმეტმეტრიანი არ მოგვცა. ბევრმა გუნდმა მიმდინარე სეზონში 3-4 პენალტი დაარტყა. ჩემი ფეხბურთელების წინააღმდეგ უხეშობაზე კი მსაჯები რატომღაც არ რეაგირებენ,“* - განაცხადა ბრაზილიელმა სპეციალისტმა.

### პოლ ინსი: დანებება არ ღირს

„ვიგანთან“ სამარცხვინოდ წაგებული (3:0) მატჩის შემდეგ „ბლექბერნის“ თავკაცმა **პოლ ინსმა** განაცხადა, რომ სიტუაციის გამოსწორების იმედი არ დაუკარგავს: *„ფეხბურთელებმა ხელი არ უნდა ჩაიქნიონ. საჭიროა საკუთარი ძალების ვირწმუნოთ. თამაშის დაწყებამდე ფანტასტიკურ ხასიათზე ვიყავით. გვჯეროდა, რომ როგორც მინიმუმ, ქულას ავიღებდით. თამაშის მოგებასაც კი ვგეგმავდით, მაგრამ გამოვედით მინდორზე და მე-12 წუთისთვის ჯერ ჰესკიმ და მერე ვალენსიამ თამაშს ინტრიგა დაუკარგეს. ასეთ სიტუაციაში რომელი ქულის აღებაზე იყო ლაპარაკი?“*

„ტაიმსის“ ცნობით, ინსის ბედი უახლოეს 24 საათში უნდა გადაწყდეს. შეხვედრა ჯერ კიდევ გუშინწინ საღამოს უნდა შემდგარიყო, მაგრამ საპატიო მიზეზით გადაიდო: კლუბის პრეზიდენტის **ჯონ უილიამსის** ვაჟი დაოჯახდა. ქორწილი ამ დღეს იყო დანიშნული და კლუბის ყველა მაღალჩინოსანი დაპატიჟებული გახლდათ. ინსი კლუბის ბოსებს გუშინ საღამოს უნდა შეხვედროდა.

### ასტონ ვილა კრაუჩით დაინტერესდა

„ასტონ ვილის“ თავკაცმა **მარტინ ონილმა** კლუბის პრეზიდენტ **რენდი ლერნერს** „პორტსმუთის“ თავდამსხმელის, **პიტერ კრაუჩის** შეძენა სთხოვა. ინგლისის ნაკრების ფორვარდი საკმაოდ კარგად გამოიყურება. მიმდინარე სეზონში მის ანგარიშზე 17 შეხვედრაში (ყველა სასტარტოში) გატანილი 7 გოლი და 3 საგოლე გადაცემა ირიცხება. ტანმაღალი ფორვარდის მოქმედი ხელშეკრულება 2012 წელს იწურება. მისი სავარაუდო სატრანსფერო ღირებულება 8.5 მილიონი გირვანქაა.

გვერდი მოამზადა
შალვა ბიბილაშვილმა

ინტერვიუ

კარლ-ჰაინც რუმენიგე

# კლინსმანი ძალიან კარგად მუშაობს!

## მიუნხენში ჰოფენჰაიმს პატივს სცემენ, მაგრამ...

გერმანიის ჩემპიონატის პირველი წრე დასრულდა და თუკი სადღაც ოქტომბრისთვის „ბაიერნის“ ხელმძღვანელებს უკმაყოფილების საფუძველი ჰქონდათ, დღეს კარდინალურად განსხვავებული ვითარებაა. იურგენ კლინსმანმა მოახერხა და გუნდს საკუთარი თამაში აპოვნინა – შედეგიც სახეზეა: რეკორდმაისტერი ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში უპრობლემოდ გავიდა (ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და ახლა პლეი ოფის წილისყრას ელის) და ბუნდესლიგაშიც გამოასწორა ვითარება, თანაც იმდენად, რომ ბავარიელებმა 17 ტურის შემდეგ მეორე ადგილი დაიკავეს და ლიდერ „ჰოფენჰაიმს“ მხოლოდ და მხოლოდ ბურთების უარესი შეფარდების გამო ჩამორჩნენ. რაც ყველაზე მთავარია, კლინსმანის გუნდმა „ჰოფეს“ უშუალო დაპირისპირება მოუგო. სწორედ ეს გამარჯვება იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს. თანაც, ბავარიელებს მადა გაეხსნათ და ჩემპიონთა ლიგის ფინალსაც უმიზნებენ. როგორ აფასებს გუნდის ვიცე-პრეზიდენტი კარლ-ჰაინც რუმენიგე სეზონის პირველ ნახევარს, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.

**- ჰერ რუმენიგე, „ჰოფენჰაიმთან“ მატჩის შემდეგ კვირაზე მეტი გავიდა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ემოციები ჯერაც არ ჩამცხრალა. „ბაიერნმა“ თამაშის მოგება ბოლო წუთზე გატანილი გოლით შეძლო...**

- გენიალური მატჩი გამოვიდა და რაც მთავარია, ჩვენთვის ძალიან კარგი შედეგით დასრულდა. იშვიათია შემთხვევა, როდესაც ტურის და ზოგადად პირველი წრის მთავარი მატჩი იმედებს ამართლებს ხოლმე. ამ შეხვედრამ კი ყველანაირი თვალსაზრისით მოლოდინს გადააჭარბა. ცხადია, „ბაიერნს“ გაუმართლა, მსაჯის მიერ დამატებული დროის ბოლო წუთზე გატანილი გოლით რომ მოიგო.

**- გადავხედოთ სატურნირო ცხრილს – „ჰოფენჰაიმმა“ პირველი წრე მოიგო. „ბაიერნი“ რანგნიკის გუნდს ბურთების უარესი შეფარდებით ჩამორჩა...**

- სეზონის სტარტზე „ბაიერნს“ თამაშების მოგება უჭირდა, მაგრამ ბოლოს მაინც ისე მოხდა, რომ გუნდი გამოსწორდა და საბოლოოდ, პირველი წრე იმდენივე ქულით დავამთავრეთ, რამდენიც ლიდერ „ჰოფეს“ აქვს. თუ ასე გაგრძელდა, მეორე წრეში ამ გუნდს აუცილებლად გავასწრებთ და ჩემპიონები გავხდებით.

**- გულზე მოგეშვათ?**

- ჩვენი მიზანი ის იყო, რომ პირველი წრის დასრულების შემდეგ „ბაიერნზე“ მეტი ქულა არავის ჰქონოდა. როგორც ხედავთ, მიზანს მივაღწიეთ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ „ბაიერნში“ ყველა კმაყოფილია. მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებთ.

**- წარმოგედგინათ, რომ „ჰოფენჰაიმი“ რეკორდმაისტერის უმთავრესი კონკურენტი გახდებოდა?**

- შესაძლოა, რომელიმე გუნდმა პირველ ტურებში ლიდერობა შემთხვევით მოიპოვოს ან იმის გამო, რომ ძალიან უმართლებს. მაგრამ 17 ტურის შემდეგ პირველ ადგილზე შემთხვევით და უსამართლოდ ვერავინ იქნება! მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ „ჰოფეს“ წარმატებები ნამდვილად არ არის შემთხვევითობა ან იღბლის დამსახურება. ამიტომაც იყო, ამ გუნდთან მატჩს ჩვენ ყველანი ძალიან სერიოზულად რომ მივუდექით. პირდაპირ გეტყვით, რომ ბავარიელები „ჰოფენჰაიმს“ უკვე ძალიან დიდ პატივს ვცემთ და ისე ვუყურებთ, როგორც სერიოზულ კონკურენტს. სხვანაირად რომ ყოფილიყო, „ჰოფეს“ ვერ დავამარცხებდით.

**- ული ჰიონესმა თქვა, „ჰოფენჰაიმი“ ბოლო ტურამდე ჩემპიონობისთვის იბრძოლებსო. თქვენ იზიარებთ ულის აზრს?**

- ასე იქნება თუ ისე, ამ გუნდმა უკვე დაამტკიცა, რომ უდიდესი პოტენციალი გააჩნია. რაც ყველაზე მთავარია, გუნდი თავდაჯერებულია, თამაშობს უაღრესად შემტევ და ტაქტიკურად ძალიან გამართულ ფეხბურთს. დიახ, ჰიონესის მოსაზრებას ვიზიარებ: თუ სასწაული არ მოხდა, „ჰოფე“ გერმანიის ჩემპიონობისთვის ბოლომდე იბრძოლებს.

**- იყო თუ არა „ჰოფენჰაიმთან“ მატჩი, 2008 წელს „ალიანს არენაზე“ ჩატარებული შეხვედრებიდან ყველაზე დაძაბული და საინტერესო?**

- დიახ, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. „ჰოფენჰაიმი“ ყველაზე ძლიერი გუნდი იყო იმ გუნდებს შორის, რომლებმაც 2008 წელს „ალიანს არენაზე“ ჩვენს წინააღმდეგ ითამაშეს. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ეს გუნდი მხოლოდ წელს გადმოვიდა ბუნდესლიგაში, ახსნა-განმარტებები საჭირო ალარც კი იქნება.



ბაიერნის ბოსები კმაყოფილები არიან: მენეჯერი ული ჰიონესი და ვიცე-პრეზიდენტი კარლ-ჰაინც რუმენიგე

**- მოკლედ, შობა-ახალ წელს კმაყოფილი ხვდებით?**

- დიახ, აბსოლუტურად. ბოლო ორი თვის განმავლობაში „ბაიერნი“ ექსტრაკლასის ფეხბურთს თამაშობდა. ფაქტია, რომ სწორ გზას ვადგავართ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მუშაობა უნდა შევწყვიტოთ.

**- იურგენ კლინსმანის მუშაობასაც პოზიტიურად აფასებთ?**

- დიახ. კლინსმანის მუშაობით კმაყოფილები ვართ. როდესაც გუნდს კრიზისი ჰქონდა, განგაში არ ავტეხეთ, მოთმინება ვიქონიეთ და შედეგიც სახეზეა. გუნდი შესანიშნავ ფიზიკურ ფორმაშია. მოკლედ, კლინსმანი ძალიან კარგად მუშაობს.

**- ექსპერტები უკვე ალაპარაკდნენ იმის შესახებ, რომ შესაძლოა, გერმანიაში ძალაუფლება „ჰოფენჰაიმმა“ იგდოს ხელთ...**

- „ჰოფე“ უდიდეს პროგრესს განიცდის და უკვე ძალიან ძლიერი გუნდია, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. მაგრამ იმისათვის, რომ გუნდმა ქვეყანაში „ძალაუფლება“ იგდოს ხელთ, რამდენიმე მატჩი კი არა, წლებია საჭირო. ფაქტია, რომ „ჰოფეს“ ბუნდესლიგაში უკვე ერთ-ერთი მთავარი როლი აკისრია. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ასე გაგრძელდება. მაგრამ „ბაიერნის“ მთავარი ტახტიდან ჩამოგდება ძალიან ძნელია და ეს ყველამ იცის.

**გოტფრიდ ლენცი**

# დროგბა ადრიანოს ნაცვლად?

გასულ უქმეებზე „ინტერის“ თავკაცმა **ჟოზე მოურინიომ** მიმომხილველებს მიანიშნა, რომ **ადრიანოს**, შეიძლება, ახალი სამსახურის მოძებნა მოუხდეს. მიმდინარე სეზონში თავდამსხმელმა მწვრთნელი რამდენჯერმე გაანაწყენა - ერთი-ორჯერ საჯაროდ უკმეხი კომენტარები გააკეთა და უდისციპლინობითაც არაერთხელ გამოიჩინა თავი. შედეგად, ადრიანოს რამდენიმე თამაშის გამოტოვება მოუხდა.

იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში „ინტერმა“ „კიევოს“ 4:2 მოუგო. ადრიანოს არ უთამაშია. ნამატჩევს მოურინიომ „სკაი იტალიას“ განუცხადა: *„მის (ადრიანოს) ადგილას დავფიქრდებოდი, ღირს თუ არა „ინტერში“ დარჩენა. მისი იმიჯი შელახულია, ხოლო მისი პოზიციები შერყეული. ადრიანო ბრაზილიაში მიემგზავრება, რადგან 40 გრადუს სიცხეში გაცილებით უკეთ გრძნობს თავს, ვიდრე მილანურ 4 გრადუსში. მას, სხვა ფეხბურთელების მსგავსად, საშობაო არდადეგები 2 იანვარს დაუმთავრდება. 2 რიცხვში ის კლუბის ბაზაზე უნდა გამოცხადდეს.“*

მოურინიოს განცხადების უმალ იტალიურ პრესას სპეკულაციების ტალღამ გადაუარა: „ინტერი“ „ჩელსის“ ადრიანოს **დიდიე დროგბაში** გაცვლას შესთავაზებსო. მილანური კლუბის ხელმძღვანელობამ მოარული ხმები მაშინვე უარყო. გენერალურმა მენეჯერმა **მარკო ბრანკამ** განაცხადა, რომ „ინტერი“ დროგბას შეძენას არ აპირებს: *„ის „ჩელსის“ ფეხბურთელია და როგორც ვიცი, ლონდონში შესანიშნავად გრძნობს თავს. ჩვენს გუნდს მაღალი კლასის თავდამსხმელები არ აკლია.“*

ბრანკას არ დაუმალავს, რომ იანვრის ტრანსფერებისას შეიძლება **ერნან კრესპოს** გამოეთხოვონ. მოურინიო ვეტერან არგენტინელს იშვიათად ათამაშებს. სარფიანი შეთავაზების შემთხვევაში კრესპო „ნერაძურის“ დატოვებს: *„ინტერს“ რამდენიმე ფრონტზე უწევს ბრძოლა. გუნდს ბევრი ფეხბურთელი სჭირდება. ჩვენი სურვილით, არც ერთ მათგანს არ გავყიდით, მაგრამ თუ ფეხბურთელი ტრანსფერზე დაყენებას მოითხოვს, ხელს არ შევუშლით...“*

რეალი

# ხუანდე ახალ ფეხბურთელებს ივევს

## შუსტერმა სამეფო კლუბს შვიდი მილიონი წაართვა



ბერნდ შუსტერისათვის რეალიდან დათხოვნაც სარფიანი აღმოჩნდა

მადრიდის „რეალს“ ბევრი საზრუნავი აქვს. მით უმეტეს, იმ პირობებში, როცა ტრავმების გამო დედაქალაქურ გრანდში უმწვავესი საკადრო პრობლემებია. რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა, რომ **მაჰამადუ დიარას** ტრავმის მოშუშებას რვა თვე დასჭირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მისთვის სეზონი ნაადრევად დასრულდა. გუშინ **რამონ კალდერონმა** საზოგადოებას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დანაკლისის შესახებ აცნო. სეზონი **რუბენ დე ლა რედისთვისაც** ნაადრევად დასრულდა. **რუუდ ვან ნისტელროიზე** აღარაფერს ვამბობთ. როგორც იცით, ჰოლანდიელი ფორვარდიც რვათვიან იძულებით შვებულებაში გავიდა.

ამ პირობებში **ხუანდე რამოსის** უპირველეს ამოცანად საკადრო პრობლემების მოგვარება იქცა. ესპანელმა სპეციალისტმა კვირას ხელმძღვანელობასთან ორი საათი ისაუბრა და მათ სასურველი ფეხბურთელების სია გადასცა. მოარული ხმების თანახმად ხუანდეს ერთ-ერთი ფავორიტი **ადამ ჯონსონია**. თუ ესპანურ საშუალებებს დავუჯერებთ, „ტოტენჰემის“ ფეხბურთელი სამეფო კლუბის წევრი შესაძლოა, დღესვე გახდეს. ინგლისელი 20 წლისაა და ორივე ფლანგზე შეუძლია თამაში. ჯონსონს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. სპეციალისტები დარწმუნებული არიან, რომ ადამი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო განაპირა ნახევარმცველი გახდება. **რამონ კალდერონს,** წესით, საწინააღმდეგო არაფერი უნდა ჰქონდეს, რადგან გულშემატკივრებს ორი ახალგაზრდა ფეხბურთელის შეძენას ჯერ კიდევ ხუანდე რამოსის გამოჩენამდე შეჰპირდა.

სამეფო კლუბის კიდევ ერთი რჩეული **ლასანა დიარაა**. მთავარი მწვრთნელი მას **მაჰამადუ დიარას** შემცვლელად მოიაზრებს. ლასანა წინა წლებში „ჩელსისა“ და „არსენალის“ ღირსებას იცავდა, მაგრამ ახლა „პორტსმუთში“ თამაშობს. ფრანგი ნახევარმცველი 23 წლისაა. მისი და მაჰამადუს მსგავსება მხოლოდ გვარი როდია. ლასანა დიარაც საყრდენი ნახევარმცველია და მისი მთავარი მოვალეობა მოწინააღმდეგის შეტევების ჩაშლაა.

ამასობაში, თანამდებობიდან ნაადრევად გათავისუფლებულმა **ბერნდ შუსტერმა** მადრიდის „რეალს“ სოლიდური თანხა წაართვა. გერმანელმა სპეციალისტმა სამეფო კლუბის ოფისში მისი მენეჯერი და ადვოკატი გაგზავნა. კალდერონმა, რა თქმა უნდა, თავიდანვე იცოდა, რომ შუსტერის მოხსნა იაფი არ დაუჯდებოდა. მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებას 2010 წლის 30 ივნისს გასდიოდა ვადა. პრეზიდენტს მეტიჩრობა რომ არ უყვარდეს, გერმანელის გაშვება დედაქალაქელებს გაცილებით იაფი დაუჯდებოდა, მაგრამ გასულ სეზონში სენიორ კალდერონმა შუსტერს კონტრაქტი ერთი წლით გაუხანგრძლივა. ამის გამო, „რეალის“ ბიუჯეტმა 7 მილიონი ევრო დაკარგა.

შუსტერის წარმომადგენლები და კალდერონი სწორედ ამ თანხაზე შეთანხმდნენ. იმ შემთხვევაში, თუ შუსტერი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე იმუშავებდა, 9 მილიონ ევროზე მეტს მიიღებდა, მაგრამ გერმანელი დათმობაზე მიზნობრივად წავიდა. კონტრაქტის თანახმად, თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში სრულ საკომპენსაციო თანხას მხოლოდ მაშინ მიიღებდა, თუ 2010 წლის 30 ივნისამდე სხვა გუნდში არ დაიწყებდა მუშაობას. პრაგმატული თვალსაზრისით, აშკარად ჯობდა ჰერ ბერნდს „რეალისთვის“ შვიდი მილიონი წაერთმია და დარჩენილი 2 მილიონის სანაცვლოდ თავისუფლება ეყიდა.

შუსტერს ახლა შეუძლია ამ 7 მილიონით მრავალი სურვილი აისრულოს და პარალელურად, ახალი სამსახური ეძებოს. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კლუბთან კონტრაქტს გააფორმებს, 2010 წლამდე, რა თქმა უნდა, 2 მილიონზე მეტს იშოვის, ასე რომ, ეკონომიკური თვალსაზრისით გერმანელი აშკარად მოგებული დარჩა, მაგრამ კალდერონის მიერ მიღებულ რადიკალურ გადაწყვეტილებას მისი პატივმოყვარეობა და პრესტიჟი შეეწირა.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ამბები

# გატუზოს ექვსი თვე

**ჯენარო გატუზომ** მუხლის ოპერაცია გაიკეთა. „მილანისა“ და იტალიის ნაკრების ნახევარმცველი ექვსი თვის შემდეგ განაახლებს თამაშს. „იუვენტუსთან“ თამაშისას „როსონერის“ გატუზო ძალიან აკლდა. ის „კატანიასთან“ ორი კვირის წინანდელი შეხვედრისას დაშავდა. გატუზომ მუხლის მყესები გაიწყვიტა. ქირურგიული ჩარევა გარდაუვალი იყო.

ტურინელებთან გაცამტვერების მიუხედავად მილანელებს ცხრილში მესამე ადგილი უკავიათ და ლიდერ „ინტერს“ ცხრა ქულით ჩამორჩებიან. „როსონერის“ თავკაცმა **კარლო ანჩელოტიმ** გატუზოს შემცვლელის შეძენაზე უარი განაცხადა. შეგახსენებთ, იანვრის ტრანსფერებისას მილანში **დევიდ ბექჰემს** ელოდებიან. ის იტალიურ გრანდში ხანმოკლე საიჯარო ხელშეკრულებით ითამაშებს.

# ინიესტა მომავალ ტურში ითამაშებს

**ანდრეს ინიესტამ** ბარძაყის ტრავმა მოიშუშა. ექიმების ვარაუდით, ის „ვილიარეალთან“ მომავალი ტურის მატჩში ითამაშებს. ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველი „ბაზელთან“ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრისას (1:1) დაშავდა. ექვსკვირიანი პაუზის შემდეგ, მან გასული კვირის მიწურულს სრული დატვირთვით ივარჯიშა. ტრავმას თავი აღარ შეუხსენებია. ინიესტას „რეალთან“ სუპერკლასიკოში თამაშიც სურდა, მაგრამ ნება არ დართეს. კატალონიელებმა მეტოქე დამაჯერებლად დაამარცხეს (2:0) და უმთავრეს კონკურენტს 12 ქულით გაასწრეს. ინიესტა თანაგუნდელებს სიფრთხილისაკენ მოუწოდებს. ის ყველას ახსენებს, რომ წინ ჯერ კიდევ არაერთი მატჩია.

**შალვა ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერი



გახდება ალექს ბაუმიოჰანი (მარცხნივ) ფილიპ ლამის თანაგუნდელი?

# ბაიერნი ბაუმიოჰანით დაინტერესდა

## მიუნხენელები ვან ბომელისგან და ზე რობერტოსგან პასუხს ელიან, სოსას კი ანათხოვრებენ

ახლოვდება ზამთრის სატრანსფერო სეზონი და „ბაიერნის" ხელმძღვანელები მოლაპარაკებებისთვის ემზადებიან. როგორც გერმანული პრესა წერს, რეკორდმაისტერის ხელმძღვანელებმა მიონხენგლადბახის „ბორუსიის" ნახევარმცველ **ალექსანდერ ბაუმიოჰანს** დაადგეს თვალი. ამასთან, მიუნხენური კლუბის შეფებს **ზე რობერტოსთან** კონტრაქტის გაგრძელება სურთ, **მარკ ვან ბომელს** კი ახალი ხელშეკრულება უკვე შესთავაზეს და მისგან პასუხს ელიან.

*„დიახ, ჩვენ მართლაც ვფიქრობთ ბაუმიოჰანზე, მაგრამ გადაწყვეტილი ჯერჯერობით არაფერია,"* - განუცხადა ბავარიელთა გენერალურმა მენეჯერმა **ული ჰიონესმა** „ზუდდოიჩე ცაითუნგს". ბაუმიოჰანი 21 წლისაა, „გლადბახში" შემტევი ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობს და ამ სეზონში, ბუნდესლიგის აუტსაიდერის რიგებში 12 მატჩი ჩაატარა. მან მხოლოდ ერთი გოლის გატანა შეძლო (ვერდერთან), მაგრამ ისეთის, 20-ჯერ ნახვა რომ მოგინდება – მოედნის ცენტრიდან დაწყებული სოლორეიდი ეფექტური გოლით დააგვირგვინა.

ამასთან, „ბაიერნის" ბოსები ზე რობერტოს, მარკ ვან ბომელისა და **ხოსე ერნესტო სოსას** საკითხებით არიან დაკავებულები. ვან ბომელს და ზე რობერტოს კონტრაქტები სეზონის ბოლოს უმთავრდებათ. პარასკევს ჰიონესი ჰოლანდიელ საყრდენს შეხვდა და მას ახალი კონტრაქტი შესთავაზა, ახლა კი, მარკისგან პასუხს ელის. ჯერ-ჯერობით ღიაა ბრაზილიელის საკითხიც. 34 წლის ზე რობერტო ჯერ კიდევ გაურკვევლობაშია. მას ვერ გადაუწყვეტია, დარჩეს მიუნხენში, თუ სამშობლოში დაბრუნდეს. ფაქტია, რომ „ბაიერნის" ხელმძღვანელებს ზე რობერტოს კიდევ ერთი წლით შენარჩუნება სურთ, რადგან ბრაზილიელი ძალიან კარგ ფორმაშია და ასაკი ოდნავადაც არ ეტყობა. **რუმენიგეს** თქმით, ის უკვე ესაუბრა ზე რობერტოს მრჩეველს, რომელმაც თქვა, რომ ფეხბურთელს მიუნხენში დარჩენა უნდა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

რაც შეეხება სოსას საკითხს: საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ახალგაზრდა არგენტინელისა და „ბაიერნის" გზები გაიყოფა. რუმენიგე ამბობს, რომ რეკორდმაისტერს სოსას დაკარგვა არ უნდა. *„ესპანეთიდან და იტალიიდან გვაქვს შემოთავაზებები. სოსას იანვარში ალბათ გავანათხოვრებთ,"* - აცხადებს რუმენიგე. სოსა ბოლოს **დიეგო მარადონამ** არგენტინის ნაკრებშიც კი გამოიძახა, მაგრამ ნახევარმცველი „ბაიერნში" მაინც იზოლირებული ჩანს, თითქმის არასდროს თამაშობს. 23 წლის სოსამ დღემდე მიუნხენური კლუბის მაისურით 22 მატჩში მიიღო მონაწილეობა (გუნდში 2007 წლიდან ირიცხება). აქედან, პირველიდან ბოლო წუთამდე მან მხოლოდ 7 შეხვედრაში ითამაშა. 22 ოფიციალურ მატჩში მან ერთი გოლიც ვერ გაიტანა – სოსას მონაგარი მხოლოდ ერთი საგოლე პასია.

*„წელიწად-ნახევარია ჩვენს გუნდშია და შესაძლებლობები ჯერჯერობით ვერ დაამტკიცა. მას სათამაშო პრაქტიკა სჭირდება, რათა დაგვარწმუნოს, რომ „ბაიერნის" წევრობის ღირსია,"* - აცხადებს ჰიონესი.

საზანო

ნატურალური პროდუქტების სარეალიზაციო ქსელი!
ჩვენთან შეგიძლიათ შეიძინოთ
უმაღლესი ხარისხის
ყველანაირი კერძი და პროდუქტი:
ცომეული, ნამცხვარი, ფხალეული, ხორცეული
და ყველაფერი დანარჩენი,
რაც სუფრას სჭირდება.
პროდუქტები და კერძები შეგიძლიათ
შეიძინოთ და მიირთვათ ჩვენთან, ან ჩვენ
მოგართმევთ სახლში!
აგრეთვე გვაქვს დარბაზი 150 კაცზე!
მის: ნუცუბიძის 62ა; გამსახურდიას 43 (ყოფ. გაგარინის მოედ.)
ტელ: 31 12 76; 38 12 75; მობ: 899 78 02 45

გერმანიის ნაკრები. წლის შეჯამება

# ლიოვი: წინ, 2010 წლის მუნდიალისკენ!

## ბუნდესმწვრთნელი 2008 წელს პოზიტიურად აფასებს და არც თვითკრიტიკას ერიდება

2008 წელი სრულდება და ნაკრებებისა თუ კლუბების მთავარი მწვრთნელები წლის შეჯამებით არიან დაკავებულები. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი გერმანიის ნაკრების დამრიგებელმა **იოახიმ ლიოვმა** გადადგა, რომელმაც 2008 წელი ბუნდესგუნდისთვის „საკმაოდ პოზიტიურად" შეაფასა. თუმცა იოგი დღესაც ძალიან გულდაწყვეტილია იმის გამო, რომ მისმა გუნდმა ევროპის ჩემპიონატის ფინალი წააგო. ასევე, ბუნდესმწვრთნელი თვითკრიტიკით დაკავდა და აღნიშნა, რომ ცოტა ხნის წინ **მიხაელ ბალაკისა** და **ტორსტენ ფრინგსის** ამბები პირველ რიგში მისი ბრალია.


იოახიმ ლიოვი (მარჯვნივ) და მისი სამწვრთნელო შტაბი: ასისტენტი ჰანსი ფლიკი (შუაში) და მეკარეების მწვრთნელი ანდრეას კიოპკე

*„2008 წლის ყველაზე ცუდი მოვლენა პირადად ჩემთვის ის იყო, რომ ჩვენი გუნდის იმიჯი შეილახა, რაც ბალაკ-ფრინგსის ამბების დამსახურებაა. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევძელით ის, რომ ეს სკანდალი საჯარო განსჯის საგანი არ გამხდარიყო. გერმანიის ნაკრების მწვრთნელად 2006 წლიდან ვმუშაობ და ასეთი რამ პირველად მოხდა, რაც მე ძალიან არ მომეწონა,"* - აცხადებს ლიოვი გერმანიის საფეხბურთო კავშირის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ვიდეოინტერვიუში.

მომავალი წლისთვის ლიოვის უმთავრესი მიზანი იმ ჰარმონიისა და ეიფორიის დაბრუნებაა, რაც საფეხბურთო გერმანიაში ბუნდესნაკრების გამო 2006 წლის მუნდიალის წინ იყო. რაკი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში იოგის ბიჭები წარმატებით ასპარეზობენ, ლიოვს ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ 2010 წლისთვის მის გუნდში და ზოგადად საფეხბურთო გერმანიაში სრული ჰარმონია იქნება. ამასთან, გერმანიის ნაკრების დამრიგებელი სასტიკად და მთელი ძალით იბრძოლებს იმის წინააღმდეგ, რომ გუნდში არსებული თუ მოსალოდნელი დაპირისპირებები გუნდის შიგნით გაირკვეს და საჯარო განსჯის საგანი არ გახდეს.

*„ჩვენ ყველამ თვალნათლივ დავინახეთ, რომ ზოგჯერ ისეთ ფეხბურთელებსაც სჭირდებათ წესებისა და კანონების შეხსენება, როგორებიც ბალაკი და ფრინგსი არიან. ეს დაუსრულებელი პროცესია. იმედი მაქვს, საჯაროდ კარდინალური განცხადებების გაკეთებას აღარავინ გაბედავს,"* - დასძენს ბუნდესმწვრთნელი, რომელსაც უნდა, რომ გერმანია 2010 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახადოს.

ლიოვისთვის წელს ყველაზე გულდასაწყვეტი, რა თქმა უნდა, ივნისის ბოლოს ნაგებული ფინალი იყო ევრო 2008-ზე, ესპანეთთან. იოგი: *„მართალია, ფინალში გასვლით ყველანი გახარებულები ვიყავით და საერთო ჯამში ჩვენი გუნდისთვის ეს წელი პოზიტიურად უნდა შეფასდეს, მაგრამ ესპანეთთან მარცხმა მაინც უდიდესი გულისტკივილი დამიტოვა. ეს მატჩი ჩემი მეხსიერებიდან არ იშლება და არც არასდროს წაიშლება. ალბათ იმიტომ, რომ ფინალში ერთი წუთითაც ვერ შევძელით ჩვენი შესაძლებლობების გამოვლენა."*

მაგრამ ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი ლიოვისთვის უკვე ისტორიაა. წინ კი 2010 წლის მუნდიალია, სადაც იოგი გამარჯვებას გეგმავს. ბუნდესმწვრთნელი საკვალიფიკაციო ეტაპზე თავისი გუნდის ასპარეზობას ძალიან პოზიტიურად აფასებს. როგორც იცით, მეოთხე ქვეჯგუფში გერმანია ერთპიროვნული ლიდერია (3 მოგება, 1 ფრე, 0 მარცხი). მართალია, ბუნდესგუნდმა ახლახან ინგლისთან ამხანაგური მატჩი საკუთარ მოედანზე 1:2 წააგო, მაგრამ ლიოვი ამ მატჩს სერიოზულ მნიშვნელობას არ ანიჭებს. *„ჩვენ რუსეთი დავამარცხეთ და ჯგუფში ლიდერები ვართ. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ჩვენ მუნდიალის საკვალიფიკაციო ეტაპს ვანიჭებთ პრიორიტეტს. 2009 წელსაც უმაღლეს დონეზე უნდა ვითამაშოთ,"* – ამბობს ლიოვი.

გერმანიის ნაკრების დამრიგებლის განსაკუთრებული ქება „ჰამბურგის" ნახევარმცველმა **პიოტრ ტროხოვსკიმ** დაიმსახურა, რომელმაც შეძლო და **რაფაელ ვან დერ ვაარტის** წასვლის შემდეგ, ჩრდილოგერმანული კლუბის ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაიმკვიდრა. ლიოვი: *„ევროპის ჩემპიონატამდე „ტროხეს" გერმანიის ნაკრებისთვის მეორეხარისხოვანი როლი ჰქონდა. ახლა კი, ერთ-ერთი უმთავრესი როლი ექნება. რაც მეტი ფეხბურთელი გაიმეორებს ტროხოვსკის მიღწევას, ჩვენთვის მით უკეთესია. გერმანიის ნაკრების მწვრთნელს უდიდესი არჩევანი უნდა ჰქონდეს."*

ლიოვი უაღრესად კმაყოფილია ბუნდესლიგის პირველი წრითაც: *„ჩვენი ჩემპიონატის პირველ წრეში უმაღლესი ხარისხის ფეხბურთი ვიხილეთ. გერმანიის ნაკრების სამწვრთნელო შტაბი მუდმივად ესწრებოდა გერმანიის პირველობის მატჩებს და ყველანი გაოცებულები ვართ – ხარისხი გაუმჯობესდა, კლასი გაიზარდა. ალბათ იოლი მისახვედრია, რომ ყველაზე მეტად „ჰოფენჰაიმის" წარმატებით ვარ განცვიფრებული და გახარებული. დარწმუნებული ვარ, რომ რალფ რანგნიკის გუნდი სეზონის ბოლომდე საუკეთესოებს შორის იქნება. „ჰოფეს" სახით გერმანიას კიდევ ერთი ძალიან საინტერესო და უნარიანი გუნდი შემოემატა."*

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

შალკე

# მიულერი უსარგებლო ფეხბურთელებს გაყრის

## გელზენკირხენში დიდი წმენდა იწყება, ნუთუ კობიაშვილსაც ემუქრება საფრთხე?

„შალკეს" ხელმძღვანელები სეზონის წინ გერმანიის ჩემპიონობას გეგმავდნენ, მაგრამ ამ საქმიდან ისევ არაფერი გამოდის. გელზენკირხენულმა კლუბმა ბუნდესლიგის პირველი წრე 7 მოგებით, 6 ფრითა და 4 მარცხით, მეშვიდე ადგილზე დაასრულა, რაც რბილად რომ ვთქვათ, „შალკესთვის" ძალიან ცუდი შედეგია. თუმცა ბოლო ორ მატჩში გელზენკირხენელებმა საკმაოდ ნორმალურად იასპარეზეს, რის გამოც გენერალური მენეჯერის, **ანდრეას მიულერისა** და გუნდის მთავარი მწვრთნელის, **ფრედ რუტენის** პოსტებიდან დათხოვნის საკითხი დღის წესრიგში აღარ დგას. ამასობაში, მიულერმა ხმა აიმაღლა და იმ ფეხბურთელებს, რომლებიც მის ან მწვრთნელის იმედებს ვერ ამართლებენ, ზამთარში გაგდებით ემუქრება.

*„„შალკე" ის გუნდია, რომელიც უმაღლეს დონეზე უნდა თამაშობდეს. ის, რაც პირველ წრეში ვნახეთ, ამ გუნდის სახელისთვის სამარცხვინო იყო. ჩემთვის უკვე ცნობილია, რომ ბევრი უკმაყოფილო ფეხბურთელი გვყავს. ფაქტია, რომ ჩვენ იმ მოთამაშეებს უნდა დავეყრდნოთ, რომლებიც მონდომებულები და ძალიან მოტივირებულები არიან, რომლებსაც „შალკეს" ფორმით თამაში ეამაყებათ. იანვარში, სავარაუდოდ, რამდენიმე ფეხბურთელს გამოვეთხოვებით. ჩვენ არ გვჭირდება ისეთი მოთამაშეები, რომლებიც არაფერს აკეთებენ!"* - აცხადებს მიულერი.

ასეთებად პირველ რიგში **კარლოს გროსმიულერი, ზე რობერტო II, ალბერტ შტრაიტი** და **ვისენტე სანჩესი** მიიჩნევიან. ოთხივე ეს ფეხბურთელი „შალკემ" წელს გადაიბირა, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო იმის დამტკიცება, რომ გელზენკირხენულ კლუბში თამაშის ღირსია. **ლევან კობიაშვილი** გუნდის ძირითად შემადგენლობაში ბოლო დროს ძალიან იშვიათად ხვდება, მაგრამ მოტივაციისა და მონდომების არქონას მას ვერავინ დააბრალებს. ასე რომ, წესით, ლევანი შავ სიაში არ უნდა მოხვდეს...


ჰოფენჰაიმი-შალკე. გელზენკირხენელმა ჯერმეინ ჯონსმა წითელი ბარათი მიიღო, ისიც გუნდიდან გაგდების ერთ-ერთი კანდიდატია

დიდი მატჩის გამოძახილი

# JUVENTISSIMA

## და დროს ჩამორჩენილი მილანელები



გუშინწინ ტურინში: იუვენტუსი მილანელთა გაცამტვერებას ზეიმობს

იტალიური ფეხბურთის კლასიკად შერაცხილი „იუვენტუსი“-“მილანის“ ოაპირისპირება მოვლენებით დატვირთული აღმოჩნდა. ვიხილეთ ექვსი გოლი, თერთმეტმეტრიანი, გაძევება და უამრავი სახიფათო მომენტი. ერთი სიტყვით, შეხვედრამ გულშემატკივართა იმედები გაამართლა. ბუნებრივია, „მილანის“ ტიფოზებს მარცხი გულს დასწყვეტდა, მაგრამ სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ და ვთქვათ, რომ დღეს „იუვე“ გაცილებით უკეთეს ფეხბურთს თამაშობს, ვიდრე „მილანი“.

ტურინელებმა ყველა კომპონენტში დაჯაბნეს მილანელები და სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვეს. „ვეკია სენიორამ“ ბევრად უფრო სწრაფი, გააზრებული, ორგანიზებული და თანამედროვე ფეხბურთი ითამაშა. ბრავო **რანიერის**, ვინც საშუალოზე ოდნავ მაღალი კლასის ფეხბურთელებისგან ასეთი მძლავრი გუნდი ჩამოაყალიბა. დაგვეთანხმებით, **მარკიონი, მარკიზიო, მოლინარო, დე ჩელიე, მელბერგი** და **სისოკო** არ განეკუთვნებიან მეგავარსკვლავთა კატეგორიას. არადა, გუშინ მათ აშკარად დაჯაბნეს **რონალდინიო, ზეედორფი, პირლო, ამბროზინი, პატო** და სხვა მილანელები. ერთ-ერთი, ვინც იტალიური პრესისგან ყველაზე მაღალი შეფასება დაიმსახურა, დე ჩელიე გახლავთ. ახალგაზრდა ფეხბურთელმა პირველივე ტაიმში **ნედვედი** შეცვალა და მარცხენა ფრთა ჩაიბარა. შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ჩეხის მიკროტრავმა ტურინულ გუნდს აშკარად წაადგა, დე ჩელიე ძალიან აქტიურად ჩაერთო თამაშში და ფლანგი სწრაფი გარღვევებით ააწიოკა. სწორედ მის შესანიშნავ ჩაწოდებას მოჰყვა **კარვალიო ამაურის** ბრწყინვალე თავური, რის შემდეგაც მასპინძელთა უპირატესობა ორ ბურთამდე გაიზარდა. ერთ-ერთ წინა ნომერში ვწერდით, დე ჩელიეს მიუნხენის „ბაიერნი“ ეპატიჟება, მაგრამ ტურინელები მის გაშვებას არ აპირებენო - ვფიქრობთ, სწორი პოზიციაა, ეს ფეხბურთელი „ვეკია სენიორამ“ აუცილებლად უნდა შეინარჩუნოს. დე ჩელიემ „გაძეტა დელო სპორტისგან“ 7.5 ბალი დაიმსახურა, მასზე მაღალი შეფასება მხოლოდ კარვალიო ამაურიმ მიიღო, ვისი გარჯაც 8.0 ბალით შეფასდა. ვერაფერს იტყვი, ბრაზილიელი მართლაც დიდებულად გაისარჯა და მატჩის გმირის სტატუსსაც იმსახურებს.

კარვალიო ამაური მატჩის შემდეგ უბედნიერესი გახლდათ და პრესასთან შემდეგი კომენტარი გააკეთა: *„ბრწყინვალედ ვითამაშეთ და მეტოქეს არავითარი შანსი არ დავუტოვეთ. თანაც როგორ მეტოქეს, ჩვენს წინააღმდეგ ხომ „მილანი“ თამაშობდა. ამ პაექრობას ჩემპიონთა ლიგაში „რეალთან“ დაპირისპირებას შევადარებდი, სწორედ ასეთი შეხვედრები ამდიდრებს ფეხბურთს. ძალიან ორგანიზებული და სწრაფი ფეხბურთი ვითამაშეთ, რომლის წინააღმდეგ მეტოქეს არგუმენტები არ აღმოაჩნდა. ჩემს გოლებზე რა უნდა ვთქვა, პირველ შემთხვევაში დე ჩელიემ დიდებული პასი მომცა, მეორე გოლზე კი მე და ალექსმა ურთიერთგაგების მაღალი ხარისხი გამოვავლინეთ, რამაც ყველაზე მეტად გამახარა. დელ პიეროს მხარდამხარ თამაში უდიდესი ბედნიერებაა, ჯერ კიდევ არ ვართ ბოლომდე შეთამაშებულები და დროის სვლასთან ერთად, უფრო და უფრო სახიფათონი გავხდებით მეტოქეთათვის“.*

ბედნიერია კლაუდიო რანიერიც: *„ვიცოდით, რომ „მილანი“ დღეს ძალიან ძლიერია და მასთან განსაკუთრებული შემართებით არის თამაში საჭირო. დელ პიეროს გოლის შემდეგ „როსონერი“ მთელი ძალებით ჩაირთო და საპასუხო გოლიც გაიტანა. მინდა ჩემს შეგირდებს მადლობა გადავუხადო, მათ კიდევ ერთხელ შეძლეს თამაშის სადავეების ხელში აღება და აღარც გაუშვიათ. სწორედ ასეთი „იუვენტუსის“ კეთება დავიწყეთ და ძალიან მიხარია, რომ შედეგი სახეზეა. აქვე აღვნიშნავ, რომ ეს ჯერ კიდევ არ არის საუკეთესო „იუვე“, პროგრესს ვაგრძელებ, და ეს მუდმივი პროცესია.*

*არ შემიძლია არ გამოვყო კარვალიო ამაურის თამაში. ის დიდებული ფეხბურთელია და ამას ყველა შეხვედრაში ამტკიცებს. დავიდ ტრეზეგეს ტრავმამ მეტად შემაშფოთა და მაშინ მის ალტერნატივად სწორედ ამაური მივიჩნიე. საბედნიეროდ, კარვალიომ ჩემი იმედები ბოლომდე გაამართლა და იმედია, ასევე გააგრძელებს. რაც შეეხება დე ჩელიეს, რომელზეც ამ შეხვედრის შემდეგ ძალიან ბევრს ილაპარაკებენ, მისი ყოველთვის მჯეროდა და ზუსტად ვიცოდი, რომ თავის სიტყვას იტყოდა. ასეთი პერსპექტიული ფლანგის ფეხბურთელი დიდი ხანია არ შემხვედრია, საწყის ეტაპზე მცველად წარმომედგინა, მაგრამ შემდეგ გადავწყვიტე ნახევარდაცვაში ამეწია. შეტევითი პოტენციალი აქვს, რომლის ჩაკვლაც არაფრით არ შეიძლება. თუმცა, ფეხბურთელთა გამორჩევა მაინც არ არის კარგი საქმე, ყველას მინდა მადლობა გადავუხადო ასეთი დიდებული საღამოსთვის“.*

აი, ასეთი განწყობაა ტურინელთა ბანაკში, „მილანში“ კი სრულიად სხვა ვითარებაა. ფეხბურთელებს და მწვრთნელებს უხასიათობა ეტყობათ და კომენტარებსაც ცხვირჩამოშვებული აკეთებენ. სანამ მათ მოსაზრებებს წაიკითხავდეთ, „გაძეტას“ ჟურნალისტის აზრს გაგაცნობთ, თუ რაშია „მილანის“ უმთავრესი პრობლემები: „როსონერის“ ფეხბურთელები თითქოს დროს ჩამორჩნენ, ისინი ძალიან ნელა მოქმედებენ, არ მოძრაობენ უბურთოდ და გადაწყვეტილების მიღებას აგვიანებენ - ასეთი თამაშით კი თანამედროვე ფეხბურთში მწვერვალებს ნამდვილად ვერ დაიპყრობ. მეორე და უმნიშვნელოვანესი დაცვის ხაზის მუდმივი როტაციაა. „მილანს“ არ ჰყავს ძირითადის ოთხი უკანახაზელი, რაც იწვევს კიდეც დაცვითი ხაზის ამდენ ხარვეზს. არ შეიძლება, ყოველ მეორე თამაშს „მილანი“ განსხვავებული შემადგენლობით ატარებდეს. სწორედ ეს იწვევს შეუთამაშებლობას უკანახაზელებს შორის და ამის მოწმენი „იუვენტუსთან“ პაექრობაში არაერთხელ გავხდით. აი, როგორ შეაფასა კარლო ანჩელოტიმ განვლილი პაექრობა: *„ვფიქრობ, რომ ოთხ გაშვებულ გოლს არ ვიმსახურებდით. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ რეალობას გავურბივარ, ჩვენ უამრავი შეცდომა დავუშვით და ამიტომაც წავაგეთ. განსაკუთრებით ცუდად დაცვამ ითამაშა, „იუვეს“ ფორვარდები ძალიან თავისუფლად მოქმედებდნენ. შეცდომები დაუშვეს კახა კალაძემ და ჯანლუკა ძამბროტამ, რამაც განაპირობა კიდეც ამაურის გარდამტეხი გოლი. არაერთი ფეხბურთელი გვყავს დაშავებული და საქმეს ესეც გვირთულებს, თუნდაც დანიელე ბონერა და ალესანდრო ნესტა ავიღოთ - მათი არყოფნა ჩვენთვის დიდი დანაკლისია.*

*მეტოქემ დიდებულად ითამაშა და გამარჯვება ნამდვილად დაიმსახურა. ალესანდრო დელ პიეროს და კარვალიო ამაურის შეჩერება ჩვენთვის შეუძლებელი აღმოჩნდა. კომპლიმენტები დე ჩელიეს, ვინც ძამბროტას ფრთა აიკლო და ჯანლუკას გასაქანი არ მისცა. კლაუდიო რანიერიმ მართლაც მძლავრი გუნდი შექმნა, რომელიც სკუდეტოსთვის ბოლომდე იბრძოლებს. რაც შეეხება ჩვენს საჩემპიონო პერსპექტივას, დაკარგული ბევრი არაფერია. მართალია, „ინტერთან“ ჩამორჩენა ცხრა ქულამდე გაიზარდა, მაგრამ წინ დიდი გზაა და დაკარგულს აუცილებლად ავინაზღაურებთ. ამასთან, კარგად გვესმის, რომ მდგომარეობის გამოსასწორებლად ხარვეზების აღმოფხვრაა საჭირო, ამ საქმეს ზამთრის მოსამზადებელი ტურნე უნდა წაადგეს და ეს ასეც იქნება“.*

მოგვიანებით, **კარლო ანჩელოტი** ტელეკომპანია RAI-ს ესტუმრა და იქ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ **ძამბროტამ** და **კალაძემ** საბედისწერო შეცდომა დაუშვეს. იტალიურ პრესაში კარლეტოს არ ეთანხმებიან და აღნიშნავენ, რომ არც ერთი მცველი მოწოდების სიმაღლეზე არ იყო, ასე რომ, მხოლოდ ორი ფეხბურთელისთვის ყველაფრის გადაბრალება უსამართლობაა. მაგალითისთვის **მარეკ იანკულოვსკის** მოყვანაც შეიძლება, ვისზეც ანჩელოტის სიტყვა არ დასცდენია, ჩეხი ძალიან არადამაჯერებლად გამოიყურებოდა და უამრავი შეცდომა დაუშვა.

სულ ბოლოს **ადრიანო გალიანის** კომენტარს გაგაცნობთ, „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი გაბრაზებულიც კი ჩანდა: *„ასეთი თამაშით შორს ვერ გავფრინდებით. რაღაც უნდა შევცვალოთ და თამაშის ხარისხი გამოვასწოროთ. იყო თუ არა თერთმეტმეტრიანი? - ამას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, „იუვენტუსმა“ დამსახურებულად გაიმარჯვა და სამი ქულაც მას ეკუთვნის. „ინტერზე“ არაფერი მკითხოთ, ყოველი ტურის შემდეგ ვერ ვისაუბრებ საჩემპიონო შანსებზე, ჩვენ სკუდეტოსთვის ვიბრძვით და ეს ბრძოლა ჯერ ნამდვილად არ შეგვიწყვეტია“.*

**ლაშა ნიკლაური**

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები. მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები. სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია. FOX-პროცედურები. წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

პრეზენტაცია



ამიეროდან მსოფლიოს

# რონალდო: მეფური დახვედრა კორინთიანსში

„კორინთიანსმა“ „პარკ სან ჟორჟეზე“ **რონალდოს** პომპეზური პრეზენტაცია მოუწყო. ფეხბურთელის წარდგენას ექვსი ათასი გულშემატკივარი დაესწრო. კმაყოფილმა ფეხბურთელმა ჟურნალისტებთან ასეთი კომენტარი გააკეთა: *„წინ დიდი თავგადასავალი მელის. თავის გამოჩენა იოლი არ იქნება, მაგრამ გულითადი შრომა აუცილებლად გამოიღებს შედეგს. მინდა დავამტკიცო, რომ დიდი წინააღმდეგობების გადალახვის შემდეგ, სერიოზული მიზნებით დავბრუნდი. „კორინთიანსმა“ კარი გამიღო და ახლა იმედი მაქვს, რომ სან პაულუში დიდ მიზნებს შევეჭიდებით. აქ ძლიერი გუნდის აშენება სურთ. დარწმუნებული ვარ, ამ საქმეში დახმარებას მეც შევძლებ“.*

კიჟას სინდისზე დამთრგუნველად სულაც არ მოქმედებს ის, რომ თანაგუნდელებზე ათჯერ და ხან მეტჯერ დიდი ხელფასი ექნება: *„ამ ფაქტორისთვის ყურადღება არასდროს მიმიქცევია, რადგან მეც ისეთივე უფლებები მაქვს და მოვალეობები მაკისრია, როგორც სხვებს. მაღალი ხელფასი გუნდში პრივილეგიას არ განსაზღვრავს“.* ფეხბურთელმა და კლუბის წარმომადგენლებმა კონტრაქტის ფინანსური დეტალების გახმაურება არ ისურვეს.

**შალვა ბიბილაშვილი**

მილანი. ტრანსფერი

# ტიაგო სილვა მალდინის შემცვლელად?

გუშინ მილანში ახალგაზრდა ბრაზილიელი ფეხბურთელი **ტიაგო სილვა** ჩავიდა. უახლოეს დღეებში ის სამედიცინო შემოწმებას გაივლის და „მილანთან“ ხელშეკრულებას გააფორმებს. იანვრიდან ნიჭიერი უკანახაზელი გუნდთან ერთად ივარჯიშებს, მომავალი სეზონიდან კი თამაშის უფლებაც მიეცემა.

ტიაგომ იტალიურ პრესას შემდეგი განუცხადა: *„უბედნიერესი ადამიანი ვარ. მე ხომ მსოფლიოს უძლიერეს კლუბში მოვხვდი, სადაც უდიდესი ფეხბურთელების მხარდამხარ მომიწევს ასპარეზობა. „მილანში“ ჩემი კერპი, პაოლო მალდინი თამაშობს. მას ბავშვობიდან ვუყურებ და აღფრთოვანებული ვარ. მინდა, მისი შემცვლელი ვიყო და იმასვე მივაღწიო, რასაც პაოლომ. თუმცა, კარგად მესმის, რომ ეს თითქმის წარმოუდგენელია. მიხარია, რომ „მილანში“ არაერთი ბრაზილიელი ფეხბურთელი მხვდება. ისინი ადაპტაციის გავლაში დამეხმარებიან და გვერდში დამიდგებიან...“*

**ლაშა ნიკლაური**

ილია ნიკოლაიშვილი წარმოგიდგენთ

სამხრეთამერიკული ფეხბურთი

# იქ, დასავლეთ ნახევარსფეროში...

## მარადონა: შანსი ყველას უნდა მიეცეს

### დონ დიეგო არგენტინის მეორე ნაკრებს ქმნის

სანაკრებო ფეხბურთისთვის ახლა მკვდარი სეზონია, მაგრამ მიუხედავად ამისა, **დიეგო მარადონა** არ ცხრება და ყოველდღე ალბისელესტეს კეთილდღეობაზე ფიქრობს. როგორც იცით, არგენტინის ეროვნულმა გუნდმა ახალი მწვრთნელის სადებიუტო შეხვედრაში შოტლანდიას გასვლაზე მოუგო. ეს სასიამოვნო ფაქტი იყო, მაგრამ ყველას ესმის, რომ არგენტინას მთავარი ბრძოლები წინ ელის. მუნდიალი ხანგრძლივი ციკლია და ამ საქმეს ბევრი მუშაობა სჭირდება. მარადონამ ეროვნულ გუნდთან დაკავშირებით ძალიან საინტერესო გეგმა შეიმუშავა. ლეგენდარულმა არგენტინელმა გადაწყვიტა, ეგრეთ წოდებული სათადარიგო გუნდი შექმნას. ამ გუნდში ის მხოლოდ და მხოლოდ არგენტინის ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელებს მოუყრის თავს. მართლაც საინტერესო გეგმის შესახებ თავად მარადონამ ისაუბრა. მისი პრესკონფერენციის ყველაზე საინტერესო ფრაგმენტებს თქვენს სამსჯავროზე გამოვიტანთ: *„ალბისელესტეს ძირითადი ბირთვი უმდიდრესია უნიჭიერესი მოთამაშეებით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა ფეხბურთელებს ყურადღება არ მივაქციოთ. ჩვენი ნაკრები მხოლოდ 27-30 მოთამაშეს არ ეკუთვნის. აუცილებელია, რომ სათადარიგო გუნდი შევქმნათ. ამით საშუალება მოგვეცემა, ფეხბურთელების ფართო ჯგუფთან ვიმუშაოთ და საჭიროების შემთხვევაში ძირითადი ნაკრები მზა კადრებით შევავსოთ. არგენტინულ ფეხბურთს ხუთი თითივით ვიცნობ და ვიცი, რომ შიდა ჩემპიონატში უამრავი უნიჭიერესი ბიჭი თამაშობს. მათ აუცილებლად უნდა მივცეთ შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსი. წარმოიდგინეთ, ხომ შეიძლება სხვადასხვა მიზეზის გამო ესა თუ ის წამყვანი ფეხბურთელი გამოგვაკლდეს? სათადარიგოები სწორედ ამ დროს გამოგვადგებიან. შესაძლოა, ძირითადი შემადგენლობის ბიჭები ჯანმრთელად იყვნენ, მაგრამ მეორე ნაკრების წევრებმა თამაში და ჩემი სიმპათია მეტად დაიმსახურონ. მოკლედ, ეს ყოველმხრივ სასარგებლო პროექტია. ყველაზე მთავარი ის არის, რომ კონკურენცია მნიშვნელოვნად გაიზრდება."*



დიეგო მწვრთნელობის ეშხში შედის

არგენტინელმა ჟურნალისტებმა იმ ფეხბურთელების გვარები გაგვაცნეს, რომლებთანაც სავარაუდოდ მარადონას მოუწევს მუშაობა. ისინი არიან: **ბატალია, ვილიაგრა, სანდი, ფაბიანი, მორელი, ანხელერი, ფორლინი, ბერგასიო, მონტენეგრო, ვერონი, მორალესი** და სხვები. ბუნებრივია, დიეგო ამ მოკლე ჯგუფით არ შემოიფარგლება და მოთამაშეთა გაცილებით ფართო სპექტრს მისცემს ალბისელესტეს ღირსების დაცვის შესაძლებლობას. ობიექტური მიზეზების გამო, მარადონა სათადარიგო გუნდს სისტემატურად ვერ შეკრებს, თუმცა ის კლუბების ვარჯიშებზე ხშირად ივლის და შესაძლებლობისთანავე რამდენიმედღიან შეკრებას გამოაცხადებს. იოლი შესაძლებელია, ამ კოლექტივში **ხუან რომან რიკელმესაც** ხშირად მოუხდეს ვარჯიში. მოგეხსენებათ, რომანი „ბოკა ხუნიორსში" ასპარეზობს და დიეგოს ხელს არაფერი შეუშლის, რომ მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ უდიდეს ვარსკვლავს გაკვეთილები ჩაუტაროს ხოლმე.

## ისევ ძალადობა, ისევ ტრაგედია

გასულ უქმეებზე ბრაზილიაში ტრაგედია დატრიალდა. „სან პაულუს" გულშემატკვარი **ნილტონ სესარ დე ხესუსი** „გოიასთან" გასვლითი შეხვედრის სანახავად ქალაქ გამას გაემგზავრა. 26 წლის ბიჭისთვის ეს მგზავრობა საბედისწერო აღმოჩნდა. თამაშის დაწყებამდე სტადიონის მისადგომებთან ჩხუბი ატყდა. სანპაულუელმა სტუმარმა ტრიბუნამდე ვერც კი მიაღწია. დაპირისპირებული მხარეების დაშოშმინებას პოლიცია შეეცადა, მაგრამ სამართალდამცველები სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდნენ. ისინი სერიოზულ რიცხვობრივ უმცირესობაში აღმოჩნდნენ და იძულებული გახდნენ, ჰაერში ცეცხლი გაეხსნათ. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ხულიგნები ამითაც არ შეშინდნენ და შეტევა გააგრძელეს. ამასობაში, პოლიციის დამატებითი რაზმი გამოჩნდა. ისინი პირდაპირ მოვლენათა ეპიცენტრში შევარდნენ. საბედისწერო გასროლა სწორედ მათი მხრიდან მოხდა. როგორც გითხარით, ინციდენტს ნილტონ სესარ დე ხესუსი შეეწირა. ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ ის ჩხუბში არ მონაწილეობდა. უბრალოდ, შორიახლოს იდგა და გაშმაგებული ქომაგების დაშოშმინებას ცდილობდა. სამართალდამცველებმა მკვლელი შემთხვევის ადგილზევე დააკავეს. ის სერჟანტი **კარვალიო ბარეტო** გახლავთ. აღსანიშნავია, რომ მას თხემის არეში ბლაგვი საგნით სერიოზული ტრავმა მიაყენეს. სერჟანტი საავადმყოფოში გადაიყვანეს და მალე, ეჭვმიტანილის სტატუსით დაპატიმრებულად გამოაცხადეს. მოსამართლემ ადვოკატის შუამდგომლობით ბარეტო თავდებით გაათავისუფლა, თუმცა მის წინააღმდეგ საქმის წარმოება, რა თქმა უნდა, არ შეწყვეტილა. ეჭვმიტანილის ადვოკატის მტკიცებით, მისი კლიენტი თავდაცვის გარდაუვალი აუცილებლობის პრინციპით მოქმედებდა და ციხეში არ უნდა აღმოჩნდეს. ადვოკატის თქმით, ნილტონ სესარ დე ხესუსის გარდაცვალება უბედური შემთხვევა და ტრაგედიაა.

ამ სამწუხარო ინფორმაციის გამოქვეყნება იმიტომ გადავწყვიტეთ, რომ სამხრეთ ამერიკაში გამეფებულ საფეხბურთო ძალადობაზე გვესაუბრა. დაგვეთანხმებით, ბრაზილია არ არის ერთადერთი გამონაკლისი. ექსპერტების დიდი ნაწილის კვლევით, ამ თვალსაზრისით ყველაზე ცუდი სიტუაცია არგენტინაშია. მადლობა ღმერთს, ამ უქმეებზე იქაურ ფეხბურთში ტრაგედია არ დატრიალებულა, მაგრამ ეს იმის გარანტია არ არის, რომ მსგავსი ინციდენტები აღარასოდეს მოხდება. არგენტინული ფეხბურთის მამებმა ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით ფრიად უჩვეულო გადაწყვეტილება მიიღეს. მომავალი სეზონიდან ყველა საფეხბურთო ლიგაში სტადიონებზე საგანგებო პოლიციური დანაყოფები განლაგდებიან. მათ ბრბოს შესაძლო შემოტევის მოსაგერიებლად ერთადერთი იარაღი ექნებათ – ბუენოსაირესულ ლაბორატორიაში შექმნილი ცრემლსადენი და მხუთავი გაზი. თუ ვინმე სტადიონზე გადახტომასა და ფეხბურთელებთან ან მსაჯებთან ანგარიშსწორებას მოინდომებს, ხსენებული გაზის „დაჭაშნიკება" მოუწევს. საქმეში ჩახედული ხალხის თქმით, აირი იმდენად ძლიერმოქმედია, რომ ადამიანის მყისიერ პარალიზებას იწვევს. საფეხბურთო ასოციაციის ეს გადაწყვეტილება ადამიანის უფლებების დამცველმა ორგანიზაციებმა კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს. მათი თქმით, ამ აირს საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული შემოწმება არ გაუვლია და დანამდვილებით არავინ იცის, რამდენად სახიფათოა სიცოცხლისთვის. პოლიციას კი სხვა მოსაზრება აქვს. მათი მტკიცებით, გაზი აბსოლუტურად უვნებელია და მას მხოლოდ იმ ადამიანების წინააღმდეგ გამოიყენებენ, რომლებიც ტრიბუნებზე ვერ დაეტევიან და მოედანზე შეღწევას შეეცდებიან.

## სამთა ტურნირი ჩემპიონობისთვის

### რივერმა საკლუბო ანტირეკორდი დაამყარა



რივერ პლეიტსა და მის ვეტერან ვარსკვლავ არიელ ორტეგას სირცხვილისაგან თავი აღარ გამოეყოფათ

არგენტინის ჩემპიონატი გუშინ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ პრიმერა დივიზიონში „სამხელისუფლებიანობა" დამყარდა. „სან ლორენსოს", „ბოკა ხუნიორსსა" და „ტიგრესს" თანაბარი ქულები აქვთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩემპიონის ტიტულის მფლობელის გასარკვევად არგენტინული საფეხბურთო კანონმდებლობის მიხედვით გადათამაშება უნდა გაიმართოს. ჩემპიონობას ორი გუნდი რომ ეცილებოდეს, ყველაფერი მარტივად იქნებოდა. პროფესიული ლიგის მესვეურები, ელემენტარულად, ოქროს მატჩს დანიშნავდნენ და ყველაფერს დროულად მოიცილებდნენ თავიდან. მაგრამ წელს მარათონში სამი გუნდია ჩაბმული. გადაწყდა, რომ სამივე ერმანეთს უნდა შეხვდეს და ჩემპიონად საუკეთესო მაჩვენებლების მქონე კოლექტივი გამოცხადდეს.

ეგრეთ წოდებული სამხელისუფლებიანობა მართლაც უცნაური მოვლენაა, მაგრამ წლევანდელი აპერტურა ბოლოადგილოსნის გამო განსაკუთრებით უცნაური და დაუჯერებელია. დიახ, დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ბოლო ადგილზე „რივერ პლეიტი" გავიდა. გუნდი, რომელიც ყველაზე მეტ საჩემპიონო ტიტულს ფლობს ისე დაჩაჩანაკდა, რომ ამ სეზონში მხოლოდ ორი თამაშის მოგება შეძლო. ასეთი წარუმატებლობა „მილიონარიოსს" დაარსებიდან პირველად შეემთხვა. წარმოიდგინეთ, აპერტურა ისე მიმდინარეობდა, რომ ბაირესულმა გრანდმა ზედიზედ 12 ტურის განმავლობაში ერთი თამაშიც ვერ მოიგო. 1981 წელს მიღებული კანონი რომ არა, დედაქალაქელები მომავალ სეზონს ქვედა ლიგაში დაიწყებდნენ, მაგრამ 27 წლის წინ არგენტინული ფეხბურთის მაშინდელმა მმართველებმა განსხვავებული წესი დანერგეს, პრიმერა დივიზიონიდან ბოლო სამი სეზონის მაჩვენებლებით ყველაზე ცუდი შედეგების მქონე კლუბი ვარდება. „რივერ პლეიტს" წინა ორ ჩემპიონატში დაგროვებულმა კოეფიციენტმა უშველა, თორემ სუპერსენსაციური მოვლენის მომსწრე გავხდებოდით, „რივერი" სეგუნდა დივიზიონში ეს მართლაც უჩვეულო და გულსაკლავი ფაქტი იქნებოდა.

ბაირესელთა წლევანდელი ფატალური ფიასკო მაინც **დიეგო სიმეონეს** სახელს უკავშირდება. მართალია, წარსულში ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელი „რივერ პლეიტის" მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან გადადგა, მაგრამ ცხოვრებამ გამოაჩინა, რომ სიმეონემ მძიმე მემკვიდრეობა დატოვა და სიტუაცია არ გამოსწორდა. პირიქით, გაუარესდა კიდეც. სიმეონემ გუშინ საგანგებო განცხადება გაავრცელა და გულშემატკივრებს ბოდიში კიდევ ერთხელ მოუხადა: *„ეს ტრაგედიაა. „რივერის" ლეგენდარული ფეხბურთელების სახელი შევარცხვინეთ. მიუხედავად იმისა, რომ მთავარი მწვრთნელი დიდი ხანია აღარ ვარ, პასუხისმგებლობას არ გავურბივარ და ვაცხადებ, რომ კლუბის ბოლო ადგილზე გასვლა ჩემი დანაშაულია. ძალიან გთხოვთ, მაპატიეთ. თავს დამნაშავედ ვგრძნობ. საუბედუროდ, ჩემი და „მილიონარიოსის" თანამშრომლობა არ აეწყო."*

## არგენტინელთა კიდევ ერთი უჩვეულო ჩანაფიქრი

როგორც ჩანს, არგენტინელები ქიმიურმა ნივთიერებებმა მეტისმეტად გაიტაცეს. ყოველ შემთხვევაში, მათი კიდევ ერთი ინიციატივა ისევ და ისევ აეროზოლს ეხება. მოგეხსენებათ, საფეხბურთო მატჩების მსვლელობისას ეგრეთ წოდებული ცოცხალი კედლის დაყენებისას ძალიან დიდი დრო იკარგება. კედელში ჩამდგარი ფეხბურთელები ხშირად ურცხვად აცხადებენ, ზუსტად 9 მეტრსა და 15 სანტიმეტრზე ვდგავართო. არადა, ხშირ შემთხვევაში დაშორება 6 მეტრსაც არ აღწევს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ არგენტინაში ეს პრობლემა მალე მოგვარდება.

საფეხბურთო ასოციაციის მესვეურებმა უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღეს. კერძოდ, მაშინ, როცა საჯარიმო დაინიშნება და გუნდი ცოცხალი კედლის აღმართვას გადაწყვეტს, მსაჯი 9 მეტრს გადაზომავს და ადგილის დაფიქსირების მიზნით, გაყოლებაზე თეთრი ფერის აეროზოლს დაასხამს. ამის შემდეგ უდისციპლინო ფეხბურთელებს არანაირი საშუალება აღარ დარჩებათ იმის სათქმელად, რომ დისტანციას ზედმიწევნით პატიოსნად იცავდნენ. ხოლო იმისათვის რომ თეთრმა საღებავმა მოედანი არ გააფუჭოს, საგანგებო შემცველობის საღებავის წყალობით ის დასხმიდან ნახევარი წუთის შემდეგ უკვალოდ გაქრება.

საფეხბურთო ასოციაციის ეს ნოვაცია მომავალი სეზონიდან უნდა დაინერგოს. სენიორ **ხულიო გრონდონა** დარწმუნებულია, რომ ინიციატივა საყოველთაო მოწონებას დაიმსახურებს და ცოტა ხანში მსოფლიოს სტადიონებზე მსაჯები აეროზოლებით ირბენენ: *„ძალიან გვაინტერესებს, პრობლემის მოგვარების ჩვენეული ხედვა რამდენად დიდ მოწონებას დაიმსახურებს. თუ ჩანაფიქრი გაამართლებს, მერწმუნეთ, უამრავი ქვეყანა მოგვბაძავს. დაიმახსოვრეთ, აეროზოლიანი მსაჯი ადრე თუ გვიან მსოფლიოს ჩემპიონატზეც იმუშავებს."*



ოლიმპიზმი

# სინგაპური 2010 წელის




2010 წლიდან,სოკ-ის პატრონაჟით, პირველად გაიმართება ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები, რომლის მასპინძლობის უფლება აზიის ქალაქ-სახელმწიფო სინგაპურს აქვს. მოკლედ, 2010 წლიდან ახალი ეპოქა იწყება ოლიმპიურ მოძრაობაში, ოლიმპიადების გარდა გვექნება ახალგაზრდული ოლიმპიადებიც. ახლახან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომმა სინგაპურის თამაშების პროგრამა მიიღო, ასევე დააზუსტა საკვალიფიკაციო სისტემა და სხვადასხვა დეტალი. სინგაპურში სპორტის 26 სახეობაში მონაწილეობას 3 594 ათლეტი მიიღებს. სპორტის სახეობები ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების იდენტური იქნება, თუმცა განსხვავებულია შეჯიბრებების ფორმატი, სადაც გათვალისწინებული იქნება მონაწილეთა ასაკი. მაგალითისთვის, კალათბურთში შეჯიბრება ფიბა-ს 3X3 ფორმულის მიხედვით ჩატარდება – გუნდებს სამ-სამი მოთამაშე ეყოლებათ მოედანზე, მატჩი კი ნახევარ მოედანზე გაიმართება.

სოკ-ი იმედოვნებს, რომ სინგაპურის პირველ ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებში 205-ვე წევრი ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას. თუკი რომელიმე ქვეყანა ვერ შეძლებს საკვალიფიკაციო ბარიერის გამო სპორტსმენთა გამოყვანას, ამ ქვეყნის 4 სპორტსმენს „უაილდ ქარდი“ მიენიჭება. დარწმუნებული ვართ, ჩვენ ეს საჩუქარი არ დაგვჭირდება. საკვალიფიკაციო სისტემაში მნიშვნელობა მიეცემა სპორტის კონკრეტულ სახეობაში მსოფლიოს ახალგაზრდული და კონტინენტური ჩემპიონატების შედეგებსა და რეიტინგებს. თითოეულ დელეგაციას ინდივიდუალურ სახეობაში 70 ახალგაზრდა ათლეტზე მეტის გამოყვანის უფლება არ ექნება. სოკ-მა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ზამთრის პირველ ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებს – 2012 წელს ინსბრუკმა (ავსტრია) უმასპინძლოს. ინსბრუკმა 84 ხმა მიიღო, ხოლო ფინურმა ქალაქმა კუოპიომ – 15.

სინგაპურის ოლიმპიადამდე კი 605 დღე რჩება...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ხელბურთი

# მერიის თასი ჩემპიონატის ნაცვლად

ეროვნული ჩემპიონატის დაწყებას საშველი არ დაადგა. ფედერაციის ახალარჩეული ხელმძღვანელობა იმედოვნებდა, რომ სტარტი მიმდინარე წლისთვის მოესწრებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა.

გუნდები პრაქტიკის გარეშე რომ არ დარჩნენ, ხვალ ტექნიკურ უნივერსიტეტში მერიის თასის გათამაშება დაიწყება. ტურნირი ოთხ დღეს გასტანს და მასში ექვსი გუნდი იასპარეზებს, მათ შორის საქართველოს მარადიული ჩემპიონი სტუ-„შევარდენი“, რომელმაც ჩემპიონატში თამაში უსახსრობის გამო იუარა.

მერიის თასის მონაწილენი ორ ჯგუფად დაყვეს.

A ჯგუფი: **სტუ-შევარდენი, ქუთაისი, სამტრედია**

B ჯგუფი: **თბილისი, მამული, რუსთავი**

17 დეკემბერი: **თბილისი-მამული, სტუ-ქუთაისი**

18 დეკემბერი: **მამული-რუსთავი, ქუთაისი-სამტრედია**

19 დეკემბერი: **სტუ-სამტრედია, თბილისი-რუსთავი**

20 დეკემბერს ჯგუფების გამარჯვებულები ერთმანეთს ფინალში შეხვდებიან, მეორადგილოსნები მერიის თასის მესამეადგილოსანს გამოავლენენ, მესამეები კი მეხუთეადგილოსანს.

ჯგუფური თამაშებიც და დასკვნითი მატჩებიც 14 საათზე დაიწყება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

კრივი

# ახალი ციკლის დასაგეგმად


თენგიზ მესხაძე
ავტორის ფოტო

25 დეკემბერს კრივის ფედერაციაში წლის შემაჯამებელი სხდომა გაიმართება და მომდევნო ოლიმპიური ოთხწლედის გეგმებზე ისაუბრებენ. სავარაუდოდ, ნაკრების მთავარ მწვრთნელად მუშაობას განაგრძობს **თენგიზ მესხაძე**. მომავალი წლისთვის მას უფრო მაღალ მიზნებს დაუსახავენ. წლეულსაც შეიძლებოდა მეტი წარმატების მიღწევა, მაგრამ ნაკრების ორი ლიდერი, **კახა ჟვანია** და **ლევან ღვამიჩავა** ბრიტანეთის საელჩომ ლივერპულის ევროპის ჩემპიონატზე არ გაუშვა. პეკინის ოლიმპიადაზე კი მედლების შანსი, ფაქტობრივად, არც გვქონია.

გადაწყდა, რომ საქართველოს ჩემპიონატი მომავალი წლის აპრილში გაიმართება. მანამდე ჩვენი მოკრივეები ბულგარეთისა და აზერბაიჯანის საერთაშორისო ტურნირებში გამოვლენ. ამ შეჯიბრებებზე მწვრთნელები მაქსიმალურად ბევრ სპორტსმენს გამოცდიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სამბო

# სამბოს რჩეულნი

სამბოს ეროვნულმა ფედერაციამ ტრადიციას არ უღალატა და წლეულსაც, ფედერაციებს შორის პირველმა დაასახელა 2008 წლის სამ-სამი საუკეთესო სპორტსმენი და მწვრთნელი.

სპორტსმენებიდან საუკეთესოდ სცნეს მცხეთელი მოჭიდავე **მირიან პავლიაშვილი**, მეორე ადგილზე გავიდა **ლევან ნიკლაური** (დედოფლისწყარო), მესამეზე - **ნიკა კუცია** (ფოთი).

წლის საუკეთესო მწვრთნელთა სამეული ასე გამოიყურება: 1. **ქართლოს პავლიაშვილი** (გორი), 2. **ზურაბ ტუღუში** (ფოთი), 3. **ტარიელ ცინცაძე** (თ...

რაგბი


ავტორის ფოტო

# ბავშვთა სარაგბო ფესტივალზე 1000-მდე მოზარდმა ითამაშა

მეორე კვირაა, თბილისი საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტისა და რაგბის კავშირის მიერ ერთობლივად ორგანიზებულ ბავშვთა სარაგბო ფესტივალს მასპინძლობს. 13-14 წლამდელებმა „ლოკომოტივის" სტადიონზე ღვაწლმოსილი მორაგბის - **ნოდარ ყიფიანის** ხსოვნის ტურნირში ითამაშეს, გუშინ, კი „შევარდენზე" 11-12 წლამდელებმა რაგბის კავშირის ყოფილი გენერალური მდივნის – **ირაკლი ჩხეიძის** სახელობის პრიზზე იასპარეზეს.

ფესტივალში 1000-მდე ბავშვი მონაწილეობდა. თითოეულ ტურნირში ჯამში 20-20 გუნდი გამოვიდა. ფესტივალის წესით, საპრიზო ადგილები არ გათამაშებულა და თასებითა და დიპლომებით ყველა გუნდი დაჯილდოვდა. პატარები ორ 20-წუთიან ტაიმებს თამაშობდნენ, ხოლო მათთვის მოტივაციის ასამაღლებლად შეხვედრებს საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრები სჯიდნენ. 11-12 წლიანთა ფესტივალზე ერთმანეთს „შევარდენი", „ქუთაისი", „ხულიგანა", „ჭიათურა", „მერანი", „ქუთაისი 2", „ჯიქები", „ვანი", „უნივერსიტეტი", „ქუთაისი 3", „აკადემია", „ფოთი", „ლელო", „მუტრუკები", „არმაზი", „ზესტაფონი", „ყოჩები", „რუსთავი", „დილომი" და „მონინო" ერკინებოდნენ. 13-14 წლიანებში -„პატარძეული", „ჯიქები", „აკადემია", „ქუთაისი", „ჭიათურა", „დილომი", „რუსთავი", „ვანი", „ყოჩები", „ლელო", „ფოთი", „ივერია", „ახალციხე", „ხულიგანა", „დედოფლისწყარო", „არმაზი", „უნივერსიტეტი", „ბორჯომი", „შევარდენი" და „აკადემია 2".

ფესტივალის დასრულების შემდეგ, „შევარდენის" სტადიონზე უმცროსთა დაჯილდოების ცერემონიალიც ჩატარდა. თასები და დიპლომები რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **გია ნიჟარაძემ**, ეროვნული ნაკრების წევრმა **ილია მაისურაძემ** და ირაკლი ჩხეიძის ქალიშვილებმა გადასცეს. ფესტივალზე მორაგბეთა გვერდით იყო საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე - **დავით ნამგალაური**, რომელიც პატარებს სამომავლოდ გვერდში დგომასა და ზოგადად ქართული რაგბისათვის მაქსიმალურ ზრუნვას დაჰპირდა.

**გიორგი ჭანიშვილი**

ქართული ჭიდაობა

# ესეც სრული შემადგენლობა

ნოემბრის მიწურულს ქართული ჭიდაობის ფედერაციის ყრილობაზე ახალარჩეულმა პრეზიდენტმა **უშანგი ყურაშვილმა** პრეზიდიუმის დასაკომპლექტებლად დრო ითხოვა.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ ვაკანტური ადგილები სრულად შეივსო. პირველი ვიცე პრეზიდენტად დაამტკიცეს ყოფილი მოჭიდავე, საბჭოთა კავშირის პრიზიორი **ნოდარ ქენქაძე**, რომელიც ამჟამად მცირე ბიზნესს ეწევა. ვიცე - პრეზიდენტები არიან **შოთა ჩეკურიშვილი, სიმონ მაისურაძე** და **გოგი ბიწკინაშვილი,** გენერალური მდივანის პოსტი **იური იმერლიშვილმა** შეინარჩუნა.

- ჩემ გვერდით დგანან ის ადამიანები, რომლებსაც უყვართ ქართული ჭიდაობა და მის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით. ჩვენ ერთი მიზანი გვამოძრავებს – ეროვნული საუნჯე უფრო დიდ სიმაღლეზე ავიყვანოთ და საერთაშორისო სარბიელზე გავიტანოთ. ამ საქმეში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის აქტიურ მხარდაჭერას ვგრძნობთ. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ოცნებას რეალობად ვაქცევთ. საამისოდ პირველ ნაბიჯებს იანვრის მიწურულს გადავდგამთ-ძიუდოში მსოფლიოს თასის გათამაშებისას ქართულ ჭიდაობაში აბსოლუტური პირველობის გამართვა გვსურს უცხოელი ფალავნების მონაწილეობით. რაღა თქმა უნდა, სპორტის მესვეურთა და ბიზნესმენთა თანადგომის იმედი გვაქვს, - ამბობს უშანგი ყურაშვილი.

**ვაჟა დანელია**

ანონსი

# ხვალინდელ ლელოში...

## სპორტული ოჯახი. სამნი ძმანი ოჯოლელნი

**გასული საუკუნის სამოციან წლებში „ლელომ“ წერილთან ერთად ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტების - ძმები იაშვილების ფოტოც დაბეჭა. ჰამლეტი და ვლადიმერი მოჭიდავეები არიან, ალექსანდრე კი კალათბურთელიაო, გვაუწყებდა ავტორი...**

**ცხოვრების როგორი გზა განვლეს და რას მოღვაწეობენ დღეს ეს ღვაწლმოსილი ადამიანები?...**

[illegible]

# ძველი და ახალი წლის მიჯნაზე

ახლოვდება ახალი წელი და იზრდება საზრუნავი სპორტულ ორგანიზაციებში. წლის შედეგების შეჯამება მომავლის გეგმებზე მუშაობის პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს. პროცესები სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტიდან იმართება.

ბოლოს და ბოლოს, ბავშთა და მოზარდთა რამდენი სპორტსკოლაა დღეს ქვეყანაში, რამდენი მომეცადინეა, რა მდგომარეობაა ბაზებისა და კადრების მხრივ? ამ კითხვებს პასუხი მინიმუმ ერთ თვეში გაეცემა. ასეთია კომპეტენციიდან გამომდინარე სპორტის დეპარტამენტის მოთხოვნა. ახლა, ფედერაციებთან ხელშეკრულებების გადახედვის დროც დადგა - უნდა გაირკვეს ბოლომდე რა შესრულდა. ან თუ არ შესრულდა, რატომ. ფაქტობრივად, აქედან გამოტანილი დასკვნა იქნება სპორტის სახელმწიფო სტრუქტურასა და ფედერაციებს შორის მომავალი ურთიერთობის ამოსავალი წერტილი ახალი ხელშეკრულების გაფორმებისას.

აპირებს თუ არა სპორტის დეპარტამენტი წლის შედეგების შეჯამებას, ოფიციალურად ჯერ უცნობია. წლეულსაც ალბათ ჟურნალისტთა ტრადიციული რეფერენდუმი იქნება საკმარისი წლის საუკეთესო სპორტსმენებისა და გუნდების გამოსავლენად.

როგორც შევიტყვეთ, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში ძალიან შეწუხებულან „საქართველოს სპორტული დიდების მუზეუმიდან“ ქურდების მიერ ქართველი ოლიმპიური ჩემპიონების მედლების დაკარგვის გამო. უკვე მიმდინარეობს ორგანიზაციული საკითხების მოგვარება – სოკ-ი თანახმა ყოფილა ჩვენი ჩემპიონებისთვის დაამზადოს დაკარგული მედლების ასლი.

გუშინ, დილიდანვე, სპორტის დეპარტამენტისა და ძიუდოს ფედერაციის წარმომადგენლებმა მცხეთას მიაშურეს, მცხეთა-მთიანეთის ძიუდოს რეგიონული ფეერაციის დაფუძნებაში მონაწილეობის მისაღებად.

სამბოს ფედერაციამ, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ჩვენი ფედერაციებიდან პირველმა დაასახელა წლის სამი რჩეული სპორტსმენი და მწვრთნელი. ფარიკაობის, ველოსპორტის, ბეისბოლის ფედერაციები, ერთმანეთის მიყოლებით, ამ თვის ბოლომდე გამართავენ თავიანთ საანგარიშო საარჩევნო ყრილობებს. ზუსტდება ცხენოსნობის ფედერაციის ყრილობის ჩატარების თარიღი. თუ არ ვცდებით, სხვა დანარჩენმა ფედერაციებმა ეს საქმე პეკინის ოლიმპიადის შემდეგ, სეოკ-ის სესიამდე მოითავეს.

ახლა ნამდვილად დაზამთრდა. „სპორტულ უბანშიც“ ჩამოთოვა, ბაზებზე სუსხმა იმატა და იკლო მომეცადინეთა რიცხვმა, არ თბება სპორტული დარბაზების უმეტესობა და იმიტომ. საერთოდ, ცუდი ხმები დადის - ვაკეში „სპორტულ უბანს“ შეიძლება „იყო და აღარ არის“ ბედი ეწიოს. ახალი ისევ კომპაქტურად გაშენდება თუ ობიექტებად დაიქსაქსება, ამას მომავალი გვიჩვენებს...

**თენგიზ თომაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი


მიხეილ ქორქია


ზურაბ საკანდელიძე

ქორქია-საკანდელიძის მემორიალის წილისყრა

# კალათბურთი ავიას, თსუ-ისა და ბათუმის გარეშე

21 დეკემბერს რუსთავის "ქიმიკოსთა" დარბაზში დაიწყება მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის სახელობის თასის გათამაშება, რომელიც 4 დღეს გასტანს და 24 დეკემბერს დასრულდება.

გუშინ, კალათბურთის ფედერაციაში გაიმართა მემორიალური ტურნირის წილისყრა, რომელსაც მონაწილე გუნდების წარმომადგენლები დაესწრნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ტურნირის კარი სუპერლიგის ყველა გუნდისთვის ღია იყო, მონაწილეობის სურვილი მხოლოდ ექვსმა კლუბმა გამოთქვა. დასანანია, რომ არ იქნებიან "ავიამშენი", თსუ და "ბათუმი". თსუ-ის საკითხი გასაგებია, გუნდი ფინანსურ კრიზისშია და თუნდაც ოთხი დღის მგზავრობის ხარჯების გაღება რთული იქნებოდა. შეიძლება, "ავიამშენსა" და "ბათუმსაც" არ სურდათ შუა სეზონში ჩასმული ტურნირის გამო ზედმეტი ხარჯის გაღება, თუმცა ნათქვამია, თუ გული გულობს...

არის ერთი ნიუანსიც: ოლიმპიური ჩემპიონებისადმი მიძღვნილი ტურნირი თბილისში რომ გამართულიყო, შეიძლება თსუ-სა და "ავიას" უარი აღარ ეთქვათ. გუნდების წარმომადგენლებს ხშირად დაუჩივლიათ - ყველა ტურნირი რუსთავში რატომ იმართებაო. პასუხი მარტივია – სპორტის სასახლის ერთი დღით დაქირავება 10 ათასი ლარი ღირს, რაც ძალიან ბევრია... ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზი კი, როგორც ამბობენ, გაყიდულა და არავინ იცის, რა ელის...

დავუბრუნდეთ წილისყრას, რომელმაც მემორიალზე გუნდები ასე გაანაწილა: A ჯგუფი - "ნტდ\თბილისი", "დინამო", "მაკაბი". B ჯგუფი – "ენერჯი", "სასოფლო", შსს.

გუნდები ერთმანეთს თითოჯერ შეხვდებიან და ჯგუფებში გამარჯვებულები ქორქია-საკანდელიძის თასის ფინალში 24 დეკემბერს ითამაშებენ.

**ტურნირის კალენდარი**

| | |
|---|---|
| **21 დეკემბერი** | |
| ნტდ-დინამო | 13:00 |
| შსს-ენერჯი | 15:00 |
| **22 დეკემბერი** | |
| დინამო-მაკაბი | 13:00 |
| ენერჯი-სასოფლო | 15:00 |
| **23 დეკემბერი** | |
| სასოფლო-შსს | 13:00 |
| მაკაბი-ნტდ | 15:00 |

**აქამდე გამართული ყველა მემორიალის ფინალი**

| | |
|---|---|
| **20 იანვარი. 2006** | |
| რუსთავი-სტუ | 106: 77 |
| **21 იანვარი. 2007** | |
| ენერჯი-თსუ | 95:75 |
| **18 იანვარი. 2008** | |
| ენერჯი-ავიამშენი | 80:78 |

ლეგიონერები. ესპანეთის ჩემპიონატი

# ცქიტიშვილის მონაგარის ქსეროასლი...


ვლადიმერ ბოისა (№7)

ესპანეთის პირველობაზე მე-13 ტური საქართველოს ნაკრების წევრთათვის უიღბლო აღმოჩნდა – წააგო როგორც **ნიკა ცქიტიშვილის** "ფუენლაბრადამ", ასევე **ვლადიმერ ბოისას** "მენორკამ", **ტაირონ ელისის** "კახასოლმა" და **თორნიკე შენგელიას** "ვალენსიამ".

ვიდრე სხვა მატჩებზე გესაუბრებოდეთ, შესავალშივე მოკლედ შევჩერდებით "ვალენსიაზე". მართალია "ბრუესასთან" (65:70) მატჩის განაცხადში თორნიკე შენგელია არ შეუყვანიათ, მაგრამ ვალენსიელთა თამაშისადმი მეტი ყურადღების გამოჩენა მაინც აუცილებელია. გასულ კვირას თორნიკე ევროთასის მატჩის (გერმანულ "არტლანდთან") განაცხადში მე-16 ნომრით იყო, თუმცა მწვრთნელმა იგი მოედანზე არ შეუშვა და შენგელიას ვალენსიური დებიუტიც გადაიდო...

| ბრუესა-ფუენლაბრადა | 85:79 |
|---|---|

ნიკა ცქიტიშვილი: **29 წუთი, 12 ქულა, 5 მოხსნა, 3 პასი, 5 ფოლი**

"ბრუესასთან" მატჩი მადრიდულმა "ფუენლაბრადამ" დამაჯერებლად დაიწყო. ნიკა ცქიტიშვილის თანაგუნდელებს პირველ ტაიმში ყველაფერი გამოსდიოდათ და დიდ შესვენებაზე 7-ქულიანი ფორით (40:33) გავიდნენ, მაგრამ მეორე ნახევარში მასპინძლებმა ქომაგთა შეგულიანებით თამაშიცა და სამიზნეც გაისწორეს და გამარჯვებაც მოიპოვეს – 85:79.

ნიკამ ტრადიციულად, მაღალი შედეგიანობით ისროლა, 3-დან 3 ორქულიანი ჩააგდო, რასაც 6-დან 2 სამიანი მიაყოლა და 12 ქულა მოუგროვდა. მასზე მეტი მხოლოდ **ბუენომ** (14 ქულა) და **ოლესონმა** (16) მოაგროვეს. საინტერესოა, რომ ბრუესელთაგან 10 ქულა ერთბაშად ოთხმა კალათბურთელმა მიითვალა.

| მენორკა-ბარსელონა | 61:75 |
|---|---|

ვლადიმერ ბოისა: **17 წუთი, 10 ქულა, 3 მოხსნა, 4 ფოლი**

შეაგახსენებთ, რომ ნიკა ცქიტიშვილმა სეზონის საუკეთესო მატჩი "ბარსელონასთან" ითამაშა, 22 ქულა ჩააგდო (7-დან 6 სამიანი). კატალონიელებთან ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა გამოუვიდა ვლადიმერ ბოისასაც. მან 10 ქულა ჩააგდო (4-დან 1 ორქულიანი, 4-დან 1 სამიანი, 6-დან 5 საჯარიმო) და "მენორკას" ვიცე-სნაიპერი გახდა. კუნძულელთაგან ყველაზე მეტი, 20 ქულა **მარიო სტოიჩმა** მიითვალა.


ნიკოლოზ ცქიტიშვილი

აუტსაიდერ "მენორკასა" და ლიდერ "ბარსას" მატჩის შედეგი წინასწარ იოლი გამოსაცნობი იყო – კატალონიელებმა მეორე პერიოდში 28:11 იმარჯვეს და გამარჯვებულის ბედიც საწყის 20 წუთში გადაწყვიტეს.

| კახასოლი-ხუვენტუდი | 66:77 |
|---|---|

ტაირონ ელისი: **32 წუთი, 12 ქულა, 3 მოხსნა, 3 პასი, 4 ფოლი**

ტაირონ ელისის "კახასოლმა" კიდევ წააგო. ამჯერად **რიკი რუბიოს** "ხუვენტუდთან" – 66:77. ისევე როგორც "მენორკას" შემთხვევაში, თამაშის ბედი აქაც პირველ ტაიმში გადაწყდა.

ტაირონ ელისმა კი თავისი მონაგარი თითქოს ნიკა ცქიტიშვილის სტატისტიკისგან გადააქსეროქსაო: 12 ქულა (2 სამქულიანი), 3 მოხსნა, 3 პასი...

13 ტურის შემდეგ "კახასოლს" 1 მოგების წილ 11 წაგება აქვს და ბოლო, მე-17 ადგილზეა. 4 მოგებითა და 8 წაგებით მეთორმეტეა ბოისას "მენორკა". ცქიტოს "ფუენლაბრადას" ერთით მეტი გამარჯვება უწერია და მეთერთმეტე პოზიციაზეა. პლეი ოფში გამსვლელ რვეულში მხოლოდ თორნიკე შენგელიასა და **შემონდ უილიამსის** "ვალენსიაა" – 7 მოგება, 6 წაგება და მე-8 ადგილი.

ლეგიონერი. უკრაინის ჩემპიონატი

# რეპეტიცია ტრიუმფის წინ


მანუჩარ მარკოიშვილი

| კიევი-პოლტავა | 95:75 |
|---|---|

მანუჩარ მარკოიშვილი: **24 წუთი, 7 ქულა, 5 მოხსნა, 3 პასი, 1 ჩაჭრა, 3 ფოლი**

უკრაინის პირველობაზე წარმატებულ სერიას განაგრძობს **მანუჩარ მარკოიშვილის** "კიევი". დედაქალაქელები შინაც იმარჯვებენ და გასვლაზეც. ბოლო ტურში "კიევმა" პოლტავას უმასპინძლა და მშვიდად მოიგო – 95:75.

როგორც იტყვიან, თავი მოიქაჩლა კიეველთა კაპიტანმა **არტურ დროზდოვმა,** რომელმაც 26 ქულა და 9 მოხსნა მოაგროვა. ამასთან შედარებით მანუს მონაგარი ეფექტური ნამდვილად არ გახლდათ, მაგრამ არც ურიგო ეთქმის: 24 წუთში 3-3 ორქულიანი და სამიანი ისროლა და კალათში თითო მოათავსა, რასაც 2 საჯარიმო მიაყოლა და 7 ქულა მოუგროვდა.

უკრაინის პირველობის სატურნირო ცხრილს სათავეში "კიევი" უდგას. მის ანგარიშზე 10 მოგება და 1 მარცხია. 9 მოგებით მეორე ადგილზეა მარიუპოლის "აზოვმაში".

მანუჩარ მარკოიშვილის თანაკლუბელებს მორიგი მატჩი დღეს ელით, ევროჩელენჯზე ლიუბერცის "ტრიუმფს" უმასპინძლებენ.

ქართველები ბალტიის ლიგაზე

# მარცხი რიგაში



| რიგა-როკი | 85:72 |
|---|---|

გიორგი ცინცაძე: **37 წუთი, 14 ქულა, 7 მოხსნა, 6 პასი, 1 ჩაჭრა, 3 ფოლი**

ვიქტორ სანიკიძე: **18 წუთი, 11 ქულა, 3 მოხსნა, 3 პასი, 3 ფოლი**

განვლილი უქმეები ბალტიის ლიგაში მოასპარეზე ქართველებისთვისაც წარუმატებელი გამოდგა. **გიორგი ცინცაძისა** და **ვიქტორ სანიკიძის** "ტარტუ როკი" ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტს, "რიგას" ლატვიაში დაუპირისპირდა და 72:85 დამარცხდა.

1000 რიგელი გულშემატკივრის თვალწინ ცინცაძის წინამძღოლობით როკერებმა პირველ ტაიმში მცირე უპირატესობა მოიპოვეს და მასპინძლები მდევრის როლით დააკმაყოფილეს. საწყისი 20 წუთი ესტონელებმა 38:32 მოიგეს, თუმცა მესამე პერიოდიდან რიგელები გამოფხიზლდნენ და საფინალო სირენამ მათი 13-ქულიანი გამარჯვება დააფიქსირა.

გიორგი ცინცაძე რიგაში ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ, თანაგუნდელთა შორის მთავარი მომხსნელი და მეპასე იყო – 7 მოხსნა, 6 პასი, 14 ქულა.

ვიქტორ სანიკიძემ 18 წუთი ითამაშა, 4-დან 3 ორქულიანი გამოიყენა, 5 საჯარიმო მიაყოლა და 11 ქულა და 3-3 მოხსნა-პასი მოუგროვდა.

ბალტიის თასზე, 10 ტურის შემდეგ "ტარტუ როკს" 4 მოგება, 6 წაგება აქვს და მეექვსე-მერვე ადგილებს ლატვიურ "ბარონსთან" და ლიტვურ "შიაულიაისთან" ინაწილებს.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# პირველი ლიგა პირველი თოვლის აკომპანემენტით

დეკემბერი დადგა და ციდან ფანტელებს ისედაც ველოდით, მაგრამ ჯერაც წელში გაუმართავი ქვეყნის შვილთათვის თოვლი მაინც ყინვასა და სიცივესთან ასოცირდება და არა ბუნების ლამაზ, ერთგვარ რომანტიკულ საჩუქართან... თბილისის ჭადრაკის სასახლე, რომელშიც ტურნირთა უდიდესი ნაწილი ტარდება, წლებია, სათანადოდ ვერ თბება და მოჭადრაკეებიც დაფებს ჩაფუთნილი უსხედან?! 37-ე ოთახში, სადაც ტურნირი მიმდინარეობს, გაზის გამათბობელი კი არის, მაგრამ სრული კომფორტისთვის მაინც არასაკმარისია. ამიტომაც გუშინდელ ხვავრიელ თოვლს, რომელიც დედაქალაქს ეწვია, დიდი აღფრთოვანება არ გამოუწვევია მონაწილეებში.

მესამე ტურშიც გაგრძელდა მოულოდნელი შედეგიანობა და პირველ რიგში პირველი ნომრის, დიდოსტატ **კონსტანტინე შანავას** მარცხია აღსანიშნავი **ჯამბულ მახარაძესთან**. ჯამბული გურიაში ცხოვრობს და სამეწარმეო საქმიანობით არის დაკავებული; ტურნირებში იშვიათად თამაშობს და მისგან ფავორიტის დამარცხება ნაკლებადმოსალოდნელი იყო. ჯამბულს არც აქამდე აჰკანკალებია ხელი, და პერსპექტიულ ახალგაზრდას – **ზვიად ფაციას** აჯობა მეორე ტურში; პირველში კი ვეტერან **რევაზ თოფურიას** დააყრევინა ფარ-ხმალი. დღეს თეთრებით **შოთა აზალაძეს** ხვდება და თუკი გაიმარჯვა, ნამდვილად პირველი რიგის ფავორიტად გადაიქცევა.

მესამე ტურში ერთი საინტერესო სურათიც დაიხატა: მაქსიმალური – ორი ქულა თოთხმეტ მონაწილეს ჰქონდა და ცხადია, რომ პირველ შვიდ დაფაზე დასხდნენ ერთმანეთის პირისპირ. პირველ დაფაზე მახარაძემ აჯობა შანავას, მეორეზე ყაიმი დაფიქსირდა **თამარ წერეთელსა და დავით მალალაშვილს** შორის. მესამეზე კვლავ თეთრებით მოთამაშემ იმარჯვა – **გაიოზ ნიგალიძემ მაკა ფურცელაძე** დაამარცხა; მეოთხეზე კი ყაიმი დაფიქსირდა **ინგა ჭარხალაშვილსა** და **ლუკა პაიჭაძეს** შორის. ასეთივე რიგითობა აღინიშნა მეშვიდე დაფამდე, სადაც **ლევან ბრეგაძემ** ვეტერანი **იური ჩიქოვანი** დაამარცხა. უმეტესწილად ამ წყვილებში ფავორიტები დაზარალდნენ.

ცხრილის შუა და მეორე ნაწილში გუშინ მოულოდნელობები არ მომხდარა – მოიგო იმან, ვისაც უნდა მოეგო; ზავით გაყრაც არ იყო მრავალი და ვინც დაზავდა, რეალურადაც თანაბარი ძალისანი იყვნენ, - სულ რვა ყაიმი დაფიქსირდა, ეს კი ბევრი ნამდვილად არ არის.

მეორე ტურში მარცხისათვის **გიორგი ბალათუროვმა** და **დავით ბენიძემ** მესამეში რეაბილიტაცია მოახდინეს და მიუახლოვდნენ ლიდერთა ჯგუფს. ლიდერებად კი დღეისათვის ოთხ მოჭადრაკეს ვხედავთ: მახარაძესა და აზალაძესთან ერთად კვარტეტში ნიგალიძე და ბრეგაძე ირიცხებიან. ამათ ნახევარი ქულით რვა მონაწილე ჩამორჩება, კიდევ ნახევარი ქულით ნაკლები კი თვრამეტ მოჭადრაკეს აქვს...

ასეთი მაღალი დონის ტურნირს ნებისმიერი საჭადრაკო ქვეყნის ფედერაცია ისურვებდა – ლამის ყველა პერსპექტიული ქართველი ქალ-ვაჟი ცდის ძალებს.

დღეს, მეოთხე ტურში ხვდებიან (ამ დროისთვის ყველაზე საინტერესო წყვილებად მიჩნეულნი): **ლევან ბრეგაძე(3) – გაიოზ ნიგალიძე(3); ჯამბულ მახარაძე(3) – შოთა აზალაძე(3); დავით მალალაშვილი(2,5) – გიგა ყუფარაძე(2,5); ლუკა პაიჭაძე(2,5) – თამარ წერეთელი(2,5); ივერი ჭილაძე(2,5) – ალექსანდრა ვახანია(2,5); კახა შალამბერიძე(2,5) – ინგა ჭარხალაშვილი(2,5); კონსტანტინე შანავა(2) – მარიამ დანელია(2); იური ჩიქოვანი(2) – გია ბალათუროვი(2); დავით ჯოჯუა(2) – ზურაბ ჯავახაძე(2); ნიკოლოზ ჩხაიძე(2) – დავით ბენიძე(2).**

ზვიად შათირიშვილი

რაგბი

ლეგიონერები

# პლეი ოფისთვის ორიდა იბრძვის




სარაგბო ევროთასების გათამაშებაში მეოთხე ტურის შეხვედრები გაიმართა. ყველაზე პრესტიჟულ ჰეინეკენის თასის გათამაშებაში მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი ქართველ მორაგბეთა სამი გუნდიდან მხოლოდ ერთს, **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონს" დარჩა. ცოტა უკეთესი შედეგი აქვთ „ქართულ" კლუბებს ჩელენჯ კაპის გათამაშებაში. **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივი" ჯგუფის ლიდერია. ჯერ კიდევ ინარჩუნებს მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსს **მამუკა გორგოძის** „მონპელიე".

A ჯგუფში ქართველ მორაგბეთა ორი გუნდი ასპარეზობს. **გოდერძი შველიძის** „მონტობანმა" შინ მიიღო ჯგუფის ლიდერი ინგლისური „სეილ შარქსი" და მეტოქე 16:12 დაამარცხა. შველიძე თამაშში 46-ე წუთიდან ჩაერთო. სტუმრად ვერას გახდა ირლანდიურ „მანსტერთან" დავით ზირაქაშვილის „კლერმონი". „ვულკანებმა" შეხვედრა 13:23 დათმეს. ზირაქაშვილი თამაშში 44-ე წუთიდან ჩაერთო.

**A ჯგუფი: მანსტერი (ირ) - კლერმონი (საფ) 23:13, მონტობანი (საფ) - სეილ შარქსი (ინგ) 16:12.**

სატურნირო მდგომარეობა: **მანსტერი - 13 ქულა, სეილ შარქსი - 11, კლერმონი - 8, მონტობანი - 6.**

B ჯგუფში პირველი გამარჯვება მოიპოვა ზედიზედ სამი მარცხის შემდეგ **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრამ". ჩვენებურის გუნდმა შინ დაამარცხა ირლანდიური „ლენსტერი" - 18:15. „გლობუსა" ძირითად შემადგენლობაში იყო და 77-ე წუთზე შეცვალეს. ამავე ჯგუფში ინგლისურმა „ვოსფსმა" შინ მოუგო შოტლანდიის „ედინბურგს" - 19:11.

**B ჯგუფი: კასტრი (საფ) - ლენსტერი (ირ) 18:15, ვოსფსი (ინგ) - ედინბურგი (შოტ) 19:11.**

სატურნირო მდგომარეობა: **ლენსტერი - 15 ქულა, ვოსფსი - 12, კასტრი - 5, ედინბურგი - 4**

**C ჯგუფი: ბენეტონი (იტ) - ოსფრიზი (უელ) 16:36, პერპინიანი (საფ) - ლესტერი (ინგ) 26:20.**

სატურნირო მდგომარეობა: **ოსფრიზი - 15 ქულა, ლესტერი - 15, პერპინიანი - 9, ბენეტონი - 0**

**D ჯგუფი: ჰარლიქუინზი (ინ) - სტად ფრანსე (საფ) 19:17, ჰლანეჰლი (უელ) - ალსტერი (ირ) 16:16.**

სატურნირო მდგომარეობა: **ჰარლექუინზი - 17 ქულა, სტად ფრანსე - 11, ალსტერი - 6, ჰლანეჰლი - 3.**

**E ჯგუფი: ნიუპორტი (უელ) - ტულუზი (საფ) 13:26, გლაზგო (შოტ) - ბასი (ინგ) 19:25.**

სატურნირო მდგომარეობა: **ტულუზი - 17 ქულა, ბასი - 15, ნიუპორტი - 5, გლაზგო - 4.**

**F ჯგუფი: ბიარიცი (საფ) - კარდიფი (უელ) 6:10, გლოსტერი (ინგ) - კალვიზანო (იტ) 48:5.**

სატურნირო მდგომარეობა: **კარდიფი - 18 ქულა, გლოსტერი - 14, ბიარიცი - 7, კალვიზანო - 0**

ჩელენჯ კაპის გათამაშების A ჯგუფში **ირაკლი გიორგაძის** „დაქსი" უიმედო აუტსაიდერია. ირაკლის გუნდმა ოთხიდან ოთხივე შეხვედრა წააგო. დაქსელები ამჯერად სტუმრად „ლონდონ აირიშთან" განადგურდნენ - 7:59. ამავე ჯგუფში ირლანდიურმა „ქონოთმა" შინ მოუგო იტალიის „როვიგოს" - 30:3.

**A ჯგუფი: ლონდონ აირიში (ინგ) - დაქსი (საფ) 59:7. ქონოთი (ირ) - როვიგო (იტ) 30:3.**

სატურნირო მდგომარეობა: **ლონდონ აირიში - 20 ქულა, ქონოთი - 14, როვიგო - 4, დაქსი - 0**

B ჯგუფში **დავით ქუბრიაშვილისა** და **გია ლაბაძის** „ტულონმა" საშინაო მატჩში შანსი არ დაუტოვა მამუკა გორგოძის „მონპელიეს" - 30:9. ქუბრიაშვილმა და გორგოძემ თავიდან ბოლომდე ითამაშეს. ლაბაძე განაცხადში არ იყო. ამავე ჯგუფში გათამაშების ლიდერმა „ნორსჰემპტონმა" სტუმრად დაამარცხა „ბრისტოლი" - 25:21.

**B ჯგუფი: ტულონი (საფ) - მონპელიე (საფ) 30:9, ბრისტოლი (ინგ) - ნორსჰემპტონი (ინგ) 21:25.**

D ჯგუფში ოთხი ტურის შემდეგ დავით ხინჩაგიშვილის „ბრივი" გალიდერდა. ბრიველებმა სტუმრად გაანადგურეს ესპანეთის „ელ სალვადორი" - 55:5. ხინჩაგიშვილს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია. ამავე ჯგუფში ინგლისურმა „ნიუკასლმა" საკუთარ მოედანზე დაამარცხა იტალიური „ოვერმაკი" - 21:16.

**D ჯგუფი: ელ სალვადორი (ეს) - ბრივი (საფ) 5:55, ნიუკასლი (ინ) - ოვერმაკი (იტ) 21:16.**

სატურნირო მდგომარეობა: **ბრივი - 15 ქულა, ნიუკასლი - 13, ოვერმაკი - 11, ელ სალვადორი - 0.**

**C ჯგუფი: პადოვა (იტ) - ბუქარესტი (რუმ) 15:17, ვორსტერი (ინ) - ბურგუნდი (საფ) 27:6.**

სატურნირო მდგომარეობა: **ვორსტერი - 14 ქულა, ბურგუნდი - 9, პადოვა - 9, ბუქარესტი - 5.**

**D ჯგუფი: ვიადანა (იტ) - მონ დე მარსანი (საფ) 25:6, სარასენზი (ინ) - ბაიონი (საფ) 36:0.**

სატურნირო მდგომარეობა: **სარასენზი - 18 ქულა, ვიადანა - 12, ბაიონი - 4, მონ დე მარსანი - 1.**

ბესიკ ჯანგავაძე

ძალოსნობა

# კახი კახიაშვილის ტურნირი ქუთაისში

მეშვიდე წელია ქუთაისში, საბერძნეთში გადახვეწილი ქართველი ძალოსნის, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის **კახი კახიაშვილის** სახელობის ტურნირი იმართება. ეს ტურნირი ძალოსნებისთვის წლის ბოლო შეჯიბრება იყო და ერთგვარ შემაჯამებელ ასპარეზობასაც წარმოადგენდა. მიზეზთა გამო ქუთაისში არ იმყოფებოდნენ პეკინის ოლიმპიადის მონაწილეები: **არსენ კასაბიევი, ალბერტ კუზილოვი** და **რაულ ცირეკიძე**. კასაბიევი და ცირეკიძე პოლონეთში არიან და საოპერაციოდ ემზადებიან, კუზილოვი კი ვლადიკავკაზში იმყოფება და მომავალი წლისთვის იქ ემზადება. ოლიმპიელი ძალოსნების არყოფნის მიუხედავად ტურნირი საკმაოდ საინტერესო გამოდგა. სპორტულ მოტივაციასთან ერთად, დამატებითი სტიმულის მიმცემი ძალოსნობის ფედერაციისა და ქუთაისის სპორტის მესვეურების მიერ დაწესებული პრიზები იყო. შეჯიბრებაში ქუთაისის, თბილისის, წყალტუბოს, საჩხერის, ზუგდიდის, აფხაზეთისა და აჭარის გუნდები მონაწილეობდნენ.

ტურნირს ოლიმპიური ჩემპიონი **გიორგი ასანიძე** ესწრებოდა და ძალოსნებს ფიცარნაგზე გასვლის წინ საჭირო რჩევებსაც აძლევდა. ამ ტურნირის მნიშვნელობაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ 77კგ-ში მოასპარეზე **ბექა კახიძემ**, მძიმე ოჯახური სიტუაციის მიუხედავად, ტურნირზე გამოსასვლელად დრო მაინც გამონახა. ბექას დაუფასდა კიდეც პროფესიონალიზმის ეს საოცარი გამოვლინება, მან თავის წონაში პირველი ადგილი დაიკავა და ოქროს მედალი მამის ხსოვნას მიუძღვნა. კახიაშვილის სახელობის ტურნირზე ძირითადად გამოცდილმა ძალოსნებმა გაიმარჯვეს, თუმცა ტურნირში არაერთმა საინტერესო ახალგაზრდამაც იასპარეზა.

ქუთაისელ **გიორგი ლომთაძეს**, რომელმაც 62 კგ-ში ოქროს მედალი მოიპოვა, შვიდი კილოგრამით მძიმეებშიც რომ ეასპარეზა, ნაჩვენები შედეგით (110, 135), ჩემპიონი გახდებოდა, რადგანაც 69 კგ-ში გამარჯვებულმა **ალეკო მამინაშვილმა** ატაცშიც და აკვრაშიც ლომთაძის შედეგი გაიმეორა - 110, 135.

კარგად იასპარეზა ნიჭიერმა ძალოსანმა **თემურ ლომჯარიამ**, რომელიც ბოლო დროს ჩრდილში იყო მოქცეული. ლომჯარიას ზუგდიდელი **ირაკლი ცანავა** უწევდა წინააღმდეგობას, მაგრამ ქუთაისელმა ძალოსანმა მის მიერ შეკვეთილი ყველა წონა დასძლია და საერთო ჯამში 15 კილოთი აჯობა მეტოქეს. 94კგ-ში ზუგდიდელები **თემურ ჩხაიძე** და **დავით გოგია** არკვევდნენ უძლიერესის ვინაობას. ჩხაიძემ ატაცშიც და აკვრაშიც უკეთესი შედეგები აჩვენა და პირველი ადგილი დაისაკუთრა. აღსანიშნავია, ამავე წონაში მოასპარეზე 16 წლის წყალტუბოელი ძალოსნის **ლაშა ლილუაშვილის** ასპარეზობაც. მართალია, იგი სამეულში ვერ მოხვდა, მაგრამ მცირე ასაკის კვალობაზე საკმაოდ კარგად იასპარეზა - (122, 146, 268) .

105 კილოგრამ წონით კატეგორიაში ფავორიტი თავიდანვე გამოიკვეთა. ქუთაისელმა **ალუდა მანაგაძემ** მეორე ცდაზე 147 კილოგრამი აიტაცა, აკვრაში კი მესამე ცდაზე 178 კგ აჩვენა და პირველი ადგილი მოიპოვა.

+105 კილოშიც ფავორიტმა **გიორგი მაჭავარიანმა** გაიმარჯვა. ატაცში 180 კგ. აჩვენა და მესამე ცდაზე 185 კგ შეუკვეთა, თუმცა ეს წონა ველარ დასძლია. მიუხედავად ამისა, გიორგიმ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა: აკვრაში მეორე ცდაზე 215 კილოგრამი დასძლია და მეორე ადგილზე გასულ წყალტუბოელ გოლიათ **ზვიად ქაჯაიას** მთელი 100 კილოგრამით აჯობა.

*„მომავალი წლის იანვრიდან დაიწყება საქართველოს ნაკრების ჩამოყალიბება და მასში ამ ტურნირში თავგამოჩენილი ძალოსნებიც მოხვდებიან. ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს გიორგი ლომთაძემ და ბექა კახიძემ. აღსანიშნავია თემურ ლომჯარიას დაბრუნებაც... მეტად სასარგებლო და მნიშვნელოვანი ტურნირი იყო. მადლობა ქუთაისის სპორტის მესვეურებს და ქუთაისის ძალოსნობის სკოლას. საქართველოს ნაკრების შევსება ძირითადად ამ ქალაქიდან მოდის და კარგი იქნება თუ ქუთაისის ძალოსნობის დარბაზში სპორტსმენებს კარგ პირობებში მომზადების საშუალება ექნებათ. ეს საქმე დიდ თანხებს არ მოითხოვს და ვალდებულებიც ვართ დარბაზის კეთილმოწყობისთვის ვიზრუნოთ."* -აღნიშნა ტურნირის შემდეგ გიორგი ასანიძემ.

გამარჯვებულები და პრიზიორები (გვარის გასწვრივ მითითებულია შედეგი ატაცში, აკვრაში და ორჭიდის ჯამი)

| | |
|---|---|
| **56 კგ** | |
| 1. ზვიად ფუტკარაძე | 72-90-162 (აჭარა) |
| 2. შოთა მიშველაძე | 75-85-160 (ქუთაისი) |
| 3. აჩიკო ძენძაძე: | 73-80-153 (თბილისი) |
| **62 კგ** | |
| 1. გიორგი ლომთაძე | 110-135-245 (ქუთაისი) |
| 2. ზაზა ფუტკარაძე | 98-120-218 (აჭარა) |
| 3. ზურა თავაძე | 96-120-216 (ქუთაისი) |
| **69 კგ** | |
| 1. ალეკო მამინაშვილი | 110-135-245 (წყლტ.) |
| 2. ვაჟა ძავთარაძე | 105-127-232 (აჭარა) |
| 3. კახა ჩიბურდანიძე | 103-127-230 (აჭარა) |
| **77 კგ** | |
| 1. ბექა კახიძე | 125-161-286 (ქუთაისი) |
| 2. კახა ბალდავაძე | 114-135-249 (ქუთაისი) |
| 3. ლევან ხუზაურაშვილი | 108-130-238 (თბ.) |
| **85კგ** | |
| 1. თემურ ლომჯარია | 135-170-305 (ქუთ.) |
| 2. ირაკლი ცანავა | 130-160-290 (ზუგდიდი) |
| 3. გიორგი ჭოხონელიძე | 110-130-240 (ქუთ.) |
| **94კგ** | |
| 1. თემურ ჩხეიძე | 145-180-325 (ზუგდიდი) |
| 2. დავით გოგია | 143-173-316 (ზუგდიდი) |
| 3. გელა კოზლიშვილი | 116-157-273 (აფხაზ.) |
| **105 კგ.** | |
| 1. ალუდა მანაგაძე | 147-178-325 (ქუთაისი) |
| 2. დავით ნოზაძე | 126-170-296 (საჩხერე) |
| 2. ვილი ალექსიძე | 130-160-290 (აჭარა) |
| **მძიმე** | |
| 1. გია მაჭავარიანი | 180-215-395 (აჭარა) |
| 2. ზვიად ქაჯაია | 137-158-295 (წყალტუბო) |
| 3. ლევან მამისაშვილი | 130-150-280 (თბილ.) |

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან

ჩოგბურთი

# გადამწყვეტი სეზონი ლაბაძისთვის

ვატ ჩოგბურთელთა ახალ რეიტინგში შვიდივე ქართველმა წინ წაიწია, ოღონდ, უმნიშვნელოდ. ჩვენი პირველი ჩოგანი **ირაკლი ლაბაძე** 48 ქულით მსოფლიოს 531-ე ჩოგანია (+1). რა თქმა უნდა, 27 წლის ლაბაძეს, რომელიც ერთ დროს მსოფლიოს 42-ე ჩოგანი იყო და ამ საქმიანობით მილიონ 235 ათასი დოლარი აქვს ნაშოვნი, დღევანდელი მდგომარეობა ვერაფრით დააკმაყოფილებს. შემდგომი სეზონი გადამწყვეტი იქნება ლაბაძისთვის, ის ან დაიბრუნებს უწინდელ პოზიციებს, ან პროფესულ ჩოგბურთს თავს დაანებებს. ლაბაძის გარდა ათასეულში მხოლოდ ერთი ჩვენებურია – 17 წლის **ლაზარე კუხალაშვილი** 12 ქულით 923-ე (+2) პოზიციაზეა. სხვები: 1159 (+2) **ლადო ჩიხლაძე** – 5 ქულა; 1220 (+1) **ნიკოლოზ ბასილაშვილი** – 4; 1329 (+3) **ნოდარ ითონიშვილი** – 3; 1569 (+5) **ბექა ბუჩუკური** – 1; 1663 (+3) **დემეტრე თაქთაქიშვილი** – 1.

ქალთა რეიტინგშიც უმნიშვნელო ცვლილებებია, შემდეგი ორშაბათიდან 9 ქართველ ჩოგბურთელს, სავარაუდოდ, მეათე, **ანა ჯიქია** შეემატება. ქართველ ჩოგბურთელთა დღევანდელი მდგომარეობა მსოფლიოს კლასიფიკაციაში: 160 (-) **ანა ტატიშვილი** – 199 ქულა; 218 (+1) **მაკა ჩახნაშვილი** – 134; 245 (-) **სოფიო შაფათავა** – 111; 392 (-2) **ოქსანა კალაშნიკოვა** – 56; 655 (-2) **ეკა გორგოძე** – 20; 703 (-) **მანანა შაფაქიძე** – 17; 711 (-2) **სოფიო ქვაცაბაია** – 17; 754 (-7) **სალომე დევიძე** – 14; 921 (-) **სოფიო მელიქიშვილი** – 8.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

## რაგბი

### ჰეინეკენის თასი. IV ტური

**I ჯგუფი**

**მონტობანი (საფრანგეთი)-სეილ შარქსი (ინგლისი) 16:12**

მონტობანი: 1 ლელო - დელასო (30); 1 გარდასახვა - როსალენი (30); 3 საჯარიმო - როსალენი (6, 49), მიტუ (77).
სეილი: 4 საჯარიმო - ჰოჯსონი (3, 40, 51, 55).

**მუნსტერი (ირლანდია)-კლერმონი (საფრანგეთი) 23:13**

მუნსტერი: 3 ლელო - დ. უოლასი (39), ჰორანი (76), რონანი (79); 1 გარდასახვა - ო'გარა (79); 2 საჯარიმო - ო'გარა (19, 26).
კლერმონი: 1 ლელო - მალზიო (60); 1 გარდასახვა - ბ. ჯეიმსი (60); 2 საჯარიმო - ბ. ჯეიმსი (21, 49).
სატურნირო მდგომარეობა: 1. მუნსტერი - 12 ქულა; 2. სეილი - 11; 3. კლერმონი - 8; 4. მონტობანი - 6.

**II ჯგუფი**

**ლონდონ უოსპსი (ინგლისი)-ედინბურგი (შოტლანდია) 19:11**

უოსპსი: 1 ლელო - უოლდერი (11); 1 გარდასახვა - უოლდერი (12); 4 საჯარიმო - უოლდერი (41, 49, 72), რისი (63).
ედინბურგი: 1 ლელო - საუთველი (25); 2 საჯარიმო - გოდმენი (40), ბლერი (66).

**კასტრ ოლიმპიკი (საფრანგეთი)-ლეინსტერი (ირლანდია) 18:15**

კასტრი: 6 საჯარიმო - ლაგარდერი (12, 21, 26, 60, 65, 70).
ლეინსტერი: 2 ლელო - დემპსი (6), სექსტონი (29); 1 გარდასახვა - სექსტონი (6); 1 საჯარიმო - კონტეპომი (52).
სატურნირო მდგომარეობა: 1. ლეინსტერი - 15 ქულა; 2. უოსპსი - 12; 3. კასტრი - 5; 4. ედინბურგი - 4.

**III ჯგუფი**

**ბენეტონი (იტალია)-ოსპრეისი (უელსი) 16:36**

ბენეტონი: 1 ლელო - ბ. უილიამსი (36); 1 გარდასახვა - მარკატო (36); 3 საჯარიმო - მარკატო (32, 44, 51).
ოსპრეისი: 5 ლელო - პარკერი (14, 80), ა. ჯონსი (18), ჯ. ტომასი (26), ტიატია (60); 4 გარდასახვა - პუკი (18, 26, 60), ბიგარი (80); 1 საჯარიმო - პუკი (48).

**პერპინიანი (საფრანგეთი)-ლესტერ ტაიგერსი (ინგლისი) 26:20**

პერპინიანი: 2 ლელო - ბრიტცი (14, 48); 2 გარდასახვა - კარტერი (14, 48); 4 საჯარიმო - კარტერი (12, 25, 35, 76).
ლესტერი: 2 ლელო - კროფტი (38), ჰემილტონი (67); 2 გარდასახვა - ფლუდი (38, 67); 2 საჯარიმო - ფლუდი (3, 56).
სატურნირო მდგომარეობა: 1. ოსპრეისი - 15 ქულა; 2. ლესტერი - 14; 3. პერპინიანი - 9; 4. ტრევიზო - 0.

**IV ჯგუფი**

**ლანელი სკარლეტსი (უელსი)-ოლსტერი (ჩრ. ირლანდია) 16:16**

ლანელი: 1 ლელო - დანიელი (47); 1 გარდასახვა - ს. ჯონსი (47); 3 საჯარიმო - ს. ჯონსი (18, 53, 78).
ოლსტერი: 2 ლელო - ჰემფრიზი (24), ჰ. უოლასი (32); 1 საჯარიმო - ტრიმბლი (71); 1 არეკნი - ჰემფრიზი (12).

**თვიქნემ ჰარლექინსი (ინგლისი)-სტად ფრანსე (საფრანგეთი) 19:17**

თვიქნემი: 1 ლელო - ტურნერ-ჰოლი (28); 1 გარდასახვა - ევანი (28); 3 საჯარიმო - ევანსი (2, 20, 48); 1 არეკნი - ევანსი (85).
სტად ფრანსე: 1 ლელო - ოელჩიგი (10); 3 საჯარიმო - ოელჩიგი (6, 12, 35); 1 არეკნი - ერნანდესი (73).
სატურნირო მდგომარეობა: 1. თვიქნემი - 17 ქულა; 2. სტად ფრანსე - 11; 3. ოლსტერი - 6; 4. ლანელი - 3.

**V ჯგუფი**

**ნიუპორტი გვენტ დრეგონსი (უელსი)-ტულუზა (საფრანგეთი) 13:26**

ნიუპორტი: 1 ლელო - რ. ტომასი (34); 1 გარდასახვა - ოლდრიჯი (34); 2 საჯარიმო - ოლდრიჯი (40, 48).
ტულუზა: 3 ლელო - მედარი (3, 56), ჰეიმანსი (42); 1 გარდასახვა - სკრელა (3); 2 საჯარიმო - მიშალაკი (12, 25); 1 არეკნი - მიშალაკი (29).

**გლაზგო უორიორზი (შოტლანდია)-ბეთ რაგბი (ინგლისი) 19:25**

გლაზგო: 1 ლელო - გრეგორი (12); 1 გარდასახვა - პარკსი (12); 4 საჯარიმო - პარკსი (5, 19, 51), ჯექსონი (66).
ბეთი: 4 ლელო - ბენეჰანი (9, 57), ბერნი (49), მედოკი (74); 1 გარდასახვა - ბ. ჯეიმსი (74); 1 საჯარიმო - ბ. ჯეიმსი (2).
სატურნირო მდგომარეობა: 1. ტულუზა - 17 ქულა; 2. ბეთი - 15; 3. ნიუპორტი - 5; 4. გლაზგო - 4.

**VI ჯგუფი**

**ბიარიტც ოლიმპიკი (საფრანგეთი)-კარდიფ ბლუზი (უელსი) 6:10**

ბიარიტცი: 2 საჯარიმო - ტრეი (29), პეირელონგი (34).
კარდიფი: 1 ლელო - რობინსონი (12); 1 გარდასახვა - ბლერი (12); 1 საჯარიმო - ბლერი (10).

**გლოჩესტერი (ინგლისი)-კალვიზანო (იტალია) 48:5**

გლოჩესტერი: 6 ლელო - ფოსტერი (28), ნერევი (40), ვაინიკოლო (52, 66), უოტკინსი (62, 74); 6 გარდასახვა - ლემბი (28, 40, 52, 62, 66, 74); 2 საჯარიმო - ლემბი (2, 5).
კალვიზანო: 1 ლელო - ფრეზერი (21).
სატურნირო მდგომარეობა: 1. კარდიფი - 18 ქულა; 2. გლოჩესტერი - 14; 3. ბიარიტცი - 7; 4. კალვიზანო - 0.

## კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

**ტორონტო-ნიუ ორლეანი 91:99**

24:22, 22:29, 26:29, 19:19

ტ: ბოში (25+8 მოხსნა+6 პასი), კალდერონი (22+7 პასი), ჯ. ო'ნილი (19+7 მოხსნა), მუნი (7+8 მოხსნა).
ნ-ო: დ. უესტი (29+9 მოხსნა), პოუსი (20+10 მოხსნა), რ. ბატლერი (16), პოლი (12+12 პასი), სტოიაკოვიჩი (10).

**ლეიკერსი-მინესოტა 98:86**

20:18, 22:19, 27:25, 29:24

ლ: ბრაიანტი (26), პ. გასოლი (18+11 მოხსნა+6 პასი), ბინუმი (14+9 მოხსნა), არიზა (14).
მ: ჯეფერსონი (20+13 მოხსნა), სმიტი (18+8 მოხსნა), გომესი (13), მაკენტსი (12), მ. მილერი (11+9 მოხსნა).

**მემფისი-მაიამი 102:86**

25:22, 21:24, 35:20, 21:20

მემ: მაიო (28), გეი (18), მილიჩიჩი (13+5 დაფარება), კონლი (12), არტური (10).
მაი: ბიზლი (20+8 მოხსნა), უეიდი (17), დ. ენტონი (12+13 მოხსნა+5 დაფარება), მერიონი (7+13 მოხსნა).

**სან ანტონიო-ოკლაჰომა 109:104**

39:19, 23:25, 21:25, 26:35

ს-ა: ტ. პარკერი (22+7 პასი), დანკანი (20+12 მოხსნა), ბონერი (17+8 მოხსნა), რ. მეისონი (14), ჯინობილი (14+6 პასი).
ო: გრინი (33), დურანტი (28+13 მოხსნა+4 დაფარება), კოლისონი (10+8 მოხსნა).

## ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ჩიკაგო-კოლამბუსი 3:1**

0:1, 1:0, 2:0

გოლები: 0:1 მოდინი-7 (კომოდორი-12, ბრასარი-15), 1:1 შარპი-17 (ბარკერი-10, კეინი-21), 2:1 ჰაველატი-8 (კეიტი-11, ლედი-11), 3:1 სიბრუკი-4 (კეიტი-12).

**ანაჰაიმი-მინესოტა 4:2**

2:1, 2:1, 0:0

გოლები: 1:0 გეტცლაფი-13 (კუნიტცი-13), 2:0 პერი-8 (კუნიტცი-14, პრონგერი-13), 2:1 მ-ა. ბერჟერონი-3 (ბელანჟე-10, პუიო-5), 2:2 ბელანჟე-8 (ბუშარი-8, პუიო-5), 3:2 მორისონი-4 (მარჩანტი-6, პრონგერი-14), 4:2 რაიანი-4 (პაროსი-5).

**ვანკუვერი-ფლორიდა 5:3**

1:2, 4:0, 0:1

გოლები: 0:1 ბოინტონი-4 (ფროლიკი-8, კრეპსი-4), 0:2 ბოუმისტერი-6 (პელტონენი-8, დვორაკი-9), 1:2 ჰორდიჩუკი-3 (კესლერი-11), 2:2 დემიტრა-9, 3:2 დემიტრა-10 (რეიმონდი-8, ედლერი-10), 4:2 უელვუდი-12 (დ. სედინი-17, ჰ. სედინი-23), 5:2 კესლერი-6 (ბიეკსა-12), 5:3 ფროლიკი-3 (მატიასი-1).

## ავტოსპორტი

# ლოები ჩემპიონთა ჩემპიონია

### ჰემილტონისა და ჰოის საუკუნის დაპირისპირება ამინდმა ჩაშალა



გრანდიოზული საავტომობილო შოუ გაიმართა ლეგენდარულ "უემბლის" სტადიონზე. სხვადასხვა სარბოლო სერიის წამყვანი პილოტები ტრადიციულ "ჩემპიონთა რბოლაში" გაეჯიბრნენ ერთმანეთს.

მაგრამ, სანამ ლეგენდარული მიხაელ შუმახერი და ავტოსპორტის სხვა ვარსკვლავები ტრასაზე გავიდოდნენ, შოუს ორგანიზატორებს საინტერესო ორთაბრძოლა ჰქონდათ ჩაფიქრებული. ფორმულა 1-ის ახალი ჩემპიონი **ლუის ჰემილტონი** "მაკლარენ-მერსედესით" უნდა გაჯიბრებოდა პეკინის თამაშების სამგზის ჩემპიონს, ბრიტანელ ველომრბოლ **კრის ჰოის**.

მაგრამ წვიმისა და ვარჯიშის დროს **დევიდ კულტჰარდის** დამტვრეული მანქანიდან ტრასაზე დაღვრილი ზეთის გამო, ავტომობილისა და ველოსიპედის შეჯიბრება მიზანშეწონილად არ ჩათვალეს და უსაფრთხოების მოსაზრებებით გააუქმეს "ადამიანი მანქანის წინააღმდეგ" დაპირისპირება.

მიუხედავად ამისა, ჰემილტონმა მანქანაში ჩაისვა ჰოი და "უემბლის" საპატიო წრე დაარტყა, ბოლოს კი ლუისმა ვირტუოზული ტრიუკებით გაართო ტრიბუნებზე შეკრებილი 40 ათასი მაყურებელი.

■ ■ ■

სხვათა შორის, კვირასვე ცნობილი გახდა, რომ კრის ჰოიმ BBC-ის გამოკითხვითაც აჯობა ჰემილტონს და 2008 წელს ბრიტანეთის საუკეთესო სპორტსმენი გახდა. ტელეკომპანიის სიაში მესამე ადგილი მოცურავე რებეკა ედლინგტონმა დაიკავა, რომელმაც პეკინში ოქროს ორი მედალი მოიპოვა.

BBC-იმ წლის საუკეთესო გუნდად ბრიტანეთის ველომრბოლთა ნაკრები დაასახელა, რომელმაც პეკინის ტრეკზე 14 მედალი დაისაკუთრა, მათ შორის რვა - ოქროსი. შესაბამისად, ამ გუნდის დამრიგებელი **დეივ ბრეილსფორდი** საუკეთესო მწვრთნელის ტიტულს დაეუფლა.

საუკეთესო უცხოელი სპორტსმენი გახდა პეკინის თამაშების სამგზის ჩემპიონი, იამაიკელი სპრინტერი **უსაინ ბოლტი**.

■ ■ ■

ჰემილტონისა და ჰოის საჩემპიონო ალიუმის შემდეგ, "უემბლის" სახელდახელო ტრასაზე "ჩემპიონთა რბოლის" მონაწილეები გავიდნენ. თავიდან გუნდურ შეჯიბრში გაირკვა გამარჯვებული. ფინალში გერმანიისა და სკანდინავიის ნაკრებები შეხვდნენ ერთმანეთს. **მიხაელ შუმახერისა და სებასტიან ფეტელის** დუეტმა 2:1 დაამარცხა **ტომ კრისტენსენისა და მატიას ექსტრიომის** ტანდემი.

გერმანიას პირველი ქულა შუმახერმა მოუტანა, რომელმაც "ბაგის" ტიპის მანქანით დაამარცხა ლე მანის 24-საათიანი რბოლის რვაგზის გამარჯვებული ტომ კრისტენსენი. ამის შემდეგ სუპერტურიზმის კლასში ორგზის ჩემპიონმა ექსტრიომმა "რედ ბულის" პილოტ სებასტიან ფეტელს გაასწრო და ფინალში ანგარიში გაათანაბრა.

გერმანიას გადამწყვეტი ქულა ისევ შუმახერმა მოუპოვა. კვლავ "ბაგის" მანქანით მან მატიას ექსტრიომს მოუგო და ფეტელთან ერთად, ზედიზედ მეორედ დაეუფლა "ჩემპიონთა რბოლის" "ერთა თასს".

რაც შეეხება ინდივიდუალურ პირველობას, აქ შუმახერს ხელი მოეცარა, ხოლო პირველობა რალის ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონმა, ფრანგმა სებასტიან ლოებმა მოიპოვა, რომელმაც ფინალში ბრიტანელ დევიდ კულტჰარდს აჯობა.

პირველი ორი ცდა ფრედ დასრულდა, ბოლოს კი ლოები უფრო სწრაფი აღმოჩნდა და კარიერაში მესამედ მოიგო "ჩემპიონთა რბოლა".

*"შარშან ვერ შევძელი "ჩემპიონთა რბოლაზე" ჩამოსვლა, მაგრამ 2008 წელს დავბრუნდი და გამარჯვებაც მოვიპოვე. წლევანდელი რბოლა არც ისე კარგად დაიწყო, რადგან გუნდურ პირველობაში პირველსავე რაუნდში დავმარცხდით, მაგრამ საბოლოოდ, ყველაფერი კარგად დასრულდა"*, - განაცხადა ლეგენდარულმა რალისტმა.

## ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები

# ნორვეგია უკონკურენტოდ

ლოგიკური შედეგით დასრულდა ხელბურთში ქალთა შორის ევროპის ჩემპიონატი. ოლიმპიადის მოქმედმა ჩემპიონმა ნორვეგიის ნაკრებმა მთელი ტურნირი დაუმარცხებლად განვლო, ფინალში ესპანეთთან 13-ბურთიანი უპირატესობით გაიმარჯვა და ზედიზედ მესამედ მოიპოვა კონტინენტის საუკეთესო გუნდის ტიტული.



ესპანეთის ნაკრები პირველად თამაშობდა ასეთი დონის ტურნირის ფინალში. გადამწყვეტ მატჩში ყველასთვის მოულოდნელად სტარტზე სწორედ ესპანელმა ხელბურთელებმა იაქტიურეს და მე-12 წუთისთვის სამბურთიანი უპირატესობაც მოიპოვეს - **კარმენ დოლორეს მარტინის** გოლის შემდეგ ანგარიში 6:3 გახდა.

სკანდინავიელები მალე გამოვიდნენ ამ შოკიდან, რასაც ესპანეთის კარში გატანილი ხუთი უპასუხო გოლი მოჰყვა. საბოლოოდ ნორვეგიამ პირველი ტაიმი ერთი ბურთის სხვაობით მოიგო. მაყურებელი მეორე ნახევარშიც დაძაბულ ბრძოლას ელოდა, მაგრამ იმედები გაუცრუვდა.

მეორე ტაიმში ცალკარა თამაში წავიდა. მომდევნო 30 წუთში ნორვეგიამ 21 გოლი გაიტანა, მეტოქეს კი მხოლოდ ცხრაჯერ მისცა თავის გამოჩენის საშუალება. ოლიმპიური ჩემპიონი მეთოდურად ზრდიდა უპირატესობას და როცა 47-ე წუთისთვის ცხრა ბურთით გაიჭრა წინ, ცხადი გახდა, რომ ნორვეგიის ნაკრები ისტორიაში მეშვიდედ მოიპოვებდა ევროპის ჩემპიონატის ტიტულს. მატჩის საბოლოო ანგარიში **ტინე კრისტიანსენის** გოლმა დააფიქსირა - 34:21.

ფინალში ერთი ისტორიული მომენტის მომსწრენი გავხდით. პირველად შეხვედრას სჯიდნენ ქალი მსაჯები - **ტატიანა რაკიტინა** და **ირინა ტკაჩუკი** უკრაინიდან.

ტურნირის სიმბოლურ ნაკრებში ოთხი ნორვეგიელი მოხვდა. აი, როგორ გამოიყურება ჩემპიონატის რჩეულთა გუნდი:

**მეკარე**: კატრინ ლუნდე ჰარალდსენი (ნორვეგია); **მარცხენა კუთხე**: ვალენტინა ელისეი-ადრეანი (რუმინეთი); **მარცხენა ინსაიდი**: ტონიე ლარსენი (ნორვეგია); **გამთამაშებელი**: კრისტინ ლუნდე (ნორვეგია); **ხაზის მოთამაშე**: ბეგონია ფერნანდესი (ესპანეთი); **მარჯვენა ინსაიდი**: გრიტ იურაკი (გერმანია); **მარჯვენა კუთხე**: ლინ კრისტინ რიგელჰუტი (ნორვეგია).

**კრისტინ ლუნდე** ჩემპიონატის საუკეთესო ხელბურთელად დასახელდა ასევე ნორვეგიელია ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი **ლინ კრისტინ რიგელჰუტი**, რომელსაც 51 გოლი დაუგროვდა.

**საბოლოო მდგომარეობა**: 1. ნორვეგია; 2. ესპანეთი; 3. რუსეთი; 4. გერმანია; 5. რუმინეთი; 6. ხორვატია; 7. მაკედონია; 8. უნგრეთი; 9. შვედეთი; 10. უკრაინა; 11. დანია; 12. ბელარუსი; 13. სერბეთი; 14. საფრანგეთი; 15. ავსტრია; 16. პორტუგალია.

ნორვეგიამ და ესპანეთმა გაინაღდეს მსოფლიოს 2009 წლის ჩემპიონატში თამაში. ფინალურ ტურნირში ასევე ითამაშებენ მასპინძელი ჩინეთი და პლანეტის მოქმედი ჩემპიონი რუსეთი. ევროპიდან გამსვლელი კიდევ რვა საგზურის მფლობელის ვინაობა ორმატჩიან პლეი ოფში გაირკვევა. შაბათს გამართულ წილისყრაში გუნდები ასე დაწყვილდნენ: სლოვაკეთი-უნგრეთი, შვედეთი-ჩერნოგორია, სერბეთი-გერმანია, ხორვატია-საფრანგეთი, ბელარუსი-რუმინეთი, მაკედონია-ავსტრია, პორტუგალია-დანია, უკრაინა-ჰოლანდია. პირველი მატჩები 6-7 ივნისს გაიმართება, განმეორებითი - 13-14 ივნისს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი.

# ლინდსი ვონი: თეთრი ცირკის მარია შარაპოვა




გასულ უიქ ენდზე ქალი სამთო-მოთხილამურეები ესპანეთის კურორტ ლა მოლინაში შეიკრიბნენ, სადაც მსოფლიოს თასის ისტორიულ ეტაპში მიიღეს მონაწილეობა. საქმე ისაა, რომ ამ ტურნირის არსებობის ისტორიაში პირველად პირენეის მთებში რბოლა ჩატარდა.

ბუნებრივია, ესპანურმა პრესამ ამ მოვლენას დიდი ყურადღება დაუთმო. განსაკუთრებული ინტერესი მსოფლიოს თასის შარშანდელმა მფლობელმა და წლევანდელი სეზონის ლიდერმა, ამერიკელმა **ლინდსი ვონმა** დაიმსახურა, რომელსაც გაზეთმა "ელ მუნდო დეპორტივომ" "თეთრი ცირკის" **მარია შარაპოვა** უწოდა.

ამერიკელმა ეს მეტსახელი გარეგნული მომხიბვლელობისა და ფოტოგენურობის წყალობით დაიმსახურა. ლინდსი ქალთა ტურის ერთ-ერთ ყველაზე ქარიზმატულ მონაწილედ ითვლება. მამაკაცებს შორის შარშანდელ ტრიუმფატორ **ბოდე მილერთან** ერთად, მან ამერიკაში გარკვეული პოპულარობა მოუპოვა სამთო-სათხილამურო სპორტს. *"ხანდახან სხვა ქვეყანაში უფრო მეტ ყურადღებას გრძნობ, ვიდრე სამშობლოში, თუმცა დღეისთვის ამერიკაში სპორტის ამ სახეობისადმი ინტერესის ზრდა შეინიშნება. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მსოფლიოს თასის ეტაპების ტრანსლაცია მხოლოდ იმ 13 ქალაქში მიმდინარეობს, სადაც სტარტები იმართება"*, - ამბობს ამერიკელი მოთხილამურე.

ესპანეთში ყოფნისას ვონს მუდმივი სატელეფონო კავშირი ჰქონდა ესპანელ **მარია ხოსე რიენდასთან**, რომელიც სევილიაში ოპერაციას იკეთებდა. *"ის შესანიშნავი მოთხილამურე და ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარია. სამწუხაროა, რომ ახლა ტრავმა აწუხებს და ლა მოლინაში ჩვენ გვერდით ყოფნას ვერ შეძლებს"*, - აღნიშნა ლინდსიმ.

## თილისმა - ძროხა

ლინდსი ესპანელი მეგობრის თ.სგავსად -გათხოვილია. როგორ უხამებს ვონი პროფესიულ სპორტსა და ოჯახურ ცხოვრებას? *"შესანიშნავად, -* ამბობს მსოფლიოს თასის ლიდერი და თავის მეუღლესა და შეთავსებით მწვრთნელს **ტომასს** გასცქერის. - *ყველაფერი წესრიგშია. ამ მხრივ პრობლემები არ არსებობს".*

ზამთრის სეზონის მსვლელობისას, ლინდსისა და სხვა ამერიკელი მოთხილამურეების ბაზა ავსტრიის კურორტ კირშბერგში მდებარეობს. აქედან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით, ფერმაში ცხოვრობს **ოლიმპია** - ძროხა, რომელიც ლინდსის ორი წლის წინ, ფრანგულ ვალ დ'იზერში სწრაფდაშვების ეტაპის მოგებისთვის აჩუქეს. *"მას სამი ხბო ჰყავს. ნამდვილი ოჯახია"*, - იცინის ამერიკელი.

## 130 კმ/სთ

ვონი საერთო გუნდურ დისციპლინას იცავს, თუმცა ის სამთო-სათხილამურო სპორტის ვარსკვლავია და საკუთარი თანაშემწეები ჰყავს. *"ტომასის გარდა, პირად ფიზიოლოგთან ვმუშაობ და სტარტებისთვის ინდივიდუალური პროგრამით ვემზადები"*, - გვიყვება ვონი.

ლინდსი ჩქაროსნული დისციპლინების სპეციალისტია. ხანდახან, სწრაფდაშვებისას ის საათში 130 კილომეტრ სიჩქარეს ავითარებს და სეზონის განმავლობაში 70 წყვილ თხილამურს იცვლის. ამგვარი კვალიფიკაციის მიუხედავად, ცოტა ხნის წინ, ლინდსიმ ყველა გააოცა, როცა ფინეთის კურორტ ლევიში სლალომის ეტაპის მოგება შეძლო.

*"ყველაზე მეტად სწრაფდაშვების დისციპლინა მომწონს, რადგან სისწრაფე ძალიან მიყვარს. ხოლო სლალომში გამარჯვება მოულოდნელი და სასიამოვნო სიურპრიზი იყო"*, - ასეთი კომენტარი გაუკეთა ლევიში გამარჯვებას ლინდსი ვონმა.

სხვათა შორის, ლა მოლინაში, ასევე სლალომის ეტაპზე ამერიკელმა მეორე ადგილი დაიკავა. ასე რომ, ვონი ნელ-ნელა უნივერსალად ყალიბდება, რაც საბოლოო წარმატებაზე მის შანსებს ერთიორად ზრდის.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

### ვალ დ'იზერი (საფრანგეთი)

**გიგანტური სლალომი. კაცები**

1. **კარლო იანკა** (შვეიც) - 2:22.73 (1:11.80+1:10.93); 2. **მასიმილიანო ბლარდონე** (იტა) - 2:22.93 (1:11.58+1:11.35); 3. **გოტიე დე ტესიერი** (საფ) - 2:23.17 (1:14.20+1:08.97); 4. **აქსელ ლუნდ სვინდალი** (ნორ) - 2:23.19 (1:11.50+1:11.69); 5. **დიდიე კუში** (შვეიც) - 2:23.25 (1:12.38+1:10.87); 6. **მანფრედ მოელგი** (იტა) - 2:23.31 (1:11.35+1:11.96).

**სუპერკომბინაცია**

1. **ბენიამინ რაიხი** (ავსტრია) - 2:02.48 (1:11.41+51.07); 2. **ჟან-ბაპტისტ გრანჟი** (საფ) - 2:02.82 (1:12.23+50.59); 3. **მარსელ ჰირშერი** (ავსტრია) - 2:03.17 (1:12.87+50.30); 4. **მარკუს ლარსონი** (შვედ) - 2:03.19 (1:11.83+51.36); 5. **სილვან ცურბრიგენი** (შვეიც) - 2:03.20 (1:13.09+50.11); 6. **სანდრო ვილეტა** (შვეიც) - 2:03.51 (1:12.97+50.54).

**საერთო ჩათვლა**

1. **აქსელ ლუნდ სვინდალი** (ნორ) - 395; 2. **ბენიამინ რაიხი** (ავსტრია) - 293; 3. **კარლო იანკა** (შვეიც) - 291; 4. **ჟან-ბაპტისტ გრანჟი** (საფ) - 246; 4. **დიდიე კუში** (შვეიც) - 241; 6. **ჰერმან მაიერი** (ავსტრია) - 216.

**გიგანტური სლალომი. ქალები**

1. **ტანია პოუტიაინენი** (ფინ) - 2:16.76 (1:07.74+1:09.02); 2. **მანუელა მოელგი** (იტა) - 2:16.78 (1:07.29+1:09.49); 3. **ნიკოლ ჰოსპი** (ავსტრია) - 2:17.41 (1:07.85+1:09.56); 4. **ელიზაბეტ გორგლი** (ავსტრია) - 2:18.18 (1:08.13+1:10.05); 5. **მიხაელა კირხგასერი** (ავსტრია) - 2:18.20 (1:08.90+1:09.30); 6. **ლარა გუტი** (შვეიც) - 2:18.32 (1:08.04+1:10.28).

**სლალომი. ქალები**

1. **მარია რიში** (გერ) - 1:52.98 (53.81+59.17); 2. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 1:54.46 (55.09+59.37); 3. **კატრინ ცეტელი** (ავსტრია) - 1:55.34 (54.70+1:00.64); 4. **სარკა ზარობსკა** (ჩეხ) - 1:55.53 (55.15+1:00.38); 5. **ანია პერსონი** (შვედ) - 1:55.64 (55.05+1:00.59); 6. **ტანია პოუტიაინენი** (ფინ) - 1:55.67 (55.44+1:00.23).

**საერთო ჩათვლა**

1. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 438; 2. **ტანია პოუტიაინენი** (ფინ) - 400; 3. **მარია რიში** (გერ) - 328; 4. **კატრინ ცეტელი** (ავსტრია) - 250; 5. **ნიკოლ ჰოსპი** (ავსტრია) - 243; 6. **მარია პიეტილაე-ჰოლმნერი** (შვედ) - 232.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონატი** | |
| ჩარლტონი-დერბი | 2:2 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| სასუოლო-ანკონა | 1:0 |
| **სერია C1/A** | |
| პადოვა-რეჯინა | 0:0 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| კაიზერი-ფრაიბურგი | 2:0 |
| **შოტლანდია** | |
| მოზერველი-კილმარნოკი | 0:2 |
| **შოტლანდიის თასი** | |
| დელბიტი-ფორესი | 1:1, დ.დ. 2:4 |
| ლოჩი-ეირი | გადაიდო |
| დამბარტონი-როსი | 1:2 |
| ელჯინი-სპარტანსი | 1:2 |
| ფორფარი-სტრანრარი | 2:0 |
| **საბერძნეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ვერია-კალითეა | 1:2 |
| **თურქეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| მალათია-ქართალი | 1:0 |
| **ისრაელი** | |
| ბნეი იეჰუდა-მაკაბი (ჰ) | 0:1 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **სლოვაკეთი** | |
| სლოვანი-ბისტრიცა | 6:1 |
| **ფინეთი** | |
| კიეკო-ჰიფკ | 1:4 |
| **შვედეთი** | |
| ლინჩოპინგი-ლულეო | 3:6 |

## TV სპორტი

**16 დეკემბერი. სამშაბათი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**08:40** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**09:40** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**10:40** FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**11:10** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ფეიენოორდი-ალკმაარი.
**13:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**13:20** გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. კაიზერი-ფრაიბურგი.
**15:10** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
**17:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**17:20** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**18:20** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**19:20** 90 წუთი - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
**20:55** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**21:20** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:15** გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**23:15** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**23:30** მსოფლიოს ჩემპიონატის კლუბებს შორის. 1/4 ფინალი. პაჩუკა (მექსიკა)-ალ აჰლი (ეგვიპტე). ტოკიო. იაპონია.
**01:15** მსოფლიოს ჩემპიონატის კლუბებს შორის. 1/4 ფინალი. ადელაიდა (ავსტრალია)-გამბა ოსაკა (იაპონია). ტოკიო. იაპონია.
**03:00** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**04:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**05:00** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

**09:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**10:00** სპორტინფორმი - ახალი ამბები.
**10:05** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ბეტისი.
**11:50** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**12:30** ფეხბურთელთა ცხოვრება.
**13:00** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ტურნირი. პანათინაიკოსი-ბარსელონა.
**14:40** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
**15:15** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-ლეჩე.
**17:00** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**17:25** სპორტინფორმი - ახალი ამბები.
**17:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ბაიერნი.
**19:15** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ვესტ ჰემი.
**21:05** სპორტინფორმი - ახალი ამბები.
**21:10** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:10** მინი-ფეხბურთი.
**22:25** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**23:25** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-კოლორადო.
**01:15** მინი-ფეხბურთი.
**01:20** სპორტინფორმი - ახალი ამბები.
**01:35** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მიდლსბრო-არსენალი.
**03:20** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
**04:00** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. კაროლინა-მონრეალი (LIVE).
**06:45** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**07:10** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ვესტ ჰემი.

**EUROSPORT**

**11:30** ექსტრემალური სპორტი.
**12:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**12:45** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS140. პრაჯელატო. იტალია.
**13:30** ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ესტაფეტა. კაცები. ჰოჰფილცენი. ავსტრია.
**14:30** ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ესტაფეტა. ქალები. ჰოჰფილცენი. ავსტრია.
**15:30** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**16:15** სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. III დღე. ტელფორდი.
**17:30** სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. IV დღე. ტელფორდი (LIVE).
**21:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**21:15** მულტისპორტი.
**21:45** სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. IV დღე. ტელფორდი (LIVE).
**02:00** ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
**03:00** რალი. IRC-ის სერია. ჩინეთი.
**03:30** რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.

**EUROSPORT-2**

**10:30** ახალი ამბები.
**11:45** სერფინგი. აშშ.
**12:00** ახალი ამბები.
**12:45** სერფინგი. აშშ.
**13:00** კალათბურთი. ევროთასი. ჯგუფური ტურნირი. III ტური. ასკ რიგა (ლიტვა)-მარუსი (საბერძნეთი).
**14:00** ახალი ამბები.
**14:30** ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური.
**15:30** ახალი ამბები.
**16:15** სერფინგი. აშშ.
**16:30** ახალი ამბები.
**17:00** პული. აშშ.
**18:00** კალათბურთი. ევროთასი. ჯგუფური ტურნირი. III ტური. ვალენსია (ესპანეთი)-არტლანდი (გერმანია).
**18:45** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
**19:15** ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტელეჟურნალი.
**19:45** ახალი ამბები.
**20:00** კალათბურთი. ევროთასი. ჯგუფური ტურნირი. IV ტური. ხიმკი (რუსეთი)-ბეშიქთაში (თურქეთი) (LIVE).
**21:45** კალათბურთი. ევროთასი. ჯგუფური ტურნირი. IV ტური. ტურკ ტელეკომი (თურქეთი)-არისი (საბერძნეთი) (LIVE).
**23:15** სერფინგი. აშშ.
**23:30** კალათბურთი. ევროთასი. ჯგუფური ტურნირი. IV ტური. ხიმკი (რუსეთი)-ბეშიქთაში (თურქეთი).
**00:45** ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური.
**03:00** ახალი ამბები.
**03:45** სერფინგი. აშშ.
**04:00** ახალი ამბები.
**04:45** სერფინგი. აშშ.
**05:00** ახალი ამბები.
**05:45** სერფინგი. აშშ.
**06:00** ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური სპორტი

კრივი

# კლიჩკოს თავი მოაჭრეს



შაბათს, გერმანიის ქალაქ მანჰაიმში უკრაინელმა **ვლადიმირ კლიჩკომ** მე-7 რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა ამერიკელი **ჰასიმ რაჰმანი** და შეინარჩუნა IBF-ისა და WBO-ის საჩემპიონო ქამრები. მაგრამ ბრძოლის შემდეგ გრანდიოზული სკანდალი ატყდა, რომელშიც ვლადიმირის უფროსი ძმა, სუპერმძიმე წონაში WBC-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი **ვიტალი კლიჩკო** და ცნობილი ბრიტანელი მოკრივე **დევიდ ჰეი** არიან გარეულნი.

## ვიტალი კლიჩკო: ის მკაცრად დაისჯება

- ვაღიარებ, რომ იმან, რაც ჟურნალ Men's Health-ში ვნახე, შოკში ჩამაგდო, - განაცხადა პრესკონფერენციაზე ვიტალიმ. - ჩემი მეუღლე კინაღამ ცუდად გახდა. სიტყვებით რთულია იმ ემოციების გადმოცემა, რაც მაშინ განვიცადე. ფოტოზე გამოსახულია დევიდ ჰეი, რომელსაც ხელში უჭირავს ჩემი ძმის მოკვეთილი თავი. რა თქმა უნდა, ბრიტანელს მივუახლოვდი და ვუთხარი, რომ ასეთი თავხედობა დაუშვებელია, რომ ეს ყველანაირ საზღვრებს სცილდება. მან პასუხად რამდენიმე უსიამოვნო ფრაზა მესროლა - რომ ჯერ ჩემს ძმას სცემს და შემდეგ მეც გამისწორდება. თუ ასეა საქმე, სიამოვნებით ვიძიებ შურს ჩემი ძმისთვის. ვუთხარი კიდეც ჰეის, რომ ამ ფოტოს გამო სასტიკად დაისჯება. პირადად ჩემგან. მე ამას ცივი გონებითა და გულით გავაკეთებ.

ამ ემოციური გამოსვლის შემდეგ, ვიტალი კლიჩკომ თითი დაუქნია ჰეის, რომელიც საკონფერენციო დარბაზში იჯდა. ბრიტანელმა, რომელსაც თავზე კოვბოის ქუდი ეხურა, პასუხად მხოლოდ ღიმილი უძღვნა კლიჩკოს.



ამის შემდეგ, ყურადღების ცენტრში ჰეი მოექცა. ვიტალიმ კი მის გარშემო მდგომი ჟურნალისტების წრე გაარღვია, ბრიტანელის ქუდს ეცა და ის თითქმის ტუჩებამდე ჩამოაფხატა დევიდს. გაოგნებული ჰეი კარგა ხნით დადუმდა, უფროსმა კლიჩკომ კი შემდეგი განაცხადა:

- ამ ჟურნალის თანამშრომლებმა ძალიან მოინდომეს. მე მგონი, მხოლოდ "ფოტოშოპი" არ აქვთ გამოყენებული. ვერ წარმომიდგენია, ასეთმა სერიოზულმა ჟურნალმა როგორ დაბეჭდა მსგავსი ტიპის სურათი. რაც შეეხება ჰეის... ბევრ მოკრივეს უთქვამს, რომ ვლადიმირსაც ნოკაუტში გაგზავნიდნენ და მეც. მაგრამ ყველასთვის ცნობილია, როგორ დამთავრდა მათი ტრაბახი. იგივე ელის დევიდ ჰეისაც. მან უდიდესი შეურაცხყოფა მოგვაყენა და ამისთვის შურს ვიძიებ.

**- ე. ი. ჰეის წინააღმდეგ რინგზე გახვალთ?**

- იშვიათად მიჩნდება ვინმესთან გაბრძოლების სურვილი. დღეს ჰეის დავპირდი, რომ მასთან აუცილებლად ვიჩხუბებ და რინგზე ყველაფრისთვის დავსჯი.

## დევიდ ჰეი: მე მათ გავანადგურებ

ბრიტანელი დევიდ ჰეი რამდენიმე ბრძოლით არის განთქმული, სადაც ის სასტიკად გაუსწორდა თავის მოწინააღმდეგეებს. დაახლოებით ერთი თვის წინ, მან სუპერმძიმე წონაში (მანამდე ჰეი 90.7-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში გამოდიოდა) პირველი ბრძოლა ჩაატარა და ცნობილ სუპერმძიმეწონოსან **მონტე ბარეტს** არანაირი შანსი არ დაუტოვა.

ბრიტანელმა კიდევ იმით გაითქვა სახელი, რომ რამდენიმე დღის წინ, სასტუმროს ჰოლში დაუდარაჯდა ვლადიმირ კლიჩკოს და უამრავი ხალხის თანდასწრებით, საკმაოდ სკანდალური მანერით ბრძოლაში გამოიწვია უკრაინელი. მაშინ ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ბრიტანელი ფსიქიკურად ბოლომდე დალაგებული ვერ უნდა იყოს. მაგრამ ეს მცდარი მოსაზრებაა. ჰეი გიჟი არ არის, პირიქით, საკმაოდ მხიარული ადამიანია, აბსოლუტურად ადეკვატური და შესანიშნავად ესმის, რას და რატომ აკეთებს. მისი პრესკონფერენცია კლიჩკოზე საუბრით დაიწყო.

**- მართლა გსურთ უახლოეს მომავალში ერთ-ერთ ძმასთან შეხვედრა?**

- ძალიან მინდა. აუცილებლად შევხვდები, სავარაუდოდ ეს მომავალი წლის ზაფხულში მოხდება. ვიტალისთან ბრძოლა მირჩევნია, რადგან ის უფრო გამოცდილი და ძლიერი მოკრივეა, მაგრამ ვნახოთ, რა გამომივა. თუ ვლადიმირი დამთანხმდება ბრძოლაზე, ჯერ მას გავლახავ და შემდეგ ვიტალისთვისაც მოვიცლი.

**- რისი იმედი გაქვთ? სისწრაფის?**

- სისწრაფე - წარმატების მთავარი გასაღებია. მე მათზე ორჯერ უფრო სწრაფი ვარ.

**- ძმების გაბარიტები არ გაშინებთ?**

- არც მე ვარ პატარა. რაც მთავარია, ისინი მხოლოდ ჩემს ჩრდილს თუ მოარტყამენ მუშტს, რადგან რინგზე ძალიან სწრაფი ვიქნები.

**- თქვენ კლიჩკოს ჰოლში შეხვდით და ბრძოლაში გამოიწვიეთ...**

- მას თვალებში ჩავხედე და იქ შიში ამოვიკითხე (თვითმხილველების თქმით, ბრიტანელი აშკარად აჭარბებს, რადან ვლადიმირი ბრიტანელს ისე ელაპარაკებოდა, როგორც უფროსი კაცი თავხედ ბავშვს).

**- ბევრს ჰგონია, რომ თქვენი შეხვედრა წინასწარ დადგმული სპექტაკლი იყო...**

- დადგმული არ ყოფილა, მაგრამ არც შეხვედრა იყო მოულოდნელი, რადგან წინასწარ ვიცოდი სად იქნებოდა ვლადიმირი და დავუდარაჯდი მას. ვიგრძენი, რომ კლიჩკოს არ უყვარს, როცა მკაცრად უპირისპირდებიან, მე კი სწორედ ეს გავაკეთე: მთელი მსოფლიოს თვალწინ გამოვიწვიე ბრძოლაში. დარწმუნებული ვარ, ის ხვდება, თუ რა სერიოზულ მეტოქესთან აქვს საქმე. თავის დროზე, ვლადიმირს მონტე ბარეტის დასამარცხებლად შვიდი რაუნდი დასჭირდა, მე კი ხუთი რაუნდი ვიკმარე. მე WBC-სა და WBA-ის რეიტინგებით უკვე მეორე ნომერი ვარ, მაგრამ მათ უჭირთ ამის დაჯერება. მალე გაიგებენ, ვისთან აქვთ საქმე.

**- მაგრამ ვლადიმირ კლიჩკოს წინ რუს ალექსანდრ პოვეტკინთან შეხვედრა ელის.**

- მე მას პოვეტკინზე ადრე შევხვდები (ეს შესაძლებელია, რადგან უმცროსი კლიჩკო ვალდებულია რუსს მოკრივეს 2009 წლის 13 სექტემბრამდე შეხვდეს).

ჩოგბურთი

# ანას კალენდარი

სერბი ჩოგბურთელის **ანა ივანოვიჩის** ოფიციალური გვერდი გვამცნობს, რომ გასულ უიქენდზე ანამ 2009 წლისთვის თავისი სპონსორების კალენდრის გამოშვება დააანონსა. ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით ივანოვიჩმა ბელგრადში სპეციალური პრესკონფერენციაც გამართა, სადაც სერბი ჩოგბურთელის რამდენიმე ფოტოც იყო წარმოდგენილი.

ფირმა Verano-მ, რომელიც "პეჟოს" ავტომობილების დილერად ითვლება და სავაჭრო ქსელმა Ziro-მ თავიანთ კლიენტთან ფოტოსესია გამართეს. შედეგად გაჩნდა მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნის ახალი ფოტოები, რომელიც 2009 წლის კალენდრის მშვენება გახდება. ოფიციალურად სურათებისა და კალენდრის პრეზენტაცია უახლოეს მომავალში, ბელგარდში Ziro Center-ში გაიმართება.

ივანოვიჩის ვებგვერდზე აგრეთვე შეგიძლიათ ჩატვირთოთ ვიდეო, რომელიც როლან გაროსის გასახდელშია გადაღებული მას შემდეგ, რაც ანამ ნახევარფინალში თანამემამულე **ელენა იანკოვიჩი** დაამარცხა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**













გამოვიდა დეკემბრის ნომერი